162. ბუაჩიძე დ. რელიგიური კონფესიები და დენომინაციები ლიტვასა და საქართველოში : (შედარებითი ანალიზი) // კულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხები . - 2004 . - № 19 . - გვ. 99 - 104. რეზ. ინგლ. ენაზე.

რელიგიური უმცირესობები ლიტვასა და საქართველოში, მათი მდგომარეობის ზოგადი დახასიათება.

163. ბუბულაშვილი ე. ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობის ზოგიერთი ასპექტი 1918 - 1921 წლების საქართველოში // ლოგოსი : ქრისტიანული კვლევის საერთაშორისო ცენტრი . - 2003 . - ტ. 1 . - გვ. 53 - 63. რეზ. რუს. და ინგლ. ენებზე.

სოციალ-დემოკრატიული მთავრობის მიერ დამოუკიდებელ საქართველოში ეკლესიის წინააღმდეგ დაწყებული ათეისტური ბრძოლა. 1921 წლის 21 თებერვალს მიღებული კონსტიტუციით დაფიქსირებული სახელმწიფოსაგან ეკლესიის გამოყოფა.

164. ბუბულაშვილი ე. XIX საუკუნის მეორე ნახევარში მოღვაწე ეგზარქოსები : (მოკლე დახასიათება) // საქართველოს ახალი ისტორიის საკითხები . - 2004 . - ტ. 7 . - გვ. 102 - 108. რეზ. ინგლ. ენაზე.

საქართველოში მოღვაწე ეგზარქოსების (ისიდორე ნიკოლსკი, ევსევი ილინსკი, პავლე ლებედევი, პალადი რაევი, იოანიკე რუდნევი, ვლადიმერ ბოგოიაველენსკი, ფლაბიანე გოროდეცკი) ანტიქართული და ზოგ შემთხვევაში შედარებით ლოიალური საქმიანობის მიმოხილვა.

165. ბუბულაშვილი ე. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისა და ქართული მხედრობის ურთიერთობის ისტორიიდან // ლოგოსი : ქრისტიანული კვლევის საერთაშორისო ცენტრი . - 2004 . - ტ. 2 . - გვ. 23 - 28. რეზ. ინგლ. ენაზე.

მართლმადიდებლური ქრისტიანული ეკლესიისა და ჯარის ურთიერთობის საკითხები. დოკუმენტური მასალა ქართველი სასულიერო პირების საომარ ოპერაციებში მონაწილეობის, „პოლკის მღვდლის“ თანამდებობისა და მართლმადიდებელი ეკლესიის იერარქიაში კაპელანის ინსტიტუტის არსებობის შესახებ.

166. გაგნიძე ქ. დიდი სამების ტაძრის შესაწირავი // ომეგა . - 2002 . - № 2 (28) . - გვ. 90 - 95. რეზ. ინგლ. ენაზე.

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის მიერ შეკვეთილი „გარდამოხსნა“ (ნაქარგობით შესრულებული ქრისტეს დატირების სიუჟეტური კომპოზიცია), რომელიც შეეწირება მშენებარე სამების ტაძარს. ესკიზი შეასრულა დავით მორგოშიამ.

167. გამყრელიძე თ. ქრისტიანობა და ძველი ქართული კულტურა და დამწერლობა // ლოგოსი : ქრისტიანული კვლევის საერთაშორისო ცენტრი . – 2004 . – ტ. 2 . – გვ. 13 – 16. რეზ. ინგლ. ენაზე.

ქრისტიანობის, როგორც მწიგნობრული რელიგიის საფუძველზე შექმნილი ქართული კულტურის, ეროვნული ენისა და ორიგინალური დამწერლობის შესახებ.

168. გურული ვ. საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიის ისტორიოგრაფია : (მიტროპოლიტ ანანია ჯაფარიძის ღვაწლი) // კულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხები . – 2004 . - № 19 . – გვ. 5 – 9. რეზ. ინგლ. ენაზე.

ანანია ჯაფარიძის სამეცნიერო მოღვაწეობა : „საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორიის“ ოთხტომეული, სადაც საქართველოს ეკლესიის ისტორია განხილულია ქართულ სახელმწიფო ისტორიასთან უწყვეტ კავშირში და 2003 წ. სამწიგნოდ გამოცემული „საქართველოს საეკლესიო კრებები“.

169. დიმიტრი, მეუფე. ედა ეკლესიის წიადში : (ბათუმისა და სხალთის ეპარქია) // ომეგა . – 2002 . - № 1 (27) . – გვ. 104 – 107. რეზ. ინგლ. ენაზე.

ბათუმისა და სხალთის ეპარქიის მწყემსმთავარი მეუფე დიმიტრი (შიოლაშვილი) ეპარქიის ისტორიაზე, სასულიერო ცხოვრებასა და უახლოეს გეგმებზე / ესაუბრა მ. ნიაური.

170. ედილაშვილი ც. გაბრიელ ეპისკოპოსი მართლმადიდებელი ქრისტიანობისა და ეკლესიის ეროვნული მნიშვნელობის შესახებ // მნათობი . – 2001 . - № 3 – 4 . – გვ. 103 – 105.

„ქადაგებების“ მიხედვით (იმერეთის ეპისკოპოსი, ერისკაცობაში გერასიმე ქიქოძე : 1825 – 1896).

171. ერემაძე-ჟვანია ნ. კაცი სრული და ღმერთი სრული // ომეგა . – 2003 . - № 2 (40) . – გვ. 24 – 27. რეზ. ინგლ. ენაზე.

სახარების სასწაულების არსში გარკვევის ცდა. ახალ აღთქმაში მოცემული იესოს სასწაულების განხილვა.

172. ვახნაძე თ. დიპლომატიური კონტაქტები ათონის „ვირონზე“ გაბატონებისათვის : („ქართულ-ბერძნულ-რუსული პროცესი“, XIX ს-ის II ნახევარი) // კულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხები . – 2004 . - № 19 . – გვ. 45 – 52. რეზ. ინგლ. ენაზე.

რუსული პოლიტიკურ-სარწმუნოებრივი და საბერძნეთის სარწმუნოებრივი მიზნების შეჯახება, ბერძნულ-ქართული დავა „ვირონისთვის“ და ათონის ქართველი ბერების ბრძოლა „ვირონზე“ უფლებების შენარჩუნებისათვის.

173. ვაჭრიძე გ. რუსეთის ცარიზმის საეკლესიო პოლიტიკა დასავლეთ საქართველოში : (XIX ს-ის პრველი მესამედი) // ლოგოსი : ქრისტიანული კვლევის საერთაშორისო ცენტრი . – 2003 . – ტ. 1 . – გვ. 64 – 71. რეზ. რუს. და ინგლ. ენებზე.

დასავლეთ საქართველოს ეკლესიის რუსიფიკაცია. იმერეთში ეპარქიათა რაოდენობის შეკვეცა და ერთი ეპარქიის შექმნა. ეპარქიის მმართველად არქიეპისკოპოს სოფრონოსის დანიშვნა. მისი წვლილი საეკლესიო რეფორმის გატარებაში.

174. თავბერიძე ე. რეკვიემი ცოდვილთათვის // ომეგა . – 2002 . - № 11 (37) . – გვ. 24 – 27. რეზ. ინგლ. ენაზე.

XX საუკუნის 20-30 წლებში, ქ. ქუთაისში განხორციელებული ვანდალური აქციები სამლოცველოებისა და ტაძრების გასანადგურებლად.

175. თვედორაძე დ. საეკლესიო ცხოვრების ზოგიერთი ეპიზოდი 1918 – 1921 წლებში // საქართველოს ახალი ისტორიის საკითხები . – 2004 . – ტ. 7 . – გვ. 294 – 303. რეზ. რუს. ენაზე.

ეკლესიისათვის ქონების ჩამორთმევა, საღვთო სჯულის სწავლების გაუქმება სკოლებში. ქართული პრესის („ერთობა“, „საქართველო“) დამოკიდებულება რელიგიის საკითხებთან დაკავშირებით.

176. იაკობაშვილი ი. საეკლესიო სანთლის დამზადებისა და სანთლებით ვაჭრობის პოლიტიკა XIX საუკუნის საქართველოში // ლოგოსი : ქრისტიანული კვლევის საერთაშორისო ცენტრი . – 2004 . – ტ. 2 . – გვ. 37 – 43. რეზ. ინგლ. ენაზე.

ეკლესიისა და ხელისუფლების შეწყობილი საქმიანობა სანთლის წარმოებისა და მისი რელიგიის მოწესრიგების საქმეში,

რამაც განაპირობა ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის სტაბილური შემოსავალი.

177. ითონიშვილი ვ. ქრისტიანული სარწმუნოების განმტკიცებისათვის ბრძოლა ფეოდალიზმის ხანის აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში // მნათობი . – 2002 . - № 3 – 4 . – გვ. 122 – 128.

საისტორიო წერილობითი წყაროებისა და ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით.

178. კიკნაძე ვ. ახალი ათონი – რუსეთის სინოდის საეკლესიო პოლიტიკის დასაყრდენი ამიერკავკასიაში // ლოგოსი : ქრისტიანული კვლევის საერთაშორისო ცენტრი . – 2003 . – ტ. 1 . – გვ. 72 – 78. რეზ. რუს. და ინგლ. ენებზე.

1875 წელს დაარსებული ახალი ათონის მონასტრის სამისიონერო საქმიანობა, რომლის მიზანსაც კავკასიაში რუსული სახელმწიფოს განმტკიცება, მოსახლეობის გარუსება და სოხუმის მხარის საქართველოდან მოწყვეტა წარმოადგენდა.

179. კიკნაძე ვ. მოძღვარი და საზოგადოება : (გაბრიელ ქიქოძე, კირიონ საძაგლიშვილი, პეტრე კონჭოშვილი – ქრისტიანულ მოძღვრებასა და სამწყსოს ურთიერთდამოკიდებულების შესახებ) // ლოგოსი : ქრისტიანული კვლევის საერთაშორისო ცენტრი . – 2004 . – ტ. 2 . – გვ. 56 – 63. რეზ. ინგლ. ენაზე.

XIX საუკუნის ქართველ სასულიერო მოღვაწეთა შეხედულებანი მოძღვრის როლზე სამწყსოსთან მიმართებაში.

180. მაისურაძე რ. ბაზელის ევანგელიკური მისია და გერმანელი ლუთერანები საქართველოში // ფილოსოფიური ძიებანი . – 2004 . – ტ. 8 . – გვ. 290 – 297. რეზ. გერმ. ენაზე.

შვეიცარიელი მისიონერების გამოჩენა საქართველოში 1823 წელს, მოღვაწეობა გერმანულ კოლონიებში, ურთიერთობები გერმანელ ლუთერანებთან და ქართველ მართლმადიდებლებთან. ბაზელის ევანგელიკური ცენტრის წარმომადგენლები: ფელიციან ცარემბა, ჰაინრიხ დიტრიხი, ვ. ბენცი. გ. ჰუმელის ინიციატივით 1993 წელს ქ. თბილისის სვანეთის უბანში ევანგელიკურ-ლუთერანული ეკლესიის აგების ისტორია.

181. მაღრაძე ე. წმიდაო დიდმოწამეო გიორგი... // ომეგა . – 2002 . - № 7 (33) . – გვ. 98 – 101. რეზ. ინგლ. ენაზე.

საქართველოს ხელოვნების მუზეუმის საგანძურში დაცული შუა საუკუნეების ქართული ტიხროვანი მინანქრის ორი ძეგლის – „წმინდა გიორგი ურჩხულის მლახვრავის“ და „წმინდა გიორგი ათავისუფლებს მეფის ასულს“ წარმომავლობისა და ორიგინალობის საკითხის განხილვა.

182. მაჭარაშვილი გ. მეუფე კირიონი და მიხეილ თამარაშვილი : კირიონის კრიტიკული შენიშვნები მ. თამარაშვილის პირველ მონოგრაფიაზე // მნათობი . – 2002 . - № 5 – 6 . – გვ. 145 – 147.

შცსსა-ში, კირიონის პირად სარქივო ფონდში დაცული მასალები 1902 წ. გამოცემულ მ. თამარაშვილის მონოგრაფიაზე „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის“.

183. მინდაძე ნ. ეკლესია-მონასტრების სოციალური ფუნქციის საკითხისათვის // ლოგოსი : ქრისტიანული კვლევის საერთაშორისო ცენტრი . – 2004 . – ტ. 2 . – გვ. 133 – 139. რეზ. ინგლ. ენაზე.

სასულიერო პირთა სამკურნალო და სამედიცინო-საგანმანათლებლო საქმიანობა, ავგაროზის ქრისტიანული გააზრება და ფუნქცია – ადამიანის დაავადებისაგან დაცვა.

184. მჭედლიშვილი ლ. აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები სექტანტების (დუხობორებისა და მოლოკნების) რელიგიური შეხედულებები და წეს-ჩვეულებები (XIX ს.) // თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები . – 2001 . - № 3 (12) . – გვ. 106 – 117. რეზ. ინგლ. ენაზე.

185. ნებიერიძე მ. ბოლბეს წმინდა ნინოს დედათა მონასტრის სასწავლებელი და მიხეილ საბინინი : (XIX ს-ის 70 – 80-იანი წლები) // კულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხები . – 2004 . - № 19 . – გვ. 60 – 65. რეზ. ინგლ. ენაზე.

XIX ს-ის 80-იან წწ-ში სასულიერო მწერლობის მკვლევარისა და ღვთისმეტყველების კანდიდატის მიხეილ საბინინის მიერ ბოლბეს დედათა მონასტერთან ქალთა სკოლის გახსნა და ამით მონასტრის გადარჩენა საბოლოო განადგურებაგადაგვარებისაგან.

186. ნებიერიძე-ვანხაძე მ. ბოლბეს წმინდა ნინოს მონასტერი რუსეთის იმპერიის ეკონომიკურ სისტემაში და საეკლესიო რეფორმის შედეგები (XIX ს. I ნახევარში) // კულტურის ისტორიისა და

თეორიის საკითხები . – 2004 . - № 20 . – გვ. 89 – 96. რეზ. ინგლ. და რუს. ენებზე.

რუსეთის მიერ საქართველოს ეკლესია-მონასტრების ქონებით დაინტერესება და მტკივნეული საეკლესიო რეფორმა. საეკლესიო მიწების ექსპროპრიაცია და სახელმწიფო ხაზინაზე გადაცემა, საეკლესიო შემოსავლების მითვისება, ძარცვა და ეკლესიის უფლებების შეზღუდვა.

187. ნებიერიძე მ. წმინდა ნინოს დედათა მონასტრის მნიშვნელობა რუსეთის იმპერიალისტურ ომებში : (XX ს. 10-იანი წლები) // კულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხები . – 2004 . - № 18 . – გვ. 164 – 170. რეზ. ინგლ. ენაზე.

ბოდბეს წმინდა ნინოს მონასტერში მიმდინარე რუსიფიკაციის პროცესი, რომელსაც აქ განწესებული რუსი წინამძღვრები და მონაზვნები ეწეოდნენ. მონასტრის ისტორიის ერთი ეტაპი რუსეთის იმპერიის საგარეო ომების ფონზე და მონასტრის ფუნქცია – დახმარებოდა ფრონტის ხაზს.

188. პავლიაშვილი ლ. რუსეთის საგანმანათლებლო-მისიონერული საქმიანობა ნესტორიანელთა შორის (XIX ს.) // კულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხები . – 2004 . - № 19 . – გვ. 66 – 72. რეზ. ინგლ. ენაზე; № 20 . – გვ. 106 – 112. რეზ. ინგლ. და რუს. ენებზე.

რუსეთის პოლიტიკა ამიერკავკასიელი ქრისტიანი ნესტორიანელებისა და ირანის ტერიტორიაზე მცხოვრები ქალღვევლი ქრისტიანების (აისორები, ასირიელები, ასურიტები) მიმართ მათი მართლმადიდებლად მოქცევის მიზნით.

189. პავლიაშვილი ქ. რუსეთის საეკლესიო პოლიტიკის შედეგები აფხაზეთში : (1811 – 1917 წლები) // კულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხები . – 2004 . - № 19 . – გვ. 53 – 59. რეზ. ინგლ. ენაზე.

რუსული სამხედრო ახალშენები, სექტანტური ოჯახების ჩასახლება, სამისიონერო საქმიანობა, საგანმანათლებლო მისიები, სოხუმის ეპარქიის რეორგანიზაცია.

190. რაფავა მ. ღვთისმეტყველების გაგებისათვის გრიგოლ ნაზიანზელის პირველი თეოლოგიური სიტყვის (ორ 27) ქართული თარგმანების მიხედვით // ლოგოსი : ქრისტიანული კვლევის

საერთაშორისო ცენტრი . – 2004 . – ტ. 2 . – გვ. 167 – 174. რეზ. ინგლ. ენაზე.

გრიგოლ ნაზიანზელის თეოლოგიური წერილი ღვთისმეტყველების რაობის შესახებ. ქართველი მთარგმნელების – გრიგოლ ოშკელის X ს-ში სომხურიდან თარგმნილი და ევრემ მცირის XI ს-ში ბერძნული ორიგინალიდან შესრულებული თარგმანების განხილვა.

191. როგავა გ. საქართველოსა და რუსეთის ეკლესიების ურთიერთობის ისტორიიდან : XX ს. I ნახევარი // მნათობი . – 2002 . - № 7 – 8 . – გვ. 139 – 142.

რუსეთის ეკლესიის უარყოფითი დამოკიდებულება საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისადმი. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ კალისტრატე ცინცაძის ღვაწლი საქართველოსა და რუსეთის ეკლესიებს შორის ურთიერთობის აღდგენის საქმეში.

192. საითიძე გ. ქართველთმოყვარე რუსი – ნიკოლოზ დურნოვო // ომეგა . – 2002 . - № 12 (38) . – გვ. 70 – 75. რეზ. ინგლ. ენაზე.

ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიისადმი მიძღვნილი რუსი პუბლიცისტის ნაშრომების განხილვა. ურთიერთობა საქართველოს სინოდსა და ქართველ საზოგადო მოღვაწეებთან.

193. სახიაშვილი ს. „დიდი სჯულისკანონის“ ქართულ ენაზე თარგმნის საკითხისათვის // კულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხები . – 2004 . – ტ. 19 . – გვ. 36 – 44. რეზ. ინგლ. ენაზე.

920 წ. კონსტანტინეპოლის საეკლესიო კრებაზე „დიდი სჯულისკანონის“ (ცნობილია 14-ტიტლოვანი ნომოკანონის 883 წ. რედაქციით, იგივე „ფოტის ნომოკანონი“) საეკლესიო სამართლის ძირითად კოდექსად აღიარება. არსენ იყალთოელის მიერ მისი თარგმნა ქართულად სრული სახით XII ს-ში.

194. სილაგაძე ე. მებრძოლ უღმერთოთა კავშირის ადგილი ანტი-სარწმუნოებრივ იდეოლოგიაში : (1927 – 1947 წწ.) // კულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხები . – 2004 . - № 19 . – გვ. 92 – 98. რეზ. ინგლ. ენაზე.

რელიგიასა და ეროვნულობასთან საბრძოლველად ბოლშევიკების მიერ შექმნილი „მებრძოლ უღმერთოთა კავშირი“ („მუკი“).

„მუკის“ პირველი ყრილობა საქართველოში 1929 წ., ათეზმის ქადაგება და ეკლესიების დახურვა.

195. ტატიშვილი ი. ხეთური რელიგია . – თბ. , 2001 . – 204 გვ.

რეც. : სურგულაძე ი. // კავკასიურ-ახლო აღმოსავლური კრებული . – 2004 . – ტ. 11 . – გვ. 281 – 298.

196. ფარცხალაძე ედ. ხონის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია // ენის სახლი . – 2002 . - № 2 . – გვ. 10 – 11.

მე-11 ს-ის ძეგლის როლი ქვემო იმერეთის კულტურულ-საგანმანათლებლო ცხოვრებაში.

197. ქართველიშვილი თ. ჭანეთის (ლაზეთი) ზოგადისტორიული – საეკლესიო მიმოხილვა // კულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხები . – 2004 . - № 19 . – გვ. 17 – 26. რეზ. ინგლ. ენაზე.

ისტორიულ ჭანეთში არსებული საეკლესიო ვითარების მოკლე მიმოხილვა უძველესი დროიდან (ჩვ.წ.-ის I ს.) დღემდე.

198. ქაჯაია ნ. ლიტანია და პროსკომიდიის (ჟამისწირვის) ღოცვა წინაანაფორულ რიტუალში // ღოგოსი : წელიწადეული ელინოლოგიასა და ლათინისტიკაში . – 2003 . – ტ. 1 . – გვ. 309 – 335. რეზ. რუს. ენაზე.

ამ ორი ლიტურგიკული ელემენტის: ლიტანიის გალობისა და ჟამისწირვის ღოცვის განხილვა ქართული და ბერძნული მასალის ანალიზის საფუძველზე. „მშვიდობის ანგელოზის ვედრებები“ ბასილი დიდისა და იოანე ოქროპირის ჟამისწირვებში.

199. ქოქრაშვილი ხ. საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის საკითხი და ქართველი სამღვდელთა (1905 – 1913 წწ.) // საქართველოს ახალი ისტორიის საკითხები . – 2004 . – ტ. 7 . – გვ. 109 – 130.

1905 – 1913 წწ. ქართველი სამღვდელთა დამსახურება და როლი საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის პრობლემის წამოჭრისა და მისი გადაწყვეტის გზების მოძიების საქმეში.

200. ღაღანიძე მ. ერთგული : (კათოლიკოს-პატრიარქ კირიონის გარდაცვალების 80 წლისთავის გამო) // ომეგა . – 2003 . - № 6 (44) . – გვ. 50 – 51. რეზ. ინგლ. ენაზე.

ერისკაცობაში გიორგი საძაგლიშვილი. ცხოვრება და მოღვაწეობა.

201. ღლონტი მ. რჯულის მორჩილი თუ კანონმორჩილი? : (ვერვის ხელ-ეწიფების ორთა უფადთა მონებად“ – მათე 6, 24) // ლოგოსი : ქრისტიანული კვლევის საერთაშორისო ცენტრი . – 2004 . – ტ. 3 . – გვ. 15 – 20. რეზ. ინგლ. ენაზე.

რჯულისა და კანონმდებლობის შერწყმის ე.წ. თეოკრატიული მმართველობის ფორმა; უფლის სწავლებისა და იგავური მითითების რამდენიმე მაგალითი დასმულ კითხვასთან დაკავშირებით (სახარების მიხედვით).

202. ყიფიანი გ. „ახალ ინტელექტუალ-ლიბერალთა“ სამიზნეში მართლმადიდებლობა და საზოგადოებრივ-ეკონომიკური განვითარების პერსპექტივები // ლოგოსი : ქრისტიანული კვლევის საერთაშორისო ცენტრი . – 2004 . – ტ. 3 . – გვ. 152 – 156. რეზ. ინგლ. ენაზე.

განხილულია თანამედროვე ქართულ საზოგადოებათმცოდნეობაში არსებული მოსაზრებები, რომელთა თანახმად დემოკრატიის მშენებლობის ან განვითარების აუცილებელ პირობად ისახება მოსახლეობის ძირითადი კონფესიური ორიენტაციის შეცვლა, რადგან ეს ორიენტაცია საფუძვლად უდევს ქართულ ხასიათს და ამიტომ დაბრკოლებას უქმნის განვითარებას.

203. ჩხარტიშვილი ც. ჯუმათის მონასტრის მღვდელმთავრები // საქართველოს ახალი ისტორიის საკითხები . – 2004 . – ტ. 7 . – გვ. 164 – 168. რეზ. ინგლ. ენაზე.

ჯუმათის მონასტერი და მისი მღვდელმთავრები XIX ს-ის დასაწყისში.

204. წერეთელი ლიკა ზ. გრაალის მითოლოგიური ასპექტი // კრიტიკური უმი . – 2004 . - № 10 . – გვ. 116 – 119.

ოქროს საწმისის მიხნევა გრაალის ერთ-ერთ პრექრისტიანულ პარადიგმად.

205. ჯავახია ბ. გოთი ეპისკოპოსი საქართველოში (VIII ს.) // კულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხები . – 2004 . - № 18 . – გვ. 276 – 279. რეზ. გერმ. ენაზე.

ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებული ცნობა გოთი ეპისკოპოსის საქართველოში, მცხეთაში ეპისკოპოსად ხელდასხმის

შესახებ. იოანე გოთელი ეპისკოპოსის ყირიმის გოთეთიდან წარმომავლობა, მისი საქართველოში კურთხევის მიღების მნიშვნელობა საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ავტორიტეტის დასადასტურებლად.

206. ჯანელიძე ო. საქართველოს ეკლესია და პოლიტიკური პარტიები XX საუკუნის პირველ ოცწლეულში // ლოგოსი : ქრისტიანული კვლევის საერთაშორისო ცენტრი . – 2003 . – ტ. 1 . – გვ. 87 – 95. რეზ. რუს. და ინგლ. ენებზე.

ქართველი სამღვდელოებისა და პოლიტიკური პარტიების (სოციალ-ფედერალისტები, ეროვნულ-დემოკრატები) ბრძოლა ქართული ეკლესიის შეღახულ უფლებათა და ავტოკეფალიის აღდგენისათვის.

207. ჯაფარიძე ა. ეკლესია ერის მაკონსოლიდირებელი ძალა : თბილისის 1748 წლის კრება // ლოგოსი : ქრისტიანული კვლევის საერთაშორისო ცენტრი . – 2004 . – ტ. 2 . – გვ. 8 – 12. რეზ. ინგლ. ენაზე.

მიგე ერეკლე II-ის ბრძანებით მოწვეული საეკლესიო კრების დაბუღებანი საქართველოს ეკლესიის იურისდიქციის, საეკლესიო ლიტურგიული ენის განვრცობის, ძველი ქართული საეკლესიო-სახელმწიფოებრივი წესრიგის აღდგენისა და სხვა საკითხების შესახებ.

208. ჯაფარიძე ა. საქართველოს ეპისკოპოსი VII მსოფლიო კრებაზე (787 წ.) // ლოგოსი : ქრისტიანული კვლევის საერთაშორისო ცენტრი . – 2004 . – ტ. 3 . – გვ. 8 – 14. რეზ. ინგლ. ენაზე.

ნიკეაში შემდგარ მეშვიდე მსოფლიო საეკლესიო კრებაზე დამსწრე ეპისკოპოსის – ქრისტეფორე ტრაპეზუნტელის ქართველი მართლმადიდებელი მრევლის იერარქად მიჩნევის საკითხის განხილვა, რომელსაც ჰქონდა ტიტული „ქრისტეფორე ეპისკოპოსი ფასისისა ანუ ტრაპიზონისა“.

209. ჯაფარიძე ა. საქართველოს სამოციქულო ეკლესია – მესამე ათასწლეულის დასაწყისი : (მისასალმებელი სიტყვა, თქმული საერთაშორისო სიმპოზიუმის „ქრისტიანობა: წარსული, აწმყო, მომავალი“ გახსნის დღეს) // ლოგოსი : ქრისტიანული კვლევის საერთაშორისო ცენტრი . – 2003 . – ტ. 1 . – გვ. 7 – 12. რეზ. რუს. და ინგლ. ენებზე.

საქართველოს ეკლესიის ისტორიის განხილვა დასაბამიდან ჩვენს დრომდე.

210. ჯაფარიძე შ. გაზეთი „ცნობის ფურცელი“ და საქართველოს ეკლესიის საკითხები // კულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხები . – 2004 . - № 19 . – გვ. 83 – 91. რეზ. ინგლ. ენაზე.

სოციალ-ფედერალისტთა ორგანოს – გაზეთ „ცნობის ფურცლის“ სტატიებში საქართველოს ეკლესიის წინაშე მდგარი პრობლემებისა და ეკლესიაში მიმდინარე პროცესების ფართოდ გაშუქება (1905 – 1907 წწ.).

211. Панджикидзе Т. Глобализм и традиционализм в религиозном пространстве Грузии // ფილოსოფიური ძიებანი . – 2004 . – ტ. 8 . – გვ. 284 – 289. რეზ. ინგლ. ენაზე.

Глобализм и традиционализм как конкурирующие векторы в развитии этнических культур Кавказа на примере Грузии.

212. Житіє св. Ніни просвітительки Грузії // Хроніка – 2000 . – 2001 . – Вип. 44 . – с. 25– 31.

წმინდა ნინოს ცხოვრების ისტორია. „წმ. ნინოს ცხოვრების“ ხელნაწერის უკრაინული ვერსია.

213. Цихіставі Н. «...Щоб усі люди поратувалися і прийшли до розуміння істини...» // Хроніка – 2000 . – 2001 . – Вип. 44 . – с. 32 – 38.

ქრისტიანობის გავრცელება საქართველოში და წმ. ნინოს ცხოვრების ამსახველი ფაქტები.

## სტატისტიკა

214. კბილაძე დ. სტატისტიკური ინფორმაციის ხარისხის უზრუნველყოფის თანამედროვე მიმართულებები საქართველოში // საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შტაბი : ეკონომიკის სერია . – 2004 . – ტ. 12 . - № 1 – 2 . – გვ. 124 – 137. რეზ. ინგლ. და რუს. ენებზე.

სტატისტიკის, როგორც სოციალურ-ეკონომიკური მოვლენებისა და პროცესების შემეცნების ძირითადი ინსტრუმენტის რეფორმირებისა და საერთაშორისო სტანდარტებზე გადაყვანის აუცილებლობა.

## დემოგრაფია.

215. ავალიშვილი გ. საქართველოს მოსახლეობის სოციალური სტრუქტურა ძველი ლითონების ხანაში . – თბ., 2004 . – 99 გვ.

ამიერკავკასიის ტომთა კულტურული და მიგრაციული ხასიათის კავშირთიერთობები ძველი აღმოსავლეთისა და ევროპის უძველეს მოსახლეობასთან არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგების ანალიზის საფუძველზე.

216. Миграции на Кавказе : Материалы конференции / Отв. Ред. А. Искандарян . – Ереван, 2003 . – 132 с.

В сборник включены материалы по миграции, социологии, политологии и этнологии. Авторы статей: А. Искандарян, Г. Витковская, В. Дятлов, Л. Хопёрская и др.

217. აბაშიძე ნ. ეთნოლოგიური პროცესები XIX საუკუნის საქართველოს სომხურ მოსახლეობაში // ლოგოსი : ქრისტიანული კვლევის საერთაშორისო ცენტრი . – 2004 . – ტ. 2 . – გვ. 98 – 103. რეზ. ინგლ. ენაზე.

საქართველოში სომხური მოსახლეობის მიგრაციისა და ქართული მოსახლეობის არმენიზაციის პროცესების ხასიათი. ქართული მოსახლეობის სომხური გრიგორიანული და თურქული მუსლიმური რელიგიების გავლენის ქვეშ მოქცევა, რასაც საქართველოში გაბატონებული რუსეთის იმპერია უჭერდა მხარს.

218. გაბადაძე ე. 2002 წლის აღწერა // მაკრო მიკრო ეკონომიკა . – 2001 . - № 12 (49) . – გვ. 18 – 20. ტექსტი ქართ. ინგლ. და რუს. ენებზე.

მზადების პროცესი დამოუკიდებელ საქართველოში მოსახლეობის პირველი საყოველთაო აღწერისათვის 2002 წელს.

219. დუმბაძე ს. მომსახურების კულტურის ისტორიიდან აჭარაში XX ს. 40 – 50-იან წლებში // ლიტერატურული აჭარა . – 2001 . - № 12 . – გვ. 78 – 82.

მოსახლეობის სავაჭრო, საყოფაცხოვრებო-კომუნალური და სამეურნეო მომსახურების სისტემა, ჯანმრთელობის დაცვის სფერო.

220. ზამთარაძე ე. მათთვის ქართველობა მძიმე ხვედრია // ენის სახლი . - 2002 . - № 2 . - გვ. 2 - 3.

სამტრედიის რაიონის სოფელ იანეთში დეპორტირებულ თურქ-მესხთა ცხოვრება, მათი დამოკიდებულება საქართველოსა და სახელმწიფო ენისადმი.

221. მენაბდიშვილი ე. დემოგრაფიული ვითარება გურიის რეგიონში // სოციალური ეკონომიკა . - 2001 . - № 4 . - გვ. 36 - 43.

222. ტაბლიაშვილი ზ. მოსახლეობის მიგრაცია სოციალურ პრობლემათა ჭრილში / ზ. ტაბლიაშვილი, ჯ. ჯანჯღავა // მაკრო მიკრო ეკონომიკა . - 2001 . - № 9 (46) . - გვ. 41 - 43. ტექსტი ქართ., ინგლ. და რუს. ენებზე.

საქართველოში მიმდინარე მიგრაციული პროცესების ანალიზი.

223. ტუხაშვილი მ. ქვემო ქართლის მოსახლეობის შრომითი მიგრაცია / მ. ტუხაშვილი, გ. მაჭარაშვილი // სოციალური ეკონომიკა . - 2000 . - № 4 . - გვ. 30 - 38.

შრომითი მიგრაციის შეფასება შერჩევითი გამოკვლევის მეთოდის მიხედვით.

224. ჩიქავა ლ. ორ-სამ წელიწადში დეპოპულაციის პერსპექტივით უწერია თუ არა გადაშენება ქართველებს? // მაკრო მიკრო ეკონომიკა . - 2001 . - № 6 (43) . - გვ. 35.

საუბარი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტის დირექტორ ლ. ჩიქავასთან საქართველოს დემოგრაფიულ მდგომარეობაზე.

225. ხანგოშვილი მ. თუ საქართველოს ეშველება... // საქართველოს ქალი . - 2002 . - № 1 - 2 . - გვ. 6 - 7.

ინტერვიუ კავკასიური სახლის ჩეჩნურ-ინგუშური სექტორის ხელმძღვანელ მექა ხანგოშვილთან მის ოჯახსა და პანკისის ხეობის ქისტებისა და ქართველების ურთიერთდამოკიდებულების შესახებ / ესაუბრა ლ. კაკაბაძე.

226. ჯიქია მ. საქართველოში ორმაგი მოქალაქეობის თავიდან ასაცილებლად // სოციალური ეკონომიკა . - 2001 . - № 4 . - გვ. 87 - 92.

სტატია ეხება ჩვენი მოქალაქეების მიერ სხვა ქვეყანაში საცხოვრებელი უფლებებისა და მოქალაქეობის მიღების საკითხს საბერძნეთის მაგალითზე.

227. ჯიქია მ. შრომითი მიგრანტების ზოგიერთი პრობლემა თურქეთის რესპუბლიკაში // სოციალური ეკონომიკა . – 2001 . - № 3 . – გვ. 38 – 42.

საქართველო-თურქეთს შორის მიგრაციული პროცესების სახელმწიფოებრივი რეგულირების საკითხი.

### **პოლიტიკა. პოლიტიკური პარტიები. ეროვნული საკითხი**

228. ანანიაშვილი გ. ვისაც მტერობა მოსწყურდეს, გააღოს სახლის კარია ... : ჩვენ აღვადგენთ ქვეყნის მთლიანობას და დავიბრუნებთ საქართველოს № – თბ., 2004 . – 101 გვ.

იმპერიული რუსეთის მზაკვრული პოლიტიკა და მისი მესხეთე კოლონა საქართველოში, ეთნოკონფლიქტების მოგვარების რუსული „მოდელი“, პარტიზანული მოძრაობა აფხაზეთში, მონაზრებები საქართველოს საგარეო პოლიტიკის შესახებ.

229. არჩვაძე ი. „თუ დავივიწყო, აფხაზეთო!“... : პუბლიცისტური სტატიების კრებული . – თბ., 2004 . – 144 გვ.

1992–93 წლების ქართულ-აფხაზური კონფლიქტი, მისი შედეგები და დაძლევის გზები.

230. ბლუაშვილი უ. სამოქალაქო ინტეგრაციის პრობლემები სამცხე-ჯავახეთში / უ. ბლუაშვილი , ც. მესხიშვილი . – თბ., 2004 . – 35 გვ.

ეროვნული ბარიერისა და სკოლების პრობლემა, დისკრიმინაციის გამოვლინება, ავტონომიის მოთხოვნა, ეთნიკურ უმცირესობათა პოლიტიკური პარტიების შექმნა ჯავახეთში.

231. გამახარია ჯ. ზვიად გამსახურდიას პოლიტიკა აფხაზეთში (1990 – 1993 წწ.) . – თბ., 2004 . – 28 გვ.

232. ზარიძე ვლ. აფხაზეთი – ტაბუდადებული ისტორიის საკითხები : ფაქტები, მხოლოდ ფაქტები . – თბ., 2004 . – 112 გვ.

საქართველოს ისტორიის აქტუალური პრობლემები. „აფხაზეთის“ სახელმწიფოებრივი წარმონაქმნის შექმნის მიზეზი, მიზანი და ისტორია. მეფე არჩილ მეორის როლი „აფხაზეთის“, როგორც დამოუკიდებელი ერთეულის შექმნაში. სეპარატიზმი და მისი შედეგები.

233. ზაქარიაძე ნ. საუბრები და მოგონებები სტალინზე . – თბ., 2004 . – 433 გვ.

სტალინის ბავშვობა და ყრმობა მისი დედის, ეკატერინე გელაძე-ჯულაშვილის მოგონებებში. მუზეუმებში დაცული უნიკალური ექსპონატები, ქართველი და უცხოელი მეცნიერების, მწერლების, საზოგადო მოღვაწეების, სამხედრო პირებისა და სახელმწიფო მეთაურების მოსაზრებანი სტალინის შესახებ.

234. ზვიად გამსახურდია , 65 . / [რედ . : ს. საჯიაა და სხვ.] . – თბ., 2004 . – 224 გვ.

საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას ცხოვრება და საქმიანობა. მისი კონცეფცია ქართველი ერის ისტორიის შესახებ, დამოკიდებულება ავტონომიების მიმართ, ლიტერატურულ-ესთეტიკური სამყარო. ზვიად გამსახურდია და თარგმანის საკითხები.

235. თევზაძე გ. საქართველო : ძალაუფლების დაბრუნება . – თბ., 2003 . – 146 გვ.

საქართველოს დაბრუნება შუა საუკუნეების ძალაუფლების სივრცეში, რადიკალური ცვლილებების აუცილებლობა ტოტალური მიმართულებების ჩასანაცვლებლად. სამოქალაქო საზოგადოება, მისი ჯგუფები და შემადგენლობა. პოლიტიკური მდგომარეობა და დემოკრატია საქართველოში.

236. კაპანაძე გ. ქართული მედია და დემოკრატიზაციის პროცესი საქართველოში . – თბ., 2004 . – 254 გვ.

დემოკრატიზაციის პროცესში წარმოქმნილი სირთულეები, არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ სამოქალაქო საზოგადოების ფორმირების მიზნით გაწეული საქმიანობა, აზრთა პლურალიზმისა და მრავალპარტიულობის პირობებში ოპონენტებს შორის თანამშრომლობა, საარჩევნო კულტურა და სხვ. უკანასკნელი 15 წლის განმავლობაში მედიაში გამოქვეყნებული მასალების ანალიზი.

237. მახარაძე მ. ავანტიურა აჭარის სახელით . – ბათუმი, 2004 . – 64 გვ.

პირადი კეთილდღეობისა და საკუთარი პოლიტიკური მიზნებით აჭარის ხელისუფლებასთან დაკავშირებული პიროვნებები, მათი პოზიციები და ქმედებები.

238. საჯაია სერგი (გიორგი). ზვიად გამსახურდია – საქართველოს წინამძღოლი ქრისტესმხედრული მოვალეობით; შვედრენაძის პოლიტიკური სტრიპტიზი; გულისტკივილით აწონილი ახსნა-განმარტება მომავალს . – თბ., 2004 . – 100 გვ.

239. სიხარულიძე გ. ფედერალიზმი, მითი და რეალობა . – თბ., 2004 . – 166 გვ.

საქართველოს ხელისუფლების, ქვეყნის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის, ფედერალიზმის საკვანძო პრობლემებისა და „საქართველოს ფედერაციული რესპუბლიკის კონსტიტუციის“ პროექტის (მიღებული 1995 წ. 1 მარტს საქართველოს სახალხო პარტიის მეათე კონფერენციაზე) განხილვა.

240. ურუშაძე რ. უღმერთო დღეები . – თბ., 2004 . – 47 გვ.  
1989 – 1991 წწ. მოვლენები თბილისში.

241. ქურხული ა. ... და რომ გახსოვდეს . – თბ., 2004 . – 446 გვ.  
1921–1953 წლებში კომუნისტური რეჟიმის მიერ საქართველოში პოლიტიკური მოტივით რეპრესირებული მედიკოსები. რეპრესირების მექანიზმი, მისი სახეები და მასშტაბები.

242. შენგელია გ. მამულიშვილები : (ისტორიული პორტრეტები) / გ. შენგელია, ე. ცქიტიშვილი . – თბ., 2004 . – 80 გვ.  
სულხან-საბა ორბელიანის, გარსევან ჭავჭავაძის, სოლომონ დოდაშვილისა და გიორგი მაზნიაშვილის ეროვნულ-პატრიოტული საქმიანობა.

243. შენგელია გ. ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზრის ისტორიიდან : (ზოგადი მიმოხილვა) / გ. შენგელია, ი. ტოლიაშვილი . – თბ., 2004 . – 50 გვ.

ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზრის დამოკიდებულება ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისადმი, საქართველოს პოლიტიკური ორიენტაცია.

244. შონია ა. აფხაზეთი : დანაშაულის ტოლფასი უთქმელობა . – თბ., 2004 . – 85 გვ.

უძველესი და დღევანდელი აფხაზების წარმომავლობა, ანტი-ქართული პროცესები და აფხაზური სეპარატიზმის წარმოშობის მიზეზები.

245. ჩარკვიანი კ. განცდილი და ნააზრევი . – თბ., 2004 . – 681 გვ.

კანდიდ ჩარკვიანის ცხოვრება და საქმიანობა, მისი ღვაწლი საქართველოს სოციალურ, პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში 1938–1952 წლებში საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად მუშაობის პერიოდში.

246. ჩიკვაიძე ალ. პოლიტიკური ჭადრაკი სამი სხვადასხვა ქვეყნის ელჩის თვალით . – თბ., 2004 . – 343 გვ.

დიპლომატი აღექვსანდრე ჩიკვაიძე თავისი ცხოვრების საინტერესო დეტალებისა და დიდ პოლიტიკაში ყოფნის ოცდაათწლიანი გამოცდილების თაობაზე.

247. ჩიტაია დ. აფხაზეთის პარლამენტის ისტორიიდან . – თბ., 2002 . – 44 გვ.

აფხაზეთის სოციალ-ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობა 1917–1918 წლებში, სახალხო საბჭო (იგივე აფხაზეთის პარლამენტი) 1919 წლის თებერვლის არჩევნების შემდეგ და აფხაზეთის სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი მოწყობის საკითხი აფხაზეთის სახალხო საბჭოში.

248. წელიწდეული : [თემატური კრებული / რედ . : გ. ლეკვიშვილი] . – თბ. , 2004 . – 283 გვ.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პოლიტოლოგიის ინსტიტუტისა და სხვა სამეცნიერო-კვლევითი ცენტრების მეცნიერ-თანამშრომლები 2003 წლის პოლიტიკურ მდგომარეობასა და „ვარდების რევოლუციაზე“ საქართველოში.

249. წერეთელი გრ. გენი, მამული, ენა და სარწმუნოება; წერეთელი მ. ერი, სამშობლო, კაცობრიობა . – თბ. , 2004 . – 42 გვ.

ერის გადარჩენისა და ეროვნული გენის თავისთავადობის შენარჩუნების გზები გრიგოლ და მიხაკო წერეთლების ნააზრევში.

250. Аспекты грузино-абхазского конфликта. Кн. 7 . : Материалы грузино-абхазской конференции : «Пакт стабильности на Кавказе и стратегия миротворческого процесса». Сочи, 19-23 марта 2001 г. – Ирвайн, 2001 . – 239 с.

Высказывания участников конференции: Т. Хидашели, Н. Акаба, Э. Джгереная, З. Шатиришвили, А. Инал-Ипа, Д. Ледерах, Д. Бердзенишвили, А. Лепся, З. Чиаберашвили.

251. Мархулия Г. Административная политика Российской империи на Южном Кавказе и вопросы армяно-грузинского антагонизма . – Тб., 2004 . – 59 с.

Обзор политики Российской империи на Южном Кавказе. Вопросы административного деления Закавказья и принципы возникновения армяно-грузинских противоречий.

252. Надо найти выход / [Ред .: А. Абрамишвили и Г. Зуакишвили] . – Тб., 2004 . – 203 с.

Материалы газеты «Кавказский акцент», посвященные грузино-абхазскому конфликту, собранные в одной книге.

253. Четерян В. Малые войны и большая игра / Пер . с англ. А. Гончегуляна. – Ереван, 2003 . – 126 с.

Анализ ситуации в постсоветском Северном и Южном Кавказе, причины и участники вооруженных конфликтов, возможные последствия для региона и место на мировой арене.

254. Чхенкели Л. Сила есть – ума не надо : Политика России относительно Грузии . – Тб., 2003 . – 363 с.

Анализ причин возникновения территориальных проблем Грузии (в Абхазской АР, Южной Осетии, Панкисском ущелье).

255. აბაშიძე ზ. ცბიერი და ორპირი დიპლომატების ეპოქა ისტორიას ჩაბარდა // მნათობი . – 2002 . – № 5 – 6 . – გვ. 119 – 121.

ინტერვიუ საქართველოს ელჩთან რუსეთში ზურაბ აბაშიძესთან მის ოჯახურ გარემოსა და საქართველო-რუსეთის თანამედროვე ურთიერთობებზე / ესაუბრა ლ. ბაშაღეიშვილი.

256. ავალიშვილი ზ. სოციალისტური პროპაგანდის წარმატება საქართველოში // ომეგა . - 2003 . - № 8 (46) . - გვ. 50 - 53. რეზ. ინგლ. ენაზე.

1910 წელს სანკტ-პეტერბურგში გამოქვეყნებულ კრებულში – „ეროვნული მოძრაობის ფორმები თანამედროვე სახელმწიფოებში, ავსტრო-უნგრეთი, რუსეთი, გერმანია“ – მოთავსებული პოლიტიკური მოღვაწის ზურაბ ავალიშვილის ნაშრომის ქართული თარგმანი.

257. არანისელი ა. ნიგერული დღიური // ომეგა . - 2003 . - № 11 (49) . - გვ. 40 - 49. რეზ. ინგლ. ენაზე.

ნიგერის დედაქალაქ ნიაამეში გამართული მსოფლიო ფრანკო-ფონური კვლევების საპარლამენტო ასამბლეის მორიგ შეკრებაზე სტუმრის სტატუსით წარმოდგენილი ქართული დელეგაციის წევრების, პარლამენტარების მარინა მოლოდინისა და ნატო ჩხეიძის, ტელეკომპანია „იბერიის“ წამყვანის ლუბა ელიაშვილის შთაბეჭდილებები.

258. ბაქრაძე ლ. ოცნება ტრაპიზონის ოლქკომზე : თურქეთი – საქართველო : 1945 / 1946 // ომეგა . - 2002 . - № 5 (31) . - გვ. 98 - 101. რეზ. ინგლ. ენაზე.

საბჭოთა რუსეთის პოლიტიკა თურქეთის მიმართ. საქართველოს დაკარგული ტერიტორიები, საზღვრები და ქართული ინტელიგენცია რუსეთ-თურქეთის პოლიტიკური ურთიერთობების ფონზე.

259. ბორავსკი პ. საქართველო და კავკასიაში ისლამის აღორძინების პოლიტიკური ასპექტი : (პანკისის ხეობაში მიმდინარე ამგების შეუქმე) // ომეგა . - 2003 . - № 3 (41) . - გვ. 4 - 11. რეზ. ინგლ. ენაზე.

პოლონელი მოღვაწის პ. ბორავსკის წერილი პოლონურ ჟურნალ „სპრავი პოლიტიჩნეს“ 2002 წლის სექტემბრის ნომერში / თარგმნა ა. გრიშოკაშვილმა.

260. ბრეგვაძე ც. ავბედიო წლების გამოცხადი // მნათობი . - 2001 . - № 5 - 6 . - გვ. 116 - 117.

ავტორის აზრით, 1924 და 1937 წლების რეპრესიები მწერლების, პუბლიცისტებისა თუ მეცნიერების მიერ მეტად უნდა იყოს წარმოჩენილი.

261. გვინიაშვილი ნ. ისტორიული პროცესები და სოციალური სტრუქტურების ანალიზი მიხაკო წერეთლის ნააზრევში // საქართველოს ახალი ისტორიის საკითხები . – 2004 . – ტ. 7 . – გვ. 199 – 213. რეზ. ინგლ. ენაზე.

მიხაკო წერეთლის სოციოლოგიური ხასიათის ფუნდამენტური გამოკვლევა „ერი და კაცობრიობა“. ძირითადი თემების (საზოგადოება, ერი, სახელმწიფო, ისტორიისა და სოციოლოგიის ურთიერთმიმართების საკითხები) მიმოხილვა.

262. გრიგოლია თ. საქართველოს გეოსტრატეგიული ადგილი საერთოევროპული უსაფრთხოების სისტემაში და მისი დაახლოება ნატოს სტრუქტურებთან // სტუდენტთა და ახალგაზრდა მეცნიერთა შრომები (ბათუმის უნ-ტი) . – 2002 . – ტ. 4 . – გვ. 68 – 72.

90-იანი წლების საქართველოს საგარეო პოლიტიკური კურსი, ნატოსთან კონტაქტებისა და ურთიერთობების განმსაზღვრელი ფაქტორები.

263. დაუშვილი რ. სიმონიკო ბერეჟიანის შარჟები // ომეგა . – 2003 . - № 4 (42) . – გვ. 84 – 85. რეზ. ინგლ. ენაზე.

ემიგრანტი პოეტის სიმონ ბერეჟიანის მიერ შესრულებული კარიკატურები დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობის წევრებზე და მისი პოლიტიკური შეხედულებები.

264. ზვიად გამსახურდიას (ავტორიზებული) ბიოგრაფია ბიბლიოგრაფიით // კულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხები . – 2004 . - № 20 . – გვ. 7 – 16.

ცხოვრებისა და შემოქმედების გზა.

265. ზურაბიშვილი ო. მე დავბრუნდები საქართველოში // ომეგა . – 2003 . - № 5 (43) . – გვ. 104 – 107. რეზ. ინგლ. ენაზე.

ეროვნული მოღვაწისა და პუბლიცისტის ივანე ზურაბიშვილის შვილიშვილი, პროფესიით ექიმი, პარიზში 70-იან წლებში პელსინკის ჯგუფის დამაარსებელი ოთარ ზურაბიშვილი. მისი შეხედულებები ზვიად გამსახურდიაზე – პიროვნებასა და პოლიტიკოსზე, საქართველოს დღევანდელ პოლიტიკურ ვითარებაზე, ოჯახზე / ესაუბრა თ. შაიშმელაშვილი.

266. თეთვაძე შ. საქართველოს ისტორიისა და კულტურის ფალსიფიკატორები // მნათობი . – 2002 . - № 9 – 10 . – გვ. 130 – 137.

საქართველოს ისტორიისა და კულტურის გაყალბების მცდელობა რუსეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისა და შოვინისტურად განწყობილი ცალკეული პირების მიერ. ავტორს მოჰყავს ფრაგმენტები ისტორიული წყაროებიდან საქართველოში მცხოვრები არაქართველი ეთნიკური ჯგუფების ტერიტორიული პრეტენზიების გასაბათილებლად.

267. ირემაშვილი ნ. სოციალისტ-ფედერალისტთა დამოკიდებულება სამაჰმადიანო საქართველოს პრობლემისადმი // საქართველოს ახალი ისტორიის საკითხები . – 2004 . – ტ. 7 . – გვ. 169 – 198. რეზ. ინგლ. ენაზე.

სამაჰმადიანო და საქრისტიანო საქართველოს გაერთიანების პრობლემა ქართველ სოციალისტ-ფედერალისტთა ეროვნულ მსოფლმხედველობაში. ამ საკითხის გააქტიურება 1918 – 21 წწ. და საერთაშორისო პოლიტიკაში მიმდინარე პროცესები.

268. კაციტაძე გ. თურქეთის და ირანის ბრძოლა სამხრეთ კავკასიაში გაველენის მოსაპოვებლად // ახლო აღმოსავლეთი და საქართველო . – 2002 . – კრ. 3 . – გვ. 15 – 21.

აღნიშნული ქვეყნების პოლიტიკა კასპიის რეგიონში, საქართველო-თურქეთის ურთიერთობა, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომი პერიოდი, რეგიონული მშვიდობისა და სტაბილურობის აუცილებლობა.

269. კაციტაძე კ. საქართველო გეოპოლიტიკურ კონტექსტში // ომეგა . – 2002 . - № 8 (34) . – გვ. 18 – 20.

სამხრეთ კავკასიის როლი რუსეთისა და აშშ-ის საგარეო პოლიტიკაში.

270. კერძო საკუთრება სახელმწიფოს საფუძველი : (სპირიდონ კედიას ეკონომიკური შეხედულებანი) // ომეგა . – 2003 . - № 3 (41) . – გვ. 64 – 65. რეზ. ინგლ. ენაზე.

სტატიაში განხილულია 2002 წელს გამოცემული ოთარ ჯანელიძის მონოგრაფია – „სპირიდონ კედია : (პოლიტიკური პორტრეტი)“.

271. ლეჟავა ჯ. პუბლიცისტი, მთარგმნელი, საზოგადო მოღვაწე : ვლადიმერ ლორთქიფანიძის დაბადების 130 წლისთავის გამო // მნათობი . - 2002 . - № 1 - 2 . - გვ. 117 - 123.

სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის ერთ-ერთი დამაარსებელი და ლიდერი. მოღვაწეობა.

272. ლორთქიფანიძე გ. საბჭოთა კავშირი რუსეთის მემკვიდრე // კულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხები . - 2004 . - № 20 . - გვ. 38 - 41.

1937 წლით დათარიღებული ერთი საიდუმლო დოკუმენტის პუბლიკაცია - ლ. ბერიას სტალინისადმი გაგზავნილი წერილი, რომელშიც საუბარია საქართველოს მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობის არასწორ კლასიფიკაციაზე, ქვეყნის მოსახლეობის კუთხეების მიხედვით დაქუცმაცებაზე და წარმოადგენს თხოვნას, აჭარლები ჩაიწერონ ქართველებად.

273. მიმინოშვილი ო. ფიქრები ეროვნულ იდეოლოგიაზე // ენის სახლი . - № 3 (7) . - გვ. 24 - 28. რეზ. ინგლ. და რუს. ენებზე.

საერთო ეროვნული ყოფა-ცხოვრების ნიმუშების, ტრადიციების, წინაპართა ცხოვრების ცოდნის აუცილებლობა ახალი, ეროვნული იდეოლოგიის განვითარებისა და ჩამოყალიბებისათვის.

274. მიუსო მ. „ძალიან მიყვარს საქართველო“ // ომეგა . - 2003 . - № 2 (40) . - გვ. 76 - 79. რეზ. ინგლ. ენაზე.

საფრანგეთის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ქ-ნი მირეი მიუსო საქართველოში საკუთარი მოღვაწეობის შესახებ / ესაუბრა მაკა ჯიბლაძე.

275. მორჩაძე უ. ფეხმძიმედ რომ არ ყოფილიყო, ნინო აფხაზეთის ომში წავიდოდა // საქართველოს ქალი . - 2001 . - № 12 . - გვ. 1 - 2.

ნინო ბურჯანაძეზე საუბრობენ მისი მშობლები - სუსანა მორჩაძე და ანზორ ბურჯანაძე / ესაუბრა ნ. მგელაძე.

276. ნიკოლაიშვილი ა. იაკობ გოგებაშვილი და აფხაზეთი // მნათობი . - 2002 . - № 1 - 2 . - გვ. 103 - 109.

ი. გოგებაშვილის პუბლიცისტური წერილები აფხაზეთი სეპარატიზმის პრობლემასთან დაკავშირებით.

277. ოთხვანი ნ. კავკასია : რელიგიური შეუთავსებლობა თუ გეოპოლიტიკური ინტერესი? // კულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხები . - 2004 . - № 18 . - გვ. 54 - 64. რეზ. ინგლ. ენაზე.

რუსეთისა და თურქეთის გეოპოლიტიკური ინტერესები კავკასიის მიმართ და ამ ინტერესების გამოყენების მცდელობა.

278. პაიჭაძე დ. მიხაკო წერეთლის „პოლონეთის განთავისუფლება და ეროვნულობის პრინციპი ოთხთა კავშირსა და ანტანტასთან“ // საქართველოს ახალი ისტორიის საკითხები . - 2004 . - ტ. 7 . - გვ. 263 - 293.

1917 წ. ბერნში, გოტფრიდ იხელის სტამბაში დაბეჭდილი მიხაკო წერეთლის ნაშრომის განხილვა.

279. პატარაია კ. მოლოცვა საზღვრებს გაღმიდან // მაკრო მიკრო ეკონომიკა . - 2001 . - № 5 (42) . - გვ. 24 - 25.

საუბარი თურქმენეთში საქართველოს პრეზიდენტის საგანგებო წარმომადგენელ ჰენრი პატარაიასთან საქართველოს მიერ წარმოებული საერთაშორისო თანამშრომლობის სტრატეგიის შესახებ საქართველოს დამოუკიდებლობის 10 წლისთავთან დაკავშირებით.

280. საგინაშვილი ნ. თანამედროვეთა მოვონებები მიხაკო წერეთლის შესახებ // მნათობი . - 2001 . - № 7 - 8 . - გვ. 62 - 72.

ქართველი ემიგრანტის პოლიტიკური და მეცნიერული მოღვაწეობის ამსახველი მასალა.

281. საითიძე გ. „თავისუფლება - უზენაესი ბედნიერება“ : (გიორგი გვაზავა) // ომეგა . - 2003 . - № 4 (42) . - გვ. 86 - 89. რეზ. ინგლ. ენაზე.

ქართველი ემიგრანტის, დამოუკიდებელი საქართველოს (1918 - 1921 წწ.) პარლამენტის წევრის პოლიტიკური და ლიტერატურულ-პუბლიცისტური მოღვაწეობა.

282. სიჭინავა ს. პოლიტიკური პაპანაქება პარლამენტში // მაკრო მიკრო ეკონომიკა . - 2001 . - № 7 - 8 (44 - 45) . - გვ. 4 - 5. ტექსტი ქართ., ინგლ. და რუს. ენებზე.

დაპირისპირება გაერთიანებულ ოპოზიციასა და ზურაბ ჟვანიას გუნდს შორის. ზურაბ ჟვანიას შესაძლო პრემიერ-მინისტრობის საკითხი.

283. ფორცხალავა დ. დავით ვაჩნაძე და მისი შთამომავლები // ომეგა . - 2003 . - № 7 (45) . - გვ. 120 – 124. რეზ. ინგლ. ენაზე.

ინტერვიუ ემიგრანტის, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწის, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი დამაარსებლის – დავით ვაჩნაძის (1884 – 1962) შვილიშვილ დევი ფორცხალავასთან (საქართველოს სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრის „დელტას“ გენერალური დირექტორის მოადგილე) პირად ცხოვრებასა და წინაპრებზე / ესაუბრა რ. დაუშვილი.

284. ჩიკვილაძე დ. უღმობელი საქმის კაცი : (ნიკო ნიკოლაძე) // ომეგა . - 2003 . - № 4 (42) . გვ. 28 – 31. რეზ. ინგლ. ენაზე.

პუბლიცისტური მემკვიდრეობის ერთგვარი ანალიზის საფუძველზე ნიკოლაძისდროინდელი საქართველოსთვის დამახასიათებელი ეროვნული, სოციალური, მორალური თუ ყოფითი პრობლემების წარმოჩენა.

285. ჩიუანი ჯ. ი. „ქართველების ტრადიციებით მოხიბლული ვარ“ // ომეგა . - 2002 . - № 4 (30) . - გვ. 30 – 31. რეზ. ინგლ. ენაზე.

ინტერვიუ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სრულუფლებიან ელჩთან ჩინეთ-საქართველოს ურთიერთობაზე / ესაუბრა მაკა ჯიბლაძე.

286. ჩიხრაძე ფ. 26 მაისი მაშინ და დღეს, ანუ ქართული სახელმწიფოებრიობის მშენებლობის თავისებურებები // მაკრო მიკრო ეკონომიკა . - 2001 . - № 5 (42) . - გვ. 4 – 6.

საუბარი პარლამენტარ ფიქრია ჩიხრაძესთან საქართველოში არსებული ხელისუფლების კრიზისზე, მმართველობის ფორმებისა და სტრუქტურის შეცვლის პროცესებზე, ზ. ჟვანიას შესაძლო გაპრეზიდენტებასა და საკონსტიტუციო ცვლილებებზე / ესაუბრა სოფიკო სიჭინავა.

287. წიბახაშვილი გ. როცა გადაბრალეების ინდუსტრია ცხოვრების მთავარი დარგია // ენის სახლი . - 2002 . - № 2 . - გვ. 11 – 14.

საქართველოში მიმდინარე პროცესების ანალიზი პოლიტიკური, ეკონომიკური და ზნეობრივი კრიზისის ფონზე.

288. ხოშტარია-ბროსე ე. აფხაზეთის ისტორიის საკითხები ქართულ ისტორიოგრაფიაში . – თბ. , 2000 . – 48 გვ.

რეც. : რატიანი ზ. ასე აფხაზეთს ვერ დავებრუნებთ! // მნათობი . – 2001 . - № 9 – 10 . – გვ. 91 – 99.

289. ჯავახიშვილი ნ. კავკასიის ეკოპოლიტიკური მდგომარეობა // მაკრო მიკრო ეკონომიკა . – 2001 . - № 6 (43) . – გვ. 8 – 10. ტექსტი ქართ., ინგლ. და რუს. ენებზე.

ინტერვიუ პარლამენტარ ნოდარ ჯავახიშვილთან კავკასიის დღევანდელ გეოპოლიტიკურ მდგომარეობაზე / ჩაიწერა ოთარ ქირიამ.

290. ჯანაშია რ. იტალიის კონსული – ქართველების სიძე : (მიქელანჯელო ფრანზონი) // ომეგა . – 2003 . - № 11 (49) . – გვ. 50 – 51.

დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკის პირველი იტალიელი კონსულის – მიქელანჯელო ფრანზონისა და ცნობილი ქართველი მოღვაწის, მოსკოვის უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის ნასტუდენტარი, „სტატსკი სოვეტნიკის“ მიშო მანაბლის ქალიშვილის – მარინე მანაბლის ქორწინებისა და მათი შემდგომი ცხოვრების ამბავი.

291. Бербичашвили М. Этнополитические конфликты и технологии их урегулирования // სტუდენტთა და ახალგაზრდა მეცნიერთა შრომები (ბათუმის უნ-ტი) . – 2002 . – ტ. 4 . – გვ. 164 – 173. რეზ. ინგლ. ენაზე.

Анализ межнациональных конфликтов на примере Грузии.

292. Волковецьки С. Інтерв'ю з Надзвичайним і Повноважним Послом України в Грузії Степаном Волковецьким // Хроніка – 2000 . – 2001 . – Вип. 43 . – с. 13– 20.

ინტერვიუ უკრაინის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩთან საქართველოში სტეფანე ვოლკოვეცკისთან – უკრაინა-საქართველოს დიპლომატიურ, სავაჭრო, ეკონომიკურ და სამეცნიერო-კულტურულ ურთიერთობებზე.

293. Катамадзе Гр. Звернення до читачів культурологічного альманаху «Хроніка 2000» Надзвичайного і Повноважного Посла Грузії в Україні Григола Катамадзе; Шановні читачі альманаху! // Хроніка – 2000 . – 2001 . – Вип. 43 . – с. 21– 26

ინტერვიუ საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩთან უკრაინაში გრიგოლ ქათამაძესთან – საქართველო-უკრაინის ლიტერატურულ, კულტურულ და თანამედროვე პოლიტიკურ ურთიერთობებზე.

294. Катамадзе Гр. Интерв'ю з Надзвичайним і Повноважним Послом Грузії в Україні п. Григолом Катамадзе // Хроніка – 2000 . – 2001 . – Вип. 43 . – с. 8 – 12.

საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი უკრაინაში გრიგოლ ქათამაძე საქართველოს თანამედროვე პოლიტიკურ სიტუაციასა და უკრაინა-საქართველოს ურთიერთობების ტრადიციებზე.

295. Кіладзе С. Невідомі сторінки дипломатії // Хроніка – 2000 . – 2001 . – Вип. 43 . – с. 27– 33

საქართველოს რესპუბლიკის დიპლომატიური ურთიერთობები უკრაინასთან 1918 – 1921 წწ.

### **ეკონომიკა. მრეწველობა**

296. ანჩაბაძე ჯ. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების ისტორიის საკითხები (1918 – 1921 წლები) . – თბ., 2004 . – 180 გვ.

ურთიერთობები გერმანიასთან, ინგლისთან, იტალიასთან, საფრანგეთთან, შვედეთთან, ნორვეგიასთან, ბელგიასა და ფინეთთან.

297. კაპანაძე გ. ეკონომიკის საკითხების გაშუქება თანამედროვე ქართულ მედიაში . – თბ., 2004 . – 306 გვ.

თანამედროვე საქართველოს აქტუალური ეკონომიკური პრობლემები „პერესტროიკიდან“ 2004 წლის შემოდგომამდე.

298. ფული საქართველოში / [თ. დუნდუა, გ. დუნდუა, ნ. ჯავახიშვილი, ა. ერისთავი] . – თბ., 2003 . – 180 გვ.

საქართველოში გამოყენებული ფულის სახეობების ისტორია. ტექსტი ქართ. და ინგლ. ენებზე.

299. ჩადუნელი ე. კრიმინალური რევოლუცია საქართველოში : (1989 – 2000 წწ.) . – თბ., 2004 . – 131 გვ.

1989 – 2000 წლების უარყოფითი მოვლენები: ეკონომიკის ნგრევა, ფასიანი სწავლება, მაღალკვალიფიციური კადრების საჭიროება, აგრარული რეფორმა, არასწორი პრივატიზაცია, დამუშევარი რეფორმები სახალხო მეურნეობაში და სხვ.

300. აბდუშელიშვილი ო. თეზის მეურნეობის განვითარების პერსპექტივა // კვალი . – 2001 . - № 1 – 2 . – გვ. 30 – 31.

თეზის ფართომასშტაბიანი წარმოებისათვის გასატარებელი ღონისძიებები.

301. აბესაძე რ. ეკონომიკური განვითარების თავისებურებები პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის პირობებში // საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე : ეკონომიკის სერია . – 2004 . – ტ. 12 . - № 3 – 4 . – გვ. 81 – 90. რეზ. ინგლ. და რუს. ენებზე.

ავტორი იკვლევს რა ეკონომიკური რეფორმების მიმდინარეობის შედეგებს საქართველოში, ასაბუთებს, რომ ეკონომიკური რეფორმების შემდგომი გაძლიერებისა და დაჩქარებისთვის ყველაზე მნიშვნელოვანია მეწარმეობის განვითარებისთვის ხელსაყრელი პირობების შექმნა.

302. აკადემიკოსი ვახტანგ ბურკაძე 70 წლისაა // სოციალური ეკონომიკა . – 2001 . - № 3 . – გვ. 126 – 131.

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი. ცხოვრება და მოღვაწეობა.

303. არევაძე ნ. ჩრდილოვანი ეკონომიკა და მისი გამოვლინების თავისებურებები პოსტსაბჭოთა ტრანსფორმაციის პერიოდში / ნ. არევაძე, თ. ჩხეიძე, ლ. დათუნაშვილი // საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე : ეკონომიკის სერია . – 2004 . – ტ. 12 . - № 3 – 4 . – გვ. 15 – 21. რეზ. ინგლ. და რუს. ენებზე.

ჩრდილოვანი ეკონომიკის გამოვლინების სხვადასხვა ფორმები „ვარდების რევოლუციამდე“ პერიოდში: პრივატიზაცია, გადასახადების გადახდისგან თავის არიდება, ვაჭრობა, კონტრაბანდა, ნარკობიზნესი, კორუფცია, იარაღით ვაჭრობა და სხვ.

304. ახვლედიანი ა. თავისუფალი ეკონომიკური ზონების განვითარება საქართველოში // სოციალური ეკონომიკა . – 2000 . - № 6 . – გვ. 63 – 69.

305. ახვლედიანი გ. სავაჭრო პალატა ქვეყნის მოთხოვნა და არა ჩემი // მაკრო მიკრო ეკონომიკა . - 2001 . - № 9 (46) . - გვ. 14 - 15. ტექსტი ქართ., ინგლ. და რუს. ენებზე

საუბარი საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის თავმჯდომარე გურამ ახვლედიანთან დასახელებული ორგანიზაციის საქმიანობასა და როლზე ბიზნესის განვითარების საქმეში, მეწარმეთა ინტერესების დაცვაზე, მსოფლიოს მსგავსი გაერთიანებების ფუნქციონირებასა და შექმნის ისტორიაზე / ესაუბრა ს. სიჭინავა.

306. ბენდიანიშვილი ალ. ინდივიდუალური თუ საზოგადოებრივი // საქართველოს ახალი ისტორიის საკითხები . - 2004 . - ტ. 7 . - გვ. 3 - 10.

1993 წ. დაწერილი სტატია ეხება საქართველოში მიმდინარე აგრარულ რეფორმასა და სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზაციას.

307. ბერინაშვილი გ. ქართული ეკონომიკის ახალი? - იტალია // მაკრო მიკრო ეკონომიკა . - 2001 . - № 6 (43) . - გვ. 16 - 17.

საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროს დელეგაციის საქმიანი ვიზიტი იტალიის ანალოგიურ უწყებაში.

308. ბოლაშვილი პ. მუნიციპალური განვითარების სოციალური და ეკონომიკური პრობლემები . - თბ. , 2000 . - 301 გვ.

რეც. : მოურავიძე დ. მნიშვნელოვანი მეცნიერული გამოკვლევა ქართულ რეგიონალისტიკაში / დ. მოურავიძე, თ. შენგელია, გ. მაღაშხია // სოციალური ეკონომიკა . - 2000 . - № 4 . - გვ. 133 - 137.

309. ბურდული ფრ. ეკონომიკური საქმიანობის ანალიზის აქტუალური საკითხები . - თბ. , 2000 . - 348 გვ.

რეც. : ვეშაპიძე შ. სისტემური გამოკვლევა ეკონომიკური ანალიზის აქტუალურ საკითხებზე // სოციალური ეკონომიკა . - 2001 . - № 1 . - გვ. 132 - 135.

310. გაბადაძე ე. ჩეხი ბიზნესმენები ქართულ ბაზარზე // მაკრო მიკრო ეკონომიკა . - 2001 . - № 10 (47) . - გვ. 18.

„შერატონ მეტეხი პალასში“ შემდგარი შეხვედრა ჩეხეთის რესპუბლიკის ელჩთან საქართველოში ირეი ნეკვასილთან და ჩეხ ბიზნესმენებთან საქართველოსთან თანამშრომლობის საკითხებზე.

311. გველესიანი მ. ეკონომიკისი . – თბ. , 2000 . – 152 გვ.

რეც. : თოღუა გრ. ეკონომიკური ლიტერატურის მნიშვნელოვანი შენაძენი / გრ. თოღუა, შ. ვეშაპიძე // სოციალური ეკონომიკა . – 2000 . - № 3 . – გვ. 138 – 140.

312. გილიგაშვილი თ. საქართველოს ადგილი მსოფლიო კორუფციის რუკაზე // მაკრო მიკრო ეკონომიკა . – 2001 . - № 2 (39) . – გვ. 28 – 30.

კორუფცია მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში და საქართველოს რეალური ადგილის განსაზღვრა კორუფციულ სისტემაში.

313. გიორგაძე ჰ. საქართველოს სურსათით უზრუნველყოფის ზოგიერთი პრობლემა / ჰ. გიორგაძე, გ. წურწუშია // სოციალური ეკონომიკა . – 2001 . - №2 . – გვ. 61 – 67. რეზ. რუს. ენაზე.

საკვების მეცნიერულად დასაბუთებული ფიზიოლოგიური ნორმების შედარება ქვეყანაში ძირითადი სასურსათო პროდუქტების საშუალო წლიურ მოხმარებასთან. ასახულია ადამიანის ბიოლოგიური არსებობისათვის აუცილებელი პროდუქტის – შაქრის წარმოების აღდგენისა და განვითარების გზები.

314. გოგია ნ. დასაქმება და მისი სექტორული სტრუქტურა საქართველოში // სოციალური ეკონომიკა . – 2001 . - № 4 . – გვ. 28 – 35. რეზ. რუს. ენაზე.

ავტორის აზრით, ეკონომიკური კრიზისის დასაძლევად განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს დასაქმების დონის ამაღლებასა და დასაქმების პოლიტიკის რაციონალიზაციას ეკონომიკის სექტორების (მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, მშენებლობა და სხვ.) მიხედვით.

315. გოგოხია რ. დიდი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე // სოციალური ეკონომიკა . – 2000 . - № 3 . – გვ. 126 – 137.

ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორის, აკადემიკოს პაატა გუგუშვილის გახსენება. მისი მრავალმხრივი სამეცნიერო მოღვაწეობა.

316. გოცირიძე გ. დიდი აბრეშუმის გზა და საქართველო // თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები . – 2001 . – ტ. 3 (12) . – გვ. 84 – 91. რეზ. რუს. ენაზე.

აბრეშუმის გზის წარმოშობისა და განვითარების ზოგიერთი ასპექტი. მისი აღორძინების საკითხი და მასთან დაკავშირებით განვითარებული მოვლენები.

317. გრიშკაშვილი ა. საქართველოს საბანკო სისტემა ათი წლისაა // მაკრო მიკრო ეკონომიკა . – 2001 . - № 11 (48) . – გვ. 26 – 29.

საქართველოს საბანკო სისტემის განვითარების გზა.

318. დაუშვილი რ. ქართველი მრეწველები და გამომგონებლები ამერიკაში . – თბ. , 2002 . – 98 გვ.

რეც. : მალაზონია თ. ჩვენებურები მრეწველთა ციტადელში // ომეგა . – 2002 . - № 14 (37) . – გვ. 70 – 73. რეზ. ინგლ. ენაზე.

319. დვალი ლ. მცირე ბიზნესის წინაშე მდგარი პრობლემები გარდამავალი ეკონომიკის პირობებში // სტუდენტთა და ახალგაზრდა მეცნიერთა შრომები (ბათუმის უნ-ტი) . – 2002 . – ტ. 4 . – გვ. 204 – 211. რეზ. რუს. ენაზე.

ქართული მრეწველობის ჩამორჩენილობის მთავარი მიზეზების ანალიზი და მცირე საწარმოთა განვითარების აუცილებლობა.

320. ეპიტაშვილი გ. კანონპროექტი „საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის შესახებ“ // მაკრო მიკრო ეკონომიკა . – 2001 . - № 3 (40) . – გვ. 49.

321. ერქომაიშვილი გ. ალკოჰოლიანი სასმელების წარმოება საქართველოში და ბაზრის პრობლემები // საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე : ეკონომიკის სერია . – 2004 . – ტ. 12 . - № 1 – 2 . – გვ. 167 – 185. რეზ. ინგლ. და ქართ. ენებზე.

ახალი ბაზრების დაპყრობის მიზნით სამარკო და ცქრიალა ღვინოების წარმოების ზრდის აუცილებლობა, ბრძოლა ფალსიფიკაციასთან და საშინაო ბაზარზე სამართლიანი კონკურენციის დამკვიდრება.

322. ვანიშვილი მ. საქართველოს სასურსათო უზრუნველყოფის რეტროსპექტული ანალიზი / მ. ვანიშვილი, მ. სანაძე // სოციალური ეკონომიკა . - 2001 . - № 4 . - გვ. 18 - 27.

სტატიაში გაანალიზებულია 1990 - 1999 წლების სტატისტიკური მონაცემები : 1. ძირითადი სახეობის კვების პროდუქტების მოხმარება; 2. სოფლის მეურნეობის პროდუქციის ექსპორტისა და იმპორტის დინამიკა; 3. საკუთარი წარმოების სასურსათო პროდუქტებით მოსახლეობის დაკმაყოფილების დონე.

323. ვირსალაძე ნ. მოსახლეობის შემოსავლებისა და დანახარჯების მაჩვენებლები // სოციალური ეკონომიკა . - 2001 . - № 5 . - გვ. 128 - 135. რეზ. რუს. ენაზე.

1995 - 1999 წლების სტატისტიკური მონაცემები : საქართველოს მოსახლეობის საშუალო თვიური შემოსავლებისა და ხარჯების სტრუქტურა.

324. ვირსალაძე ნ. საარსებო საშუალებების მოხმარების დონე და სტრუქტურა საქართველოში // სოციალური ეკონომიკა . - 2001 . - № 3 . - გვ. 5 - 14. რეზ. რუს. ენაზე.

მოსახლეობის ცხოვრების დონის ამსახველი სტატისტიკური მონაცემების ანალიზი. ე.წ. „სამომხმარებლო კალათაში“ შემაჯავლი კვების პროდუქტებისა და არასასურსათო საქონლის ჩამონათვალი.

325. ზარანდია ჯ. საინვესტიციო მოთხოვნა - რეგიონული განვითარების ფაქტორი // სოციალური ეკონომიკა . - 2001 . - № 6 . - გვ. 102 - 107. რეზ. რუს. ენაზე.

საინვესტიციო პროგრამის გაუმჯობესების გზები სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში.

326. ზვიადაძე გ. მინერალური წიაღისეულის ტექნოლოგიური გამოყენება - საქართველოს ეკონომიკის აღორძინების საწინდარი // მეცნიერება და ტექნოლოგიები . - 2002 . - № 10 - 12. გვ. 115 - 119. რეზ. ინგლ. და რუს. ენებზე.

1050. ქირია ჭ. კავშირებითის ნაკვთების მაწარმოებელი ზანურში // საენათმეცნიერო ძიებანი . - 2003 . - ტ. 15 . - გვ. 158 - 163. რეზ. ინგლ. ენაზე.

-ა სუფიქსის მიერ კავშირებითის ნაკვთების წარმოება ზანურში.

1051. ქიტოშვილი თ. მისი და თ სი ნაცვალსახელები მათესა და მარკოზის სახარებების მიხედვით // ენათმეცნიერების საკითხები . - 2002 . - № 2 (14) . - გვ. 123 – 128. რეზ. ინგლ. და რუს. ენებზე.

1052. ქობალავა ი. გვ- ზმნისწინის მნიშვნელობისათვის მეგრულში // ენათმეცნიერების საკითხები . - 2002 . - № 4 (16) . - გვ. 166 – 174. რეზ. ინგლ. ენაზე.

1053. ქურდიანი მ. ქართველურ ენათა ისტორიული ენობრივი კონტაქტები და საერთოქართველური ენის დიფერენციაციის ქრონოლოგიური საზღვრების პრობლემა // საენათმეცნიერო ძიებანი . - 2003 . - ტ. 14 . - გვ. 44 – 51. რეზ. ინგლ. ენაზე.

ენობრივი კონტაქტების მნიშვნელობა როგორც ამა თუ იმ ფუძემდის, ასევე ისტორიულად დადასტურებული ენების ქრონოლოგიური პარამეტრების განსაზღვრისათვის. ე. წ. შიშინა (სვანური, ზანური) ენებიდან ძველი აღმოსავლეთის ენებში, მათ შორის შუალედურ ფუძემდებში არსებული ნასესხობების რამდენიმე მაგალითის განხილვა.

1054. ღვინჯილია ლ. ინტერვიუ ლევან ღვინჯილიასთან // ენის სახლი . - 2002 . - № 1 . - გვ. 2 – 6.

საქართველოს ენის სახელმწიფო პალატის 5-წლიანი მოღვაწეობის შეფასება / ესაუბრა თ. გურაბანიძე.

1055. ღვინჯილია ლ. საქართველოს ენის სახელმწიფო პალატის 2001 – 2003 წლებში გაწეული საქმიანობის შესახებ // ენის სახლი . - № 2 (6) . - გვ. 3 – 9. რეზ. ინგლ. და რუს. ენებზე.

1056. ყალამაშვილი მ. ზმნის თემის ნიშანთა ხმარებასთან დაკავშირებული დარღვევები თანამედროვე ქართული პრესის მიხედვით // თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები . - 2001 . - ტ. 3 (12) . - გვ. 20 – 22. რეზ. რუს. ენაზე.

-ავ და -ამ თემის ნიშნების გამოყენებისას დაშვებული შეცდომები.

1057. ყალამაშვილი მ. ჰ-, ს- პრეფიქსების ხმარებასთან დაკავშირებული დარღვევები თანამედროვე ქართული პრესის მიხედვით // საენათმეცნიერო ძიებანი . - 2003 . - ტ. 15 . - გვ. 142 . - 145. რეზ. ინგლ. ენაზე.

პ., ს- პრეფიქსების ხმარებისას თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმების დარღვევისა და პრესის ენის დამახინჯების თაობაზე.

1058. ყურაშვილი ქ. „ზოგჯერ თქმა სჯობს“... // ენის სახლი . - № 3 – 4 . - გვ. 7 – 8.

საჯარო სამსახურში მოქმედი სახელმწიფო ენის განსხვავებულ სტილსა და მისი დახვეწის აუცილებლობაზე; თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოებში სამუშაო ენის გამოყენების წესზე.

1059. ყურაშვილი ქ. ჟურნალისტებისათვის და არა მარტო მათთვის // ენის სახლი . - 2002 . - № 1 . - გვ. 4 – 6.

ჟურნალისტთა მოსაზრებანი პრესის ენის თაობაზე..

1060. შაბაშვილი გ. პერფექტის კატეგორიისათვის ქართულ ენაში // საენათმეცნიერო ძიებანი . - 2003 . - ტ. 14 . - გვ. 80 – 83. რეზ. ინგლ. ენაზე.

პერფექტის ყველა ფორმაციის ასახვის პოტენცია ქართული ზმნის სტრუქტურაში. პერფექტი – როგორც ქართული ენის ერთ-ერთი უძველესი ზმნური კატეგორია.

1061. შანიძე მ. „სიამოვნებით მოგვიდებდი ხელს ახალ საქმეს“ // ომეგა . - 2002 . - № 4 (30) . - გვ. 32 – 38. რეზ. ინგლ. ენაზე.

ინტერვიუ ენათმეცნიერ მზექალა შანიძესთან მეცნიერებაში შექმნილ პრობლემებსა და სამომავლო გეგმებზე / ესაუბრა ა. გაბელიძე.

1062. შარაშენიძე ნ. ო პრეფიქსიანი ზანიზმები ქვემოიმერულში : (მეღვინეობასთან (ქვევერ–მარანთან) დაკავშირებული ლექსიკა) // ენათმეცნიერების საკითხები . - 2002 . - № 2 (14) . - გვ. 129 – 133. რეზ. ინგლ. და რუს. ენებზე.

მეღვინეობასთან დაკავშირებული ტერმინების განმარტება : ორგო – ჭურის სარქველი, ორჩხუჟო / ოჩხუჟო – ჭურის სარეცხი იარაღი.

1063. ჩიქოვანი თ. შენობა-ნაგებობათა ტერმინოლოგია სულხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონაში“ // მნათობი . - 2001 . - № 5 – 6 . - გვ. 118 – 122.

1064. ჩიქოვანი ნ. ადამიანის ხასიათის გამომხატველი ლექსიკა ქართულ ენაში // საენათმეცნიერო ძიებანი . - 2003 . - ტ. 15 . - გვ. 205 - 208. რეზ. ინგლ. ენაზე.

ადამიანის ფიზიკური მონაცემების, მორალურ-ეთიკური, ინტელექტუალური თუ სხვა თვისებების აღმნიშვნელი სახელების მრავალფეროვნება უძველეს ქართულ მხატვრულ ძეგლებში, ისტორიულ წყაროებსა და ზეპირსიტყვიერებაში.

ადამიანის ხასიათის გამომხატველი ლექსიკის, როგორც ქართული ენის ლექსიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და საინტერესო ქვესისტემის სპეციფიკა და ტიპები.

1065. ჩუთლაშვილი ი. სოფელ ვაჭირის მეტყველების თავისებურებანი // საენათმეცნიერო ძიებანი . - 2003 . - ტ. 15 . - გვ. 146 - 149. რეზ. ინგლ. ენაზე.

სიღნაღის რაიონის სოფელ ვაჭირის მეტყველების ფონეტიკური თავისებურებანი სოფელში ჩაწერილი ტექსტების, ცალკეული ფრაზებისა და ხალხური შემოქმედების ნიმუშების მიხედვით.

1066. ჩხეიძე ნ. თეთრი ჩოხა // ომეგა . - 2003 . - № 6 (44) . - გვ. 75 - 77. რეზ. ინგლ. ენაზე.

სამედიცინო ინსტიტუტის ლათინური ენის მასწავლებელ გრიგოლ შანიძის ბიოგრაფია, მთარგმნელობითი და სამეცნიერო მოღვაწეობა. მისი წვლილი ქართულ ენათმეცნიერებაში, ქართული სამედიცინო ტერმინოლოგიის გამდიდრებასა და დაზუსტებაში.

1067. ციხელაშვილი ლ. ობიექტის მრავლობითი რიცხვის გამომხატველი -ენ სუფიქსის ადგილისათვის ზმნურ ფორმაში ძველ ქართულში // საენათმეცნიერო ძიებანი . - 2003 . - ტ. 15 . - გვ. 190 - 193. რეზ. ინგლ. ენაზე.

1068. ცხადაია თ. -ობა, -ობუა სუფიქსთა განაწილებისა და ფუნქციისათვის მეგრულში // ენათმეცნიერების საკითხები . - 2002 . - № 1 (13) . - გვ. 125 - 139.

ავტორის მიერ კვლევისათვის გამოყოფილია სამი ასპექტი: 1. ამოსავალი ფუძეები შედგენილობისა და მეტყველების ნაწილების მიხედვით; 2. ენობრივი კუთვნილების საკითხი; 3. სუფიქსთა წარმომავლობა და ფუნქციები მეგრულში.

1069. ცხადაძე ბ. წიგნთმცოდნეობით-პალეოგრაფიული ტერმინები ქართულში : თავი, სათაური, თაური, ტიტული, თავწარწერა, თავფურცელი // საქართველოს ბიბლიოთეკა . – 2004 . - № 1 . – გვ. 19 – 20.

1070. ცხადაძე ბ. წიგნთმცოდნეობით-პალეოგრაფიული ტერმინები ქართულში : წიგნი, საწიგნე, წიგნთსაცავი, მწიგნობარი, წიგნადი / წიგნედი // საქართველოს ბიბლიოთეკა . – 2004 . - № 3 . – გვ. 35 – 39.

1071. ძიგუა მ. „ენა მწერლის ბალავარია...“ : მიხეილ ჯავახიშვილის წერილები ქართული ენის შესახებ // მნათობი . – 2002 . - № 11 – 12 . – გვ. 74 – 77.

პუბლიცისტიკური წერილები : „ქართული ენა ქართულ თეატრში“, „კონსერვატორიის პოლიტიკოსები“, „ახალი სალიტერატურო ქართულისათვის“ და სხვ.

1072. წერეთელი კ. კიდევ ერთხელ სიტყვა „ბაგინის“ შესახებ // ენათმეცნიერების საკითხები . – 2002 . - № 4 (16) . – გვ. 27 – 38. რეზ. ინგლ. ენაზე.

სიტყვა „ბაგინი“ (კერპთა სალოცავი, ტაძარი და სხვ.) ძველ ქართულ წერილობით წყაროებში და მისი შესატყვისი ებრაულ, ირანულ, არამეულ ტექსტებში.

1073. ჭილაძე თ. საქართველოს სახელმწიფო ენა // მნათობი . – 2002 . - № 1 – 2 . – გვ. 124 – 126.

ავტორის თვალსაზრისი ქართული ენის, როგორც ეროვნული თვითშემეცნების, ქართული კულტურისა და მწერლობის ფენომენის შესახებ.

1074. ჭუმბურიძე ზ. ინტერვიუ ზურაბ ჭუმბურიძესთან // ენის სახლი . – 2002 . - № 2 . – გვ. 4 – 5.

ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი ზ. ჭუმბურიძე სამეცნიერო მოღვაწეობისა და ენის შესახებ კანონის თაობაზე / ესაუბრა ნ. გამყრელიძე.

1075. ჭუმბურიძე ზ. ოქროს მაძიებელი // ენათმეცნიერების საკითხები . – 2002 . - № 1 (13) . – გვ. 140 – 144.

კარპეზ დონდუას ნაშრომის – „სვანურ-ქართულ-რუსული ლექსიკონი (ლაშხური დიალექტი)“ – გამოცემა და მისი მნიშვნელობა სვანური ენისა და საერთოდ, ქართველურ ენათა კვლევის საქმეში.

1076. ჭუმბურიძე ზ. პირისა და კუთვნილებით ნაცვალსახელთა სტრუქტურისათვის ქართველურ ენებში // ენათმეცნიერების საკითხები . – 2002 . - № 4 (16) . – გვ. 148 – 155. რეზ. ინგლ. ენაზე.

1077. ჭუმბურიძე რ. ქცევის კატეგორიის ნეიტრალიზაციის ზოგიერთი შემთხვევა ძველ ქართულში // ენათმეცნიერების საკითხები . – 2002 . - № 2 (14) . – გვ. 113 – 122. რეზ. ინგლ. და რუს. ენებზე.

1078. ხახიაშვილი ნ. „ადამი“ და „ადამიანი“ // ლოგოსი : ქრისტიანული კვლევის საერთაშორისო ცენტრი . – 2004 . – ტ. 2 . – გვ. 184 – 190. რეზ. ინგლ. ენაზე.

ტერმინის ისტორია, წარმომავლობა, მნიშვნელობა, შინაარსი, ბიბლიურ ადამთან კავშირი, ქართულ ენაში დამკვიდრება, რაც ადამიანი // ადამიანის ფორმით თავდაპირველად IX–X სს.-ის ქართულ ხელნაწერებში დასტურდება.

1079. ხინთიბიძე ა. მრავალმხრივი მეცნიერი და მოღვაწე : (აღექსანდრე ღლონტი) // საქართველოს ლიტერატურათმცოდნეობის აკადემიის შრომები . – 2004 . – ტ. 3 . – გვ. 208 – 210.

გამოთხოვება ენათმეცნიერ ალ. ღლონტთან.

1080. ჯანაშია რ. სახელმწიფო მუზეუმის გადამრჩენელი // საქართველოს ქალი . – 2002 . - № 9 – 10 . – გვ. 12 – 13.

საუბარი ისტორიკოს სიმონ ჯანაშიას ქალიშვილთან, ენათმეცნიერ რუსუდან ჯანაშიასთან, მშობლებზე, ძმაზე – ისტორიკოს ლაშა ჯანაშიაზე, ბავშვობის მოგონებებსა და სამეცნიერო მოღვაწეობაზე / ჩაიწერა ნ. ბუკიამ.

1081. ჯოხაძე მ. ორი ახალი წიგნი // მნათობი . – 2001 . - № 7 – 8 . – გვ. 128 – 129.

ინფორმაციული ხასიათის მასალა ლევან ბრეგაძის მიერ შედგენილ „ქართული ჟარგონის ლექსიკონის“ (თბ., 1999) გამოცემის შესახებ.

1082. Шмидт К. Личное спряжение глагола в кавказских языках // ენათმეცნიერების საკითხები . – 2002 . - № 2 (14) . – გვ. 158 – 169.

Тенденция замещения casus inderfinitus / casus absolutus предикативной синтагмой в иберийско-кавказских языках.

1083. Шмидт К. Диатеза в картвельском и индоевропейском : основные сравнительно-типологические черты ее диахронического развития // ენათმეცნიერების საკითხები . – 2002 . - № 4 (16) . – გვ. 39 – 57. რეზ. ინგლ. ნაზე.

Рассмотрены два соображения при типологическом сравнении языковых семей : 1. Относительно-хронологический возраст сопоставляемых языков; 2. Дифференциация между диахронической типологией и типологией процесса языкового изменения.

1084. Boeder W. Die sog. „zusammengesetzten Verben“ im Altgeorgischen // ენათმეცნიერების საკითხები . – 2002 . - № 4 (16) . – გვ. 80–97.

როული ზმნები ძველ ქართულში.

1085. Fänrich H. Zur interpretation der kartvelischen sibilantenentsprechungen // ენათმეცნიერების საკითხები . – 2002 . - № 4 (16) . – გვ. 103 – 117.

სიბილანტური შესატყვისობა ქართველურ ენებში.

### **ლიტერატურათმცოდნეობა (ახალი)**

1086. აკაკი ბაქრაძე – სკოლას : დამხმარე სახელმძღვანელო ქართულ ლიტერატურაში საშუალო სკოლებისათვის . – თბ., 2004 . – 343 გვ.

აკაკი ბაქრაძის მიერ ქართული მწერლობის სკოლაში სწავლების ახლებური ინტერპრეტაცია, კერძოდ, ქართული მწერლობის განხილვის აუცილებლობა მსოფლიო ლიტერატურულ პროცესებთან კავშირში.

1087. გრიგალაშვილი ნ. სკოლაში შესასწავლი ქართველი მწერლები : მეოთხე გამოცემა . – თბ., 2004 . – 502 გვ.

ქართული მწერლობის პერიოდიზაცია. ეგნატე ნინოშვილის, დავით კლდიაშვილის, ნიკო ლორთქიფანიძის, მიხეილ ჯავახ-

იშვილის, გალაკტიონ ტაბიძის, ლეო ქიაჩელის, კონსტანტინე გამსახურდიას, ტიცვიან ტაბიძის ცხოვრება და შემოქმედება.

1088. მარკოზაშვილი შ. მწერალი მამების მოსაგონარი . – თბ., 2002 . – 42 გვ.

შვილების მოგონებები ვაჟა-ფშაველაზე, ვასილ ბარნოვზე, დავით კლდიაშვილზე, სანდრო შანშიაშვილზე, შიო არაგვისპირელზე, მიხეილ ჯავახიშვილზე, ივანე როსტომაშვილზე, გიორგი ლეონიძესა და დავით თურდოსპირელზე.

1089. ქართველ მწერალთა ბიოგრაფიები / [შემდგ. : ო. გოლიაძე და ე. ნიჟარაძე] . – თბ., 2004 . – 136 გვ.

იაკობ ცურტაველის, იოანე საბანისძის, გიორგი მერჩულეს, შოთა რუსთაველის, დავით გურამიშვილის, სულხან-საბა ორბელიანის, ალექსანდრე ჭავჭავაძის, გრიგოლ ორბელიანის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, რაფიელ ერისთავის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, იაკობ გოგებაშვილის, ალექსანდრე ყაზბეგის, ვასილ ბარნოვის, ვაჟა-ფშაველას, დავით კლდიაშვილის, ნიკოლოზ ლორთქიფანიძის, მიხეილ ჯავახიშვილის, გრიგოლ რობაქიძის, ლეო ქიაჩელის, იოსებ გრიშაშვილის, კონსტანტინე გამსახურდიას, გალაკტიონ ტაბიძის, პაოლო იაშვილის, ტიცვიან ტაბიძის, ტერენტი გრანელის, გიორგი ლეონიძისა და ლადო ასათიანის ბიოგრაფიები.

1090. დავითური კ. სეგმენტების თეორია // კრიტიკიუმი . – 2004 . - № 11 – 12 . – გვ. 170 – 173.

გ. წერეთლის სეგმენტების თეორიის წვლილი ქართული ლექსთმცოდნეობის განვითარების საერთო პროცესში, რუსთველოლოგიური კვლევების სისტემატიზაციაში, განსაკუთრებით, აკადემიური ტექსტის დადგენის თვალსაზრისით.

1091. დეკანოიძე ნ. ჩანლიბელი დელიბაშები : (აზერბაიჯანული ეპოსი „ქოროღლი“) // ომეგა . – 2003 . - № 9 (47) . – გვ. 120 – 121. რეზ. ინგლ. ენაზე.

მწერლისა და მთარგმნელის – ზეზვა მედულაშვილის მიერ მთარგმნილი „ქოროღლის“ გამოცემის გამო. გამოსმაურება.

1092. კოშუტი ს. ქართული და რუსული ნოველის გენეზისი და ტიპოლოგია // კრიტიკიუმი . – 2004 . - № 10 . – გვ. 41 – 44.

მოსაზრება, რომ ქართული და რუსული ნოველის ისტორია XII–XIII საუკუნეებზე ადრე, მისი ფოლკლორული ფესვებიდან იწყება, ე.წ. „ნოველისტური ზღაპრებიდან“, სადაც გმირი მიწიერი არსებაა.

1093. მაჭავარიანი ნ. „მშვენიერია კავშირი მეგობართა შორის“ // საქართველოს ბიბლიოთეკა . – 2004 . - № 3 . – გვ. 24 – 25.

რუსი მწერლის – ალ. პუშკინის დაბადებიდან 205 წლისთავისადმი მიძღვნილი თბილისის 146-ე სკოლის კომპლექსური ღონისძიება – ლიტერატურულ-მუსიკალური კომპოზიცია, რომელიც სამგორის რაიონის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლ „თეთრ დარბაზში“ ჩატარდა.

1094. მერაბიშვილი ი. ბაირონის თირზა ქართველი ყოფილა : (საუბარი ინესა მერაბიშვილთან) // ომეგა . – 2002 . - № 1 (27) . – გვ. 70 – 75. რეზ. ინგლ. ენაზე.

ბაირონის საზოგადოების ხელმძღვანელი ი. მერაბიშვილი მოგვითხრობს ლიტერატურულ და მთარგმნელობით მოღვაწეობაზე, ბაირონის 1811–1812 წლებში შექმნილ ლექსების ციკლზე „თირზასადმი“, რომელიც, მეცნიერის აღმოჩენით, ქართველი ქალისადმი მიძღვნილი / ინტერვიუს უძღვება ი. მილორავა.

1095. მიშველაძე რ. მხატვრული ნაწარმოების შეფასების პრინციპები . – თბ. , 2000 . – 140 გვ.

რეც. : თავდიშვილი ქ. პირველი და აუცილებელი // ენის სახლი . – 2002 . - № 3 – 4 . – გვ. 33 – 37.

1096. სტურუა ლ. მეტაფორის მნიშვნელობა ქართულ პოეზიაში // ომეგა . – 2002 . - № 9 (35) . – გვ. 56 – 61. რეზ. ინგლ. ენაზე.

1097. ტაბიძე ნ. მხატვრული ნაწარმოების სათაური // საქართველოს ლიტერატურათმცოდნეობის აკადემიის შრომები . – 2004 . – ტ. 3 . – გვ. 135 – 156.

თხზულების სათაურის შესწავლის აუცილებლობა ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში. სათაურის როლი ნაწარმოებით და ინტერესებაში, მისი არსისა და მიზანდასახულობის გარკვევაში.

1098. ფანჯიკიძე დ. ნიკო ყიასაშვილის „ულისე“ ქართული თარგმანის ისტორიის კონტექსტში // საუნჯე . – 2002 . - № 1 – 2 . – გვ. 138 – 142.

ერთიანი სტილისტური სისტემის შექმნის ცდები ივანე მაჩაბლის, გერონტი ქიქოძის, ბაჩანა ბრეგვაძისა და სხვა ქართველ მთარგმნელთა შემოქმედებაში. ჯეიმზ ჯოისის „ულისეს“ ნ. ყიასაშვილისეული თარგმანი.

1099. ქუთელია მ. არაბული მუალაკები ქართულ ენაზე // პერსპექტივა – XXI . – 2001 . - № 3 . – გვ. 73 – 78.

პროფესორ ნანა ფურცელაძის მიერ შესრულებული არაბული პოეზიის უძველესი ნიმუშების, ე. წ. მუალაკების ქართული თარგმანი, რომელიც 1985 წელს ცალკე წიგნად გამოიცა.

1100. ღვინჯილია გ. „ცისფერის“ სემანტიკა ქართულ მხატვრულ შემოქმედებაში // მნათობი . – 2001 . - № 7 – 8 . – გვ. 123 – 127.

„ცისფერის“ სიმბოლიკის კვლევა რომანტიზმთან და რომანტიკულ ტენდენციასთან მიმართებაში, მხატვრობაში, პოეზიაში, მუსიკასა და პიმნოგრაფიაში.

1101. ჩადუნელი თ. უცხოელი ავტორები ქართული ლექსის ბუნებაზე // კრიტიერიუმი . – 2004 . - № 10 . – გვ. 141 – 143.

ევგენი ბოლხოვიტინოვი, მარი ბროსე, ანდრეი ფედოროვი, მიხეილ გასპაროვი, დიმიტრი სლიენიაკი, ქეთრინ ვივიანი, დონალდ რეიფილდი ქართული ლექსთწყობის შესახებ.

1102. Чіковані С. Наш Микола Бажан // Хроніка – 2000 . – 2001 . – Вип. 43 . – с. 359 – 361.

მ. ბაჯანის მიერ უკრაინულ ენაზე თარგმნილი „ვეფხისტყაოსნის“, „დავითიანის“, იოანე შავთელის, ბესიკის, ნ. ბარათაშვილის „მერანის“, ვაჟა-ფშაველას, ი. ჭავჭავაძის, ა. წერეთლისა და სხვათა თარგმანების მიმოხილვა.

### (ძველი)

1103. არაბული გ. „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დადგენის პრობლემები . – თბ., 2004 . – 198 გვ.

1104. ბასილი დიდი. სწავლანი . – თბ., 2004 . – 28 გვ.

ბიზანტიელი საეკლესიო მოღვაწისა და მწერლის – ბასილი კესარიელის „სწავლათა“ ეფთვიმე ათონელისეული თარგმანი.

1105. ბეზარაშვილი ქ. რიტორიკისა და თარგმნის თეორია და პრაქტიკა გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებათა ქართული თარგმანების მიხედვით . – თბ., 2004 . – 794 გვ.

ბიზანტიური რიტორიკის თეორიისა და პრაქტიკის საკითხები და მათი ქართულად თარგმანის საშუალებები ათონისა და შავი მთის მასალების მიხედვით

1106. დარცმელიძე ა. ოჯახი „ვეფხისტყაოსანში“ : რუსთველოლოგიური ნარკვევები. „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის საკითხები . – ქუთაისი, 2004 . – 655 გვ.

ძველი და ახალი ტიპის ოჯახები, ზნეობრივი გმირის პრობლემა, ცრემლი და ტირილი, დესპოტიზმი და სიყვარული, დუმილი და სიცრუე „ვეფხისტყაოსანში“.

1107. ლეონიძე გ. სულხან-საბა ორბელიანი . – თბ., 2004 . – 182 გვ.

სულხან-საბა ორბელიანის პიროვნული და საზოგადოებრივი პორტრეტი, მე-17 ს-ის მეორე ნახევრისა და მე-18 ს-ის პირველი მეოთხედის გარემო და ადამიანები, ვისთანაც მწერალს ურთიერთობა ჰქონდა.

1108. სული – მარად საქართველოზე მაფიქრალი : ეძღვნება ვიქტორ ნოზაძეს / [რედ . : გ. ბენაშვილი] . – თბ., 2004 . – 128 გვ.

ემიგრანტი მეცნიერი, რუსთაველის პოეზიის პარადიგმათა ციკლის შემქმნელი. განხილულია მისი გამოუქვეყნებელი ნაშრომი „ვეფხისტყაოსნის გულთამეტყველება“ და სხვა რუსთველოლოგიური ნაშრომები.

1109. ქვანახია ვ. „ვეფხისტყაოსნის“ საიდუმლო ანუ ანდერძი რუსთაველისა . – თბ., 2004 . – 294გვ.

ვილოსოფოსის ორიგინალური მიგნებები „ვეფხისტყაოსანში“.

1110. ხანიაშვილი ნ. „შესხმა ქართველთა და ქართველთა ენისა“ იოვანე ზოსიმე . – თბ., 2004 . – 74 გვ.

ავტორი იხილავს ქართული სასულიერო მწერლობის უმნიშვნელოვანესი ძეგლის – „ქება და დიდება ქართულისა ენისა“-ს ტექსტში არსებულ დაშიფრულ წინასწარმეტყველებებს.

111. აფციაური თ. თავისუფალი ნების იდეა გრიგოლ ნოსელის „მოსეს ცხოვრების“ მიხედვით // ლოგოსი : წელიწადეული ელინოლოგიასა და ლათინისტიკაში . – 2003 . – ტ. 1 . – გვ. 31 – 45. რეზ. გერმ. ენაზე.

თავისუფალი ნებისა და არჩევანის თავისუფლების ბიბლიური კონცეფციის მნიშვნელოვანი ასპექტები V ს-ის საეკლესიო მწერლის, დვთისმეტყველისა და ფილოსოფოსის ალეგორიულ-მისტიკურ თხზულებაში.

112. ბართაია ნ. ზაბიძოლა საფას – „ლიტერატურის ისტორია ირანში“ – ერთ ადგილთან დაკავშირებით // მნათობი . – 2002 . - № 3 – 4 . – გვ. 129.

შენიშვნა სპარსული ლიტერატურის ისტორიის მკვლევარ ზაბიძოლა საფას ნაშრომში ქართული წარმოშობის სპარსულენოვან პოეტთა წარმოჩენის უგულვებელყოფასთან დაკავშირებით.

113. ბართაია ნ. ორი ტურა არაბეთიდან // ომეგა . – 2003 . - № 5 (43) . – გვ. 110 – 111. რეზ. ინგლ. ენაზე.

ინფორმაციული ხასიათის მასალა გიორგი ლობჯანიძის მიერ „ქილილა და დამანას“ უძველესი არაბული, იბნ ალ-მუკაფასეულის (VIII ს.) ვერსიის ქართული თარგმანის შესახებ.

114. ბეზარაშვილი ქ. ფატმანის სახის ინტერპრეტაციისათვის / ქ. ბეზარაშვილი, ე. დგვევაძე // რუსთაველოლოგია . – 2004 . – ტ. 3 . – გვ. 3 – 9. რეზ. ინგლ. ენაზე.

„ვეფხისტყაოსნის“ ერთ-ერთი გმირის რთული ცხოვრების გზა და ხასიათის თვისებების წარმოჩენა.

115. ბეთხოშვილი დ. კორნელი კეკელიძე „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგზე // კრიტიკიუმი . – 2004 . - № 10 . – გვ. 111 – 115.

კ. კეკელიძის მოსაზრება, რომ „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგი არ ეკუთვნის პოემის ავტორს და არც ერთი ადამიანის მიერაა დაწერილი.

116. ბერიძე რ. „ჭირად არ მიხნდის ღომისა მოკლვა“ // რუსთაველოლოგია . – 2004 . – ტ. 3 . – გვ. 10 – 18. რეზ. ინგლ. ენაზე.

„ჭირად არ მიხნდის ღომისა მოკლვა, მართ ვითა სილისა“ (თუ „სირისა“). ამ ორი ვარიანტის ტექსტოლოგიური კვლევისას

ავტორი ადგენს, რომ ეს ერთი და იგივე სიტყვის ფონეტიკური ორსახეობაა და „ჩიტს“ ნიშნავს.

1117. გვახარია ალ. „ვეფხისტყაოსნის“ ლექსიკიდან : (დარბაზი) // რუსთველოლოგია . – 2004 . – ტ. 3 . – გვ. 200 – 213. რეზ. ინგლ. ენაზე.

ადმოსავლური ენებიდან (უპირატესად სპარსული ან სპარსულის გზით შემოსული) ნასესხები სიტყვები „ვეფხისტყაოსნის“ ლექსიკაში. სიტყვა „დარბაზის“ მნიშვნელობისა და ეტიმოლოგიის დაზუსტება.

1118. გვახარია ალ. „ვისრამინის“ ტექსტოლოგიური საკითხები : I // ახლო აღმოსავლეთი და საქართველო . – 2002 . – კრ. 3 . – გვ. 322 – 328. რეზ. რუს. ენაზე.

XI ს-ის სპარსი პოეტის – ფახრადდინ გორგანის პოემის „ვის ო რამინის“ XII ს-ში შესრულებული პროზაული თარგმანის ქართული ვერსიის გამოცემების ტექსტოლოგიური ჩასწორების რამდენიმე მაგალითი სპარსული ტექსტისა და ქართული ხელნაწერების მონაცემთა გათვალისწინებით.

1119. გორგიშელი გ. „წამებაი ყრმათაი რიცხ თ ცხრათა “-ს და-თარიღებისათვის // თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები . – 2001 . – ტ. 3 (12) . – გვ. 99 – 105. რეზ. რუს. ენაზე.

სტატია ეძღვნება ქართულ აგიოგრაფიულ თხზულებაში მოთხრობილი ცხრა კოლაელი ძმის წამების თარიღს.

1120. გრივალაშვილი ი. „პავლენი“ იოვანე საბანისძის „ჰაბოს წამებაში“ // კრიტიკრიუმი . – 2004 . - № 10 . – გვ. 93 – 95.

ი. საბანისძის დამოკიდებულება პავლე მოციქულისა და მისი ეპისტოლეებისადმი.

1121. დარჩია ბ. „ვეფხისტყაოსნის“ მამუკა თავაქარაშვილისეული ხელნაწერის რედაქციული დახასიათება : (პირველი ნაწილი) // რუსთველოლოგია . – 2004 . – ტ. 3 . – გვ. 19 – 46.

რუსთველოლოგების (ს. კაკაბაძე, ი. აბულაძე, ს. ცაიშვილი) დამოკიდებულება „ვეფხისტყაოსნის“ ე.წ. მამუკა თავაქარაშვილისეული ხელნაწერისადმი (H 599, ლიტერით E). E-ს რედაქციული სიძველე და მისი სპეციფიკური მონაცემები.

1122. დარცმელიძე ა. „ვეფხისტყაოსნის“ დაბოლოების შესახებ // მნათობი . - 2001 . - № 3 - 4 . - გვ. 112 - 118.

ინდო-ხატაველთა ამბის ტექსტის დაზუსტებისათვის.

1123. ელაშვილი ქ. ერთი მივიწყებული ძეგლი // ომეგა . - 2002 . - № 9 (35) . - გვ. 108 - 110. რეზ. ინგლ. ენაზე.

სულხან-საბა ორბელიანის „სამოთხის კარი“ ანუ „საქრისტიანო მოძღვრება“. ძეგლის თეოლოგიური და ფილოსოფიური ასპექტები.

1124. ელაშვილი ქ. იაკობ ხუცესი - დიდი წინაპარი გრიგოლ ხანძთელისა // კრიტიკრიუმი . - 2004 . - № 10 . - გვ. 90 - 92.

„შუშანიკის მარტვილობისა“ და „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ ერთ სააზროვნო სივრცეში განთავსება, განსაკუთრებული სახის სასულიერო მოღვაწის გამოკვეთის თვალსაზრისით.

1125. „ვაი სიცოცხლეო უკულმართო, დანაცარებო“ : (ამბავი ბესიკ გაბაშვილის იდუმალი სიყვარულისა) // . - ომეგა . - 2002 . - № 6 (32) . - გვ. 26 - 27. რეზ. ინგლ. ენაზე.

ბესიკის სიყვარულის ირგვლივ შეთხზული ჰიპოთეზები და დოკუმენტური მასალები; პოეტის ლექსების კომენტარებში ჩართული დავით რექტორის ცნობა მისი პოეტური მუშის ვინაობის შესახებ.

1126. ზაალიშვილი-სუმბაძე მ. ბიბლიური რემინისცენციები „ხელახალი აღორძინების“ ხანის ქართულ პოეზიაში // თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები . - 2000 . - ტ. 2 (11) . - გვ. 62 - 83.

ბიბლიის გავლენა არჩილ მეფისა და მისი სკოლის მწერალთა შემოქმედებაზე. ბიბლიური მოტივები არჩილის, ფეშანგი ფაშვიბერტყაძისა და იოსებ სააკაძის ნაწარმოებებში.

1127. ზარიძე ხ. ილუსტრაციული „ვეფხისტყაოსანი“ // რუსთველოლოგია . - 2004 . - ტ. 3 . - გვ. 47 - 56. რეზ. ინგლ. ენაზე.

„ვეფხისტყაოსნის“ დასურათებისას სიუჟეტისადმი მხატვართა განსხვავებული მიდგომა.

1128. ითონიშვილი ვ. იესე ბარათაშვილი – ფეოდალური ეპოქის ცხოვრების მემკვიდრე // მნათობი . – 2002 . - № 1 – 2 . – გვ. 141 – 147.

მე-18 ს-ის საოჯახო და საზოგადოებრივი ყოფა მწერლის თხზულების – „ცხოვრება ანდერძის“ – მიხედვით.

1129. კარიჭაშვილი ლ. „ვეფხისტყაოსნის“ „ყმა“, „მოყმე“, „ჭაბუკი“ // რუსთველოლოგია . – 2004 . – ტ. 3 . – გვ. 57 – 65. რეზ. ინგლ. ენაზე.

მოცემულ ტერმინთა სრულიად განსაზღვრული სემანტიკური მნიშვნელობები „ვეფხისტყაოსნის“ ენობრივ სივრცეში.

1130. კვატაია მ. ვიქტორ ნოზაძის არქივიდან // რუსთველოლოგია . – 2004 . – ტ. 3 . – გვ. 174 – 199.

რუსთაველთან მიახლოებული ეპოქის მსოფლიოს სხვადასხვა ხალხის სილამაზის იდეალის კვლევა „ვეფხისტყაოსნის“ ესთეტიკური და მხატვრული სამყაროს უკეთ წარმოჩენისათვის ვ. ნოზაძის თხზულებაში „შვენიერების თეორიები“. სტატიას ახლავს ვიქტორ ნოზაძის ხელნაწერის – „სურათთა და შედარებათა სახენი (მეტაფორები)“ – ტექსტი.

1131. კუსრაშვილი რ. კომპოზიტები „ვეფხისტყაოსანში“ // რუსთველოლოგია . – 2004 . – ტ. 3 . – გვ. 66 – 79. რეზ. ინგლ. ენაზე.

გაორკეცებული მარტივუმიანი და რთულფუმიანი კომპოზიტები „ვეფხისტყაოსანში“, მათი გამოყენების შემთხვევები პოემაში და შესწავლა-გაანალიზება წმინდა ენობრივი თვალსაზრისით.

1132. კუჭუხიძე გ. ანტიმაზდეანური პოლემიკის კვალი „შიოსა და ევაგრეს ცხოვრებაში“ // კრიტიკური უმი . – 2004 . - № 10 . – გვ. 96 – 99.

ოთხი სტიქიის დამორჩილება და ანტიმაზდეანური პოლემიკა შიოსა და ევაგრეს ე.წ. არქეტიპულ „ცხოვრებაში“, რომელიც „იონანე ზედაზნელის ცხოვრების“ შემადგენელი ნაწილია.

1133. კუჭუხიძე გ. ნიკოლოზ გულაბერისძის უცნობი ნაწარმოები? // კრიტიკური უმი . – 2004 . - № 11 – 12 . – გვ. 136 – 140.

თამარ მეფის თანამედროვე ნიკოლოზ გულაბერისძის „საკითხავი სუეტისა ცხოველისა...“, რომელშიც ის ქალის მეფობას უჭერს მხარს. გამოთქმულია ვარაუდი, რომ – „ისტორიანი და

აზმანი შარავენდელთანის“ – პირველ ნაწილში ძირითად წყაროდ გამოყენებულია ნიკოლოზ გულაბერისძის უცნობი ნაწარმოები, რომელშიც გიორგი III-ისა და თამარის მეფობაზე იყო საუბარი.

1134. ლეთოდინი ა. ერთი იამბიკოს სიმბოლიკა // კრიტიკრიუმი . – 2004 . - № 10 . – გვ. 100 – 102.

„ისტორიანი და აზმანი შარავენდელთანის“ იამბიკოს სიმბოლოთა მნიშვნელობის ახსნა.

1135. მაგაროტო ლ. „აბო თბილელის წამება“ იტალიურად // კრიტიკრიუმი . – 2004 . - № 11 – 12 . – გვ. 174 – 177.

გაგა შურღაიას მიერ „აბო ტფილელის წამების“ თარგმნა იტალიურ ენაზე.

1136. მენაბდე ლ. რუსთაველი და XIX საუკუნის ქართული ლიტერატურა // საქართველოს ლიტერატურათმცოდნეობის აკადემიის შრომები . – 2004 . – ტ. 3 . – გვ. 84 – 104.

აზრობრივ-შინაარსობრივი მსგავსება და სიტყვიერ-ლექსიკური თანხვედრა რუსთაველისა და XIX ს-ის მწერლების თხზულებებში. „ვეფხისტყაოსნის“ გავლენა XIX ს-ის ქართველ პოეტებზე: ა. ჭავჭავაძე, გრ. ორბელიანი, აღ. ორბელიანი, ს. დოდაშვილი, ვ. ორბელიანი, გ. ერისთავი, ლ. არდაზიანი, ნ. ბარათაშვილი.

1137. მოსია ტ. გურამიშვილის „სიტყვის“ ლოგოსური მნიშვნელობისათვის // კრიტიკრიუმი . – 2004 . - № 10 . – გვ. 109 – 110.

დავით გურამიშვილის მიერ „სიტყვის“ ლოგოსური მნიშვნელობით გააზრება, გაცნობიერება, რომლის დროსაც ის ბიბლიურ-საღვთისმეტყველო, სასულიერო-საეკლესიო ლიტერატურას ემყარება.

1138. ორლოვსკაია ნ. აღმოსავლური თემატიკა ევროპულ ლიტერატურაში : (ერთი აღმოსავლური სიუჟეტის ფრანგული ვარიანტი) // საქართველოს ლიტერატურათმცოდნეობის აკადემიის შრომები . – 2004 . – ტ. 3 . – გვ. 121 – 125.

XVII ს-ის ფრანგი მწერლის ანტუან დე ლა კამიუს რომანის – „აბდეკერ, ანუ სილამაზის შენარჩუნების ხელოვნება“ – ქართველი პერსონაჟი ქალი და მცირე ცნობები საქართველოზე.

1139. პოპიაშვილი ნ. სედრაქი – ბრძანდმეტყველი ვეზირი // მნათობი . – 2002 . - № 5 – 6 . – გვ. 122 – 133.

სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე-სიცრუისას“ ერთ-ერთი პერსონაჟის – სედრაქის დახასიათება.

1140. რაფავა მ. N Sin 50 ხელნაწერის ერთი ცნობის შესახებ : (იყო თუ არა ქართულ ენაზე გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა თარგმანების წიგნი ეფთვიმე მთაწმინდელამდე?) // ლოგოსი : წელიწადეული ელინოლოგიასა და ლათინისტიკაში . – 2003 . – ტ. 1 . – გვ. 247 – 260. რეზ. ინგლ. ენაზე.

ავტორის აზრით, ხელნაწერში მიგნებული ცნობა ადასტურებს გრიგოლ ნაზიანზელის საკითხავების თარგმანების მეტ-ნაკლებად სრული სახით არსებობას მე-10 საუკუნემდე.

1141. რობაქიძე მ. „ეფესოსტკაოსნის“ ლექსიკიდან // მნათობი . – 2001 . - № 7 – 8 . – გვ. 82 – 87.

პიროვნების „იწროებისა“ და „კრულობის“ იდეა პოემაში; „ბუნებაზიარის“, „გული კრულისა“ და „კვეთა-შეკვეთების“ მნიშვნელობა.

1142. რომიძე პ. სარწყავისა და წისქვილის მოხაზულობა // ომეგა . – 2003 . - № 2 (40) . – გვ. 96 – 97. რეზ. ინგლ. ენაზე.

ერეკლე მეორის ძის, ბატონიშვილ მირიანისა და მალღორღისიაში (ახლანდელი უკრაინა) დასახლებული ქართველი პოეტის, დავით გურამიშვილის შეხვედრა კრემენჩუგში 1787 წელს. ამ უკანასკნელის მიერ ბატონიშვილ მირიანისათვის „დავითიანისა“ და სარწყავისა და წისქვილის მოწყობის საკუთარი გეგმის გადაცემა.

1143. სირაძე ქ. „წმინდა მხედრობის“ პარადიგმისათვის // კრიტიკურიუმი . – 2004 . - № 10 . – გვ. 103 – 108.

ქართულ ჰაგიოგრაფიულ გმირებსა და სარაინდო რომანების პერსონაჟებს შორის არსებული კავშირი. ამის საფუძველზე მათი გაერთიანება ტიპოლოგიური სახელწოდებით – „წმინდა მხედრობა“.

1144. სულავა ნ. სამყაროს მშვენიერების რენესანსული გააზრება „ვეფხისტყაოსანში“ // რუსთველოლოგია . – 2004 . – ტ. 3 . – გვ. 80 – 89. რეზ. ინგლ. ენაზე.

რუსთაველის რენესანსული აზროვნების კონცეფციები.

1145. უჯმაჯურიძე მ. ელევური ნაკადი „ვეფხისტყაოსანში“ // რუსთველოლოგია . – 2004 . – ტ. 3 . – გვ. 90 – 106. რეზ. ინგლ. ენაზე.

ელევური მოტივებით ლირიკული ელემენტების შეტანა „ვეფხისტყაოსანში“ და პოემისათვის დამახასიათებელი სევდის დაძლევა ფილოსოფიური კონცეფციებით.

1146. შათირიშვილი ზ. „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგი და ძველი ქართული ლიტერატურის ჟანრული სისტემა : (რამდენიმე შენიშვნა) // რუსთველოლოგია . – 2004 . – ტ. 3 . – გვ. 107 – 114. რეზ. ინგლ. ენაზე.

ლიტერატურის ჟანრების დიფერენციაცია და „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგში ჟანრული და ლირებულებითი კლასიფიკაციის აღრევა.

1147. ჩიკვატია ნ. ეფთვიმე მთაწმინდელის დამოკიდებულება „გარეშეთა სიბრძნისადმი“ : (მის მიერ თარგმნილი და შედგენილი „წინამძღურის“ მიხედვით) // ლოგოსი : წელიწადეული ელინოლოგიასა და ლათინისტიკაში . – 2003 . – ტ. 1 . – გვ. 336 – 352. რეზ. ფრანგ. ენაზე.

ელინოფილური გავლენა ეფთვიმე მთაწმინდელის შემოქმედებით-მთარგმნელობით მოღვაწეობაზე. ბიზანტიური ლიტერატურისათვის დამახასიათებელი ტენდენციების გამოყენების კრიტიკურიუმები ღვთისმეტყველების სახელმძღვანელოს ქართულ თარგმანში.

1148. ჩიტაური ნ. ვიქტორ ნოზაძის გამოუქვეყნებელი ნაშრომებიდან // რუსთველოლოგია . – 2004 . – ტ. 3 . – გვ. 115 – 125. რეზ. ინგლ. ენაზე.

ქართული ემიგრაციის მუხეუმში ხელნაწერი ავტოგრაფების სახით დაცული ვიქტორ ნოზაძის ნაშრომები: „ვეფხისტყაოსნის“ ტანთმეტყველება“, „გულთამეტყველება“, „ვეფხისტყაოსნის“ საზოგადოებრივი ზნენი“.

1149. ცქიტიშვილი თ. „ვეფხისტყაოსნის“ ერთი ტაეპის გააზრება და მისი წყარო : (,იგი წავა და სხვა მოვა ტურფასა საბადნაროსა“) // რუსთველოლოგია . – 2004 . – ტ. 3 . – გვ. 126 – 139. რეზ. ინგლ. ენაზე.

1150. წერეთელი ლ. დაცემული ანგელოზი „ვეფხისტყაოსანში“ // კრიტიკურიუმი . – 2004 . - № 11 – 12 . – გვ. 149 – 150.

„უცხო მოყმის“ როსტევეანისეული აღქმა.

1151. წერეთელი ლ. „ძე ამირსპარსალარისა“ // რუსთველოლოგია . – 2004 . – ტ. 3 . – გვ. 152 – 162. რეზ. ინგლ. ენაზე.

შიომღვიმის ისტორიულ საბუთებს შორის ნაპოვნი თამარ მეფის სიგელი – „დაწერილი ჭიაბერისა მღვიმისადმი“ (1189 – 1190 წწ.). – შოთა რუსთაველის ბიოგრაფიის წყარო.

1152. ჭაბაშვილი მიქაელ, დეკანოზი. ეკლესიის დვაწლი ეროვნული თვითშეგნების ასამაღლებლად მე-18 საუკუნის საქართველოში // კულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხები . – 2004 . - № 19 . – გვ. 10 – 16. რეზ. ინგლ. ენაზე.

ქართველთა ეროვნული თვითშეგნების ასამაღლებლად სასულიერო მწერლობის ჟანრების – პოლემიკა, პიმნოგრაფია, ჰომილეტიკა – აღორძინება (ტიმოთე გაბაშვილი, ანტონ I კათალიკოსი, ბესარიონ ორბელიშვილი, მარიამ-მაკრინა ბაგრატიონი, სულხან-საბა ორბელიანი, ამბროსი ნეკრესელი, ნიკოლოზ ჩერქეზიშვილი).

1153. ჭინჭარაული ალ. „ვეფხისტყაოსნის“ ლექსიკიდან // კრიტიკურიუმი . – 2004 . - № 11 – 12 . – გვ. 166 – 169.

„ვეფხისტყაოსნის“ ზოგიერთი სადავო სტრიქონის შესახებ.

1154. ჭინჭარაული ალ. კიდევ ორი ჩანართი სტროფი „ვეფხისტყაოსანში“ // რუსთველოლოგია . – 2004 . – ტ. 3 . – გვ. 163 – 168. რეზ. ინგლ. ენაზე.

მოსაზრება „ვეფხისტყაოსნის“ ორ, ავტორის აზრით, ყალბ სტროფთან დაკავშირებით.

1155. ხინთიბიძე ა. აღონისური მეტრი „ვეფხისტყაოსანში“ // რუსთველოლოგია . – 2004 . – ტ. 3 . – გვ. 169 – 173. რეზ. ინგლ. ენაზე.

ვერსიფიკაციაში ცნობილი ანტიკური მეტრიკის სახეობის – აღონისური ლექსის (აღონისური მეტრის) გამოყენება „ვეფხისტყაოსანში“.

1156. ჯუღელი ვ. თეოდორიტე კვირიელის სირიულიდან თარგმნილი ორი თხზულება // ლოგოსი : წელიწადეული ელინოლოგიასა და ლათინისტიკაში . – 2003 . – ტ. 1 . – გვ. 400 – 420. რეზ. ინგლ. ენაზე.

V ს-ის სირიელი ეპისკოპოსის თხზულებების – „იაკობ ნისიბელის ცხოვრების“ და „ივლიანე-საბას ცხოვრების“ ქართული თარგმანების განხილვა. მთარგმნელებისა და გადამწერების სახელები ცნობილი არ არის.

1157. Бажан М. Безсмертна поема... // Хроніка – 2000 . – 2001 . – Вип. 43 . – с. 77 – 98.

შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ უკრაინულ ენაზე თარგმნის ისტორია. მოყვანილია კიევში 1956 წ. უკრაინულ ენაზე გამოცემული „ვეფხისტყაოსნის“ წინასიტყვაობის შემოკლებული ვარიანტი.

1158. Бажан М. Поет, воїн, хлібороб// Хроніка – 2000 . – 2001 . – Вип. 43 . – с. 187 – 195.

პატრიოტული, რეალისტური და რელიგიური მოტივები დავით გურამიშვილის შემოქმედებაში.

1159. Гордіїв Д. Ілюстрації до поеми Шота Руставелі // Хроніка – 2000 . – 2001 . – Вип. 44 . – с. 120 – 122.

შოთა რუსთაველის პოემის ილუსტრაციების შესახებ.

1160. Кубанейшвілі С. Грузинські поети в Україні у XVIII столітті // Хроніка – 2000 . – 2001 . – Вип. 43 . – с. 164 – 186.

უკრაინაში მოღვაწე (XVIII ს.) პოეტების: დავით გურამიშვილის, ოტია ფავლენიშვილის, შიო და ერასტი ჯავახიშვილების ცხოვრება და შემოქმედება.

1161. Пайчадзе Г. До історії грузинсько – українських зв'язків у XVIII столітті // Хроніка – 2000 . – 2001 . – Вип. 44 . – с. 142 – 163.

XVIII საუკუნის ქართულ-უკრაინული კავშირების ისტორია. დავით გურამიშვილის როლი უკრაინელი და ქართველი ხალხების დაახლოებაში.

1162. Плоткін Г. Де похований Шота Руставелі? // Хроніка – 2000 . – 2001 . – Вип. 44 . – с. 123 – 126.

შოთა რუსთაველის საფლავის ადგილის დადგენის ცდა.

### (XIX)

1163. ეგვინიძე ი. XIX საუკუნის ქართული ლიტერატურა და მისი სწავლების საკითხები. ნაკვ. 1. / ი. ეგვინიძე, ლ. მინაშვილი, ი. ქაფიაშვილი . – თბ., 2004 . – 292 გვ.

აღ. ჭავჭავაძის, გრ. ორბელიანის, ნ. ბარათაშვილის, ი. ჭავჭავაძის, ა. წერეთლის სწავლების საკითხები სკოლასა და მის-აღებ გამოცდებზე.

1164. ილიას კრებული ტ. 2. / [სარედ. კოლ . : ი. ეგვინიძე და სხვ] . – თბ., 2004 . – 548 გვ.

ილია ჭავჭავაძის შემოქმედება, ლიტერატურის თეორიის ზოგიერთ საკითხთან დამოკიდებულება, პუბლიცისტიკა და სხვ. ილია – ქართული ანბანის რეფორმატორი. ილიას შეფასება მის თანამედროვე მწერალთა მიერ.

1165. მარკოზაშვილი შ. მწერალი მასწავლებლები . – თბ., 2004 . – 92 გვ.

ქართველი მწერლები პედაგოგიურ ასპარეზზე (ვაჟა-ფშაველა, დანიელ ჭონქაძე, ბაჩანა, თედო რაზიკაშვილი და სხვ.).

1166. ფერაძე ლ. შეწყვეტილი სიცოცხლე : ივანე მანაბელი . – თბ., 2004 . – 259 გვ.

მთარგმნელისა და საზოგადო მოღვაწის – ი. მანაბლისადმი მიძღვნილ წიგნში წარმოდგენილია ცნობილ პიროვნებათა განმონათქვამები მის შესახებ.

1167. ყორანაშვილი გ. წიწამურის ტრაგედიის საიდუმლო . – თბ., 2004 . – 356 გვ.

ილია ჭავჭავაძის მკვლევლობის დამკვეთები, ორგანიზატორები და უშუალო შემსრულებლები.

1168. ჭუმბურიძე ჯ. მეცხრამეტე საუკუნე : ლიტერატურული ნარკვევები . - თბ., 2004 . - 307 გვ.

ქართული რომანტიზმის ძირითადი ტენდენციები. გრ. ორბელიანის „სადღევრძელო“ და ვ. უუკოვსკის „მომდერალი რუს მეომართა ბანაკში“. მე-19 ს-ის ქართული სალიტერატურო კრიტიკის ძირითადი ტენდენციები. ილია ჭავჭავაძე ქართული პრესისა და ვაჟა-ფშაველა რევოლუციამდელი ქართული კრიტიკის შეფასებით.

1169. ხორავა ი. ილია : აღზარდე შვილი, მიეც ძალა სულს! . - თბ., 2004 . - 169 გვ.

ი. ჭავჭავაძის რელიგიურ-ფილოსოფიური მხატვრული პროზა, როგორც მოზარდში ეროვნული ცნობიერების, ზნეობრივი ფასეულობების, ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების ჩამოყალიბების საწინდარი.

1170. ბაზიერაშვილი ნ. ერეკლე მეფის სახე ქართველი რომანტიკოსების შემოქმედებაში : (ვახტანგ ორბელიანი) : (ეტიუდი) // თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები . - 2000 . - ტ. 2 (11) . - გვ. 47 - 52.

ერეკლე II-ის ისტორიული ღვაწლი და მისი პიროვნული იდეალიზაცია ვ. ორბელიანის პოეზიაში.

1171. ბარბაქაძე ც. მოკვდავსა ენას არ ძალუძს... (ნიკოლოზ ბარათაშვილი და ეკატერინე ჭავჭავაძე // ომეგა . - 2002 . - № 8 (34) . - გვ. 8 - 11. რეზ. ინგლ. ენაზე.

ჭავჭავაძეების სალონი, აღ. ჭავჭავაძის ოჯახი - „ქართული პოეზიის მუზათა სადგური“, ნ. ბარათაშვილის სიყვარული ეკატერინე ჭავჭავაძისადმი.

1172. ბუაჩიძე ა. ვისი გორისა ხარ // მნათობი . - 2001 . - № 9 - 10 . - გვ. 76 - 79.

ეროვნულ-ზნეობრივ მსოფლმხედველობაზე დაფუძნებული ეროვნული თავისუფლებისაკენ სწრაფვა აღ. ყაზბეგის შემოქმედებაში, კერძოდ, მოთხრობაში „ხვეისბერი გონა“.

1173. გაჩეჩილაძე მ. გაზეთი „კვალი“ და „101 ნული“ // მნათობი . - 2001 . - № 7 – 8 . - გვ. 73 – 81.

შეთქმულება ილია ჭავჭავაძის წინააღმდეგ, რაც გამოვლინდა სოციალ-დემოკრატიული პარტიის (მენშევიკების) პერიოდული ორგანოს – „კვალისა“ და ილიასეული „ივერიის“ ფურცლებზე ურთიერთარაკორექტული მიმართვებისა და იდეოლოგიური დაპირისპირების სახით.

1174. გიორგაძე ნ. „განდევილი“ და ასკეტიზმის კრიტიკა?! // თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები . - 2001 . - ტ. 3 (12) . - გვ. 45 – 49. რეზ. ინგლ. ენაზე.

„განდევლის“ ახლებური წაკითხვა. ილიას მიერ პოემაში გამოყენებული ცოდვით დაცემის კლასიკური სიუჟეტი, რომელიც რწმენის დაღატითაა გამოწვეული.

1175. გოგიაშვილი თ. მხატვრული ნაწარმოების კომპოზიციის სწავლებისათვის : (აღ. ყაზბეგის „ხევისბერი გოჩა“) // თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები . - 2001 . - ტ. 3 (12) . - გვ. 158 – 162. რეზ. ქართ. და ინგლ. ენებზე.

ა. თოფურიას მიერ „ხევისბერი გოჩას“ შესწავლისათვის შედგენილი კომპოზიციური გეგმის ანალიზი და სტატიის ავტორის მიერ შედგენილი ახალი საორიენტაციო კომპოზიციის გეგმა.

1176. გოგოლაძე დ. ნიკოლოზ ბარათაშვილის „ბედი ქართლისას“ კონცეფციისათვის : (1801 წლის აქტის 200 წლისთავთან დაკავშირებით) // მნათობი . - 2001 . - № 9 – 10 . - გვ. 144 – 152.

საქართველოს რუსეთთან შეერთების 1801 წლის აქტის დადებითი და უარყოფითი მომენტები. „გეორგიევსკის ტრაქტატის“ დადების წინა პერიოდისა და მისი შედეგების ისტორიულ-ფილოსოფიური შეფასება ნ. ბარათაშვილის პოემაში.

1177. გუხუა ე. აკაკის ნაკვეთი // ომეგა . - 2003 . - № 11 (49) . - გვ. 110 – 111. რეზ. ინგლ. ენაზე.

იაკობ მანსვეტაშვილის წერილში – „მცირე მოგონება აკაკი იზე“ – გადმოცემული აკაკი წერეთლის დამოკიდებულება ვინმე თერძ ანდრია კაპანაძისადმი. ნაკვეთების რამდენიმე გამოცემაში შესული ამ ამბის სხვადასხვა ვარიანტის შედარება მანსვეტაშვილისეულ მოგონებასთან.

1178. გუსევა ე. ნინო ორბელიანის საოჯახო ალბომი // ომეგა . - 2002 . - № 12 (38) . - გვ. 92 - 95. რეზ. ინგლ. ენაზე.

ქართული ლიტერატურის მუზეუმში დაცული საოჯახო ფოტოალბომი, რომელიც ეკუთვნის XIX ს-ის პოეტ ქალს ნინო სვიმონის ასულ აბაშიძე-ორბელიანს. მისი ბიოგრაფია და მოღვაწეობა ქუთაისის ლიტერატურულ სალონებსა და წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში.

1179. დადუნაშვილი ე. პეტრე უმიკაშვილი და XIX საუკუნის ლიტერატურის უცნობი დეტალები // კრიტიკრიუმი . - 2004 . - № 10 . - გვ. 85 - 89.

პეტრე უმიკაშვილის არქივში დაცული წერილების ანაბეჭდები, რომლებიც მნიშვნელოვან ცნობებს შეიცავენ XIX ს-ის საქართველოს ლიტერატურულ-კულტურული ცხოვრების შესახებ (კიტა აბაშიძის, პეტრე უმიკაშვილის, დავით კლდიაშვილის ლიტერატურული შეფასებები, შეხედულებები მწერლობაზე).

1180. ელაშვილი ქ. სრულქმნილი სამყაროს პოეტური ხატი : ემოციური დაფიქრება ვაჟა-ფშაველას მხატვრულ პროზაზე // ომეგა . - 2003 . - № 1 (39) . - გვ. 96 - 97. რეზ. ინგლ. ენაზე.

ფერთამეტყველება ვაჟა-ფშაველას მხატვრულ აზროვნებაში.

1181. ელიკაშვილი ნ. ალექსანდრე ორბელიანის პიესა „უამნი მეფობენ“ // კრიტიკრიუმი . - 2004 . - № 10 . - გვ. 74 - 76.

1866 წ. კაზრეთში დაწერილი პიესა ეხება იმ დროისათვის მტკივნეულ საკითხს - ბატონობის გადავარდნას.

1182. ვახანია ნ. ყოველი ქართველი ჩვენსა ენასა უნდა უფროხილდებოდეთ // ომეგა . - 2002 . - № 5 (31) . - გვ. 9 - 13. რეზ. ინგლ. ენაზე.

ალ. ორბელიანის თვალსაზრისი ქართული ენის შესახებ. მისი პუბლიცისტური წერილების განხილვა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით; რუსთაველისა და მისი პოემისადმი დამოკიდებულება.

1183. ზარდიაშვილი ე. აკაკის ტრაგიკული სიყვარულის ამბავი : „რა იცინა, რომ ეს გული მკვდარია!“ // ომეგა . - 2002 . - № 10 (36) . - გვ. 6 - 9. რეზ. ინგლ. ენაზე.

ზოგიერთი ეპიზოდი აკაკი წერეთლის პირადი ცხოვრებიდან. პოეტის უიღბლო სიყვარული ვანო მანაბლის მეუღლის – ტასო ბაგრატიონ-მანაბლისადმი.

1184. ზარდიაშვილი ე. აკაკის ერთი უცნობი წერილი // კრიტიკერიუმი . - 2004 . - № 11 – 12 . - გვ. 164 – 165.

კ. კეკელიძის ხელნაწერთა ინსტიტუტში მიკვლეული აკაკი წერეთლის უცნობი სტატია, რომელიც ქართველ-სომეხთა ურთიერთობას ეხება.

1185. ზოიძე შ. ფაუსტური ვნებათაღელვა // მნათობი . - 2001 . - № 1 – 2 . - გვ. 101 – 105.

ნ. ბარათაშვილის პოეზია. „მერანის“ განსაკუთრებული ადგილი პოეტის შემოქმედებაში.

1186. თავბერიძე ე. უარი იმპერატორის ბოძებულ ტიტულზე : (გიორგი შარვაშიძე) // ომეგა . - 2003 . - № 12 (50) . - გვ. 56 – 57. რეზ. ინგლ. ენაზე.

ეპიზოდები აფხაზეთის მთავრის მემკვიდრის, პოეტ გიორგი მიხეილის ძე შარვაშიძის ცხოვრებიდან.

1187. თომაშვილი დ. წინაპართა სახეები // მნათობი . - 2001 . - № 11 – 12 . - გვ. 88 – 95.

პოეტის, პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის – დომენტი თომაშვილის (ოყრეშიძე) არქივში დაცული კრებულებიდან – „მოგონებები და შთაბეჭდილებანი“ – ამოღებული ნარკვევი ქართველ მწერლებსა და საზოგადო მოღვაწეებზე (ილია ჭავჭავაძე, იროდიონ ევლოშვილი, სილოვან ხუნდაძე).

1188. იოსელიანი ო. აკაკის გენიალური უბრალოების საიდუმლო // ენის სახლი . - 2002 . - № 2 . - გვ. 17.

ლიტერატურული ესკიზი.

1189. კანკავა გ. ლიტერატურული გავლენები „კაცია-ადამიან-ში?!“ // კრიტიკერიუმი . - 2004 . - № 11 – 12 . - გვ. 102 – 106.

ი. ჭავჭავაძის „კაცია-ადამიანის?!“ ლიტერატურული ანალიზი. პარალელები ონორე დე ბალზაკის „მამა გორიოსთან“ და ლ. არდაზიანის „სოლომონ ისაკის მეჯღანუაშვილთან“.

1190. კვიციანიშვილი ე. „რატომ არ მოვედ წვიმად“ // მნათობი . - 2002 . - № 9 - 10 . - გვ. 94 - 110.

შთაბეჭდილებები 1991 წელს ასოციაცია „გულანის“ მიერ გამოცემულ წიგნზე: „მამამა ღმერთს ჩამაპყარა სახელი: გულქან რაზიკაშვილის ნაამბობი“. ვაჟა-ფშაველას ქალიშვილის მოგონებები ჩაიწერა ეთერ თათარაიძემ.

1191. კოტეტიშვილი დ. რაფიელ ერისთავი – მწერალი და საზოგადო მოღვაწე : (160 წლისთავის გამო) // საქართველოს ბიბლიოთეკა . - 2004 . - № 4 . - გვ. 63 - 66.

ცხოვრება, სამწერლო და საზოგადოებრივი მოღვაწეობა.

1192. ლატარია ნ. აღ. ყაზბეგის დაუმთავრებელი მოთხრობები // კრიტიკურიუმი . - 2004 . - № 11 - 12 . - გვ. 111 - 113.

ორი დაუმთავრებელი მოთხრობა („ვინ გავამტყუნოთ?“, „პა-წია გმირი“) და მათი ადგილი აღ. ყაზბეგის შემოქმედებაში.

1193. მინაშვილი ლ. ილია ჭავჭავაძის ლირიკის პათოსი // საქართველოს ლიტერატურათმცოდნეობის აკადემიის შრომები . - 2004 . - ტ. 3 . - გვ. 105 - 120.

ილიას ლირიკის დახასიათება.

1194. მირიანაშვილი მ. აკაკი წერეთლის ერთი უცნობი ფოტოსურათის შესახებ // მეცნიერება და ტექნოლოგიები . - 2001 . - № 4 - 6 . - გვ. 153 - 154.

გადაღებული 1911 წელს დავით სარაჯიშვილის დაკრძალვის ცერემონიალზე.

1195. მიქიაშვილი ო. რუსიციზმები ქართველ რომანტიკოსთა ენაში // საენათმეცნიერო ძიებანი . - 2003 . - ტ. 14 . - გვ. 141 - 149. რეზ. ინგლ. ენაზე.

ქართველ რომანტიკოსთა არამხატვრული თხზულებების ენაში გავრცელებული რუსიციზმების გამოვლენა-შესწავლის საკითხი. რუსული ლექსიკური ნასესხობების, რუსულის გავლენით მიღებული სიტყვათშეთანხმებების (კალკების) ხმარების შემთხვევები აღექსანდრე ჭავჭავაძის, გრიგოლ ორბელიანისა და ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედებაში.

1196. მომცემლიძე გ. მამათა და შვილთა ბრძოლა // მნათობი . - 2001 . - № 5 - 6 . - გვ. 127 - 129.

მე-19 ს-ის 60-70-იანი წლების ურიერთდაპირისპირება პროგრესულად მოაზროვნე ახალგაზრდა მწერლებსა და კონსერვატიულ ძველ თაობას შორის, რაც ქართული ლიტერატურის ისტორიაში „მამათა“ და „შვილთა“ ბრძოლის სახელწოდებით არის ცნობილი.

1197. მშვენიერაძე ნ. დიმიტრი უზნაძე ილია ჭავჭავაძის „განდევილის“ შესახებ // მნათობი . - 2001 . - № 11 - 12 . - გვ. 79 - 80.

ფილოსოფიური ანალიზი დ. უზნაძის წერილისა „განდგომილობის პრობლემა ილია ჭავჭავაძის „განდევილში“ („სახალხო გაზეთი“, 1911 წ. № 483, 484).

1198. ნახუცრიშვილი მ. ილია ჭავჭავაძის „სახრჩობელაზედ“ // მნათობი . - 2002 . - № 9 - 10 . - გვ. 138 - 143.

ნაწარმოების ლიტერატურული და ფსიქოლოგიური ანალიზი.

1199. სარაჯიშვილი გ. „ჩვენ არასოდეს მოვეკვდებით“... // საქართველოს ბიბლიოთეკა . - 2004 . - № 3 . - გვ. 49 - 57; № 4 . - გვ. 24 - 29.

ნინო ჭავჭავაძისა და ალექსანდრე გრიბოედოვის სიყვარულის ისტორია. ამ თემაზე დაწერილი ქართველი პოეტების ლექსები. ალ. ჭავჭავაძის მეგობრის, ისტორიკოსის, რუსეთში მოღვაწე მიხეილ ბარათაშვილის დამოკიდებულება ამ მოვლენისადმი, მისი ბიოგრაფია - ალ. გრიბოედოვის დაბადების 200 და გარდაცვალების 175 წლისთავის გამო.

1200. სიხარულიძე ი. ლავრენტი ჩოხატაურელი // საქართველოს ახალი ისტორიის საკითხები . - 2004 . - ტ. 7 . - გვ. 345 - 346. რეზ. რუს. ენაზე.

XIX ს-ის 90-ინ წლებში მოღვაწე მწერლის ლავრენტი ანტონის ძე ბერძენიშვილის (1873 - 1899) ბიოგრაფიული ცნობები, საზოგადოებრივი მოღვაწეობა.

1201. სოზაშვილი ნ. აკაკი წერეთლის პოემა „კიკოლას ნაამბობის“ ფოლკლორული წყაროები // თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები . - 2000 . - ტ. 2 (11) . - გვ. 53 - 57.

1202. ფარცხალაძე ე. აკაკი წერეთელი და ხონი // ენის სახლი . - 2002 . - № 1 . - გვ. 26.

აკაკის წვლილი ხონის კულტურულ-საგანმანათლებლო ცხოვრებაში.

1203. ფრუიძე ნ. აკაკი წერეთლის მხატვრულ-დოკუმენტური პროზა : („სოლომონ პირველი დიდი იმერეთის მეფის“ მაგალითზე) // ენის სახლი . - 2002 . - № 1 . - გვ. 21 - 25.

ნაწარმოების ანალიზი.

1204. ფრუიძე ნ. ჭური რჩეული და სული მკურნალი : ანდრია პირველწოდებულის სახე აკაკი წერეთლის შემოქმედებაში // ენის სახლი . - 2002 . - № 2 . - გვ. 18 - 22.

საქართველოში ქრისტიანობის პირველი მქადაგებლისადმი მიძღვნილი პოემის „ანდრია პირველწოდებულის“ სიუჟეტის თანხვედრა „ქართლის ცხოვრების“ ბროსესეული ნუსხის ტექსტთან.

1205. ქავთარაძე მ. ისტორია და ჩვენი კლასიკოსები : ილია ჭავჭავაძე, „ნიკოლოზ გოსტაშაბიშვილი“ // საქართველოს ლიტერატურათმცოდნეობის აკადემიის შრომები . - 2004 . - ტ. 3 . - გვ. 157 - 162.

ისტორიულ ნაწარმოებებში ჩადებული დიდი ეროვნული იმპულსი. 1880 წ. დაწერილი ილიას საახალწლო მოთხრობა „ნიკოლოზ გოსტაშაბიშვილი“.

1206. ღვინიაშვილი თ. გიორგი შარვაშიძე // მნათობი . - 2002 . - № 7 - 8 . - გვ. 128 - 134.

პოეტის, დრამატურგის, მთარგმნელისა და პუბლიცისტის ცხოვრება, შემოქმედება და მოწინავე ქართველ ინტელიგენციასთან ურთიერთობა.

1207. ღონღაძე თ. ამ გულს მხოლოდ კატინა უყვარდა // ომეგა . - 2002 . - № 5 (31) . - გვ. 3 - 6. რეზ. ინგლ. ენაზე.

მწერალ ალექსანდრე ორბელიანისა და მისი მეუღლის - ეკატერინე ბარათაშვილის ურთიერთობები; 1832 წლის შეთქმულებაში მონაწილეობის გამო რუსეთში გადასახლებული მწერლის მეუღლისადმი გაგზავნილი წერილები.

1208. შენგელია ქ. „დამაბნეველი სიდიადე“ : („გველისმჭამელის“ მიხედვით) // მნათობი . - 2001 . - № 1 - 2 . - გვ. 124 - 133.

ვაჟა-ფშაველას მრწამსი, მისი დამოკიდებულება ბუნებისადმი.

1209. ცერცვაძე ჯ. მწერალთა და პერსონაჟთა ტრაგიზმი // კრიტიკური უმი . - 2004 . - № 10 . - გვ. 79 - 84.

მამაშვილურ ურთიერთობათა პრობლემა პრ. მერიმეს, ნ. გოგოლისა და ალ. ყაზბეგის თხზულებებში – „მატეო ფალკონე“, „ტარას ბუღბა“, „ხევისბერი გოჩა“; ნაწარმოებთა შეპირისპირებით მათ შორის არსებული ტიპოლოგიური კავშირის დადგენა.

1210. წაქაძე ი. „ვეფხისტყაოსანი“ – პეტრე ლარაძის შემოქმედების ერთ-ერთი წყარო // რუსთველოლოგია . - 2004 . - ტ. 3 . - გვ. 140 - 151. რეზ. ინგლ. ენაზე.

რუსთაველის ზეგავლენა პეტრე ლარაძის შემოქმედებაზე („საქართველოს ძველი დროის თავგადასავალი“, „დილარიანი“, „სახე მგოსანი“), რომელშიც შეიმჩნევა შუა საუკუნეების საგმირო-სარაინდო რომანებისათვის დამახასიათებელი პასაჟები.

1211. წერეთელი ა. სიმართლე // ომეგა . - 2002 . - № 12 (38) . - გვ. 40 - 43. რეზ. ინგლ. ენაზე.

ხელნაწერთა ინსტიტუტის აკაკის ფონდში დაცული ეროვნულ-პატრიოტული ხასიათის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობისადმი მიძღვნილი გამოუქვეყნებელი პუბლიცისტური წერილი, სახელწოდებით „სიმართლე“, ელზა ზარდიაშვილის კომენტარით.

1212. წოწკოლაური დ. ვაჟა-ფშაველა ბუნებასთან მხატვრული აზროვნების კავშირის შესახებ // მნათობი . - 2002 . - № 3 - 4 . - გვ. 131 - 134.

მწერლის შემოქმედებისა და პუბლიცისტური წერილების მიხედვით.

1213. ჭოხონელიძე გ. ილიას ერთი უცნობი მინაწერი // კრიტიკური უმი . - 2004 . - № 11 - 12 . - გვ. 161 - 163.

ილია ჭავჭავაძის მცირე მინაწერი მისი დისწულის სიმონ (სენა) აფხაზის მიერ დედისადმი (ელისაბედ ჭავჭავაძე) გაგზავნილ წერილზე. ილიას მინაწერის ადრესატია სენას დედა – ნინო ჭავჭავაძე-აფხაზი (1872 წ.).

1214. ჯაყელი ჯ. კულტმსახურების სურათები ალ. ყაზბეგის ნაწარმოებებში // ლიტერატურული აჭარა . - 2001 . - № 11 . - გვ. 58 - 66.

საკულტო ადგილსამლოცველოები და მათთან დაკავშირებული რიტუალები, ქართველ მთიელთა ყოფის დამახასიათებელი დეტალები და თქმულება-ლეგენდები ალ. ყაზბეგის შემოქმედებაში.

1215. ჯაყელი ჯ. რეალურ-ფოლკლორული პიროვნებები - ალ. ყაზბეგის პერსონაჟები // ლიტერატურული აჭარა . - 2001 . - № 12 . - გვ. 59 - 65.

1216. Гаджиев В. Жизнь и творчество Ашуга Шивги (Лука Беридзе) // საქართველოს ლიტერატურათმცოდნეობის აკადემიის შრომები . - 2004 . - ტ. 3 . - გვ. 33 - 46.

Поэт XIX века из Месхет-Джаваhetiи Ашуг Шивга, творивший на тюркском и грузинском языках.

1217. Комбай В. От “Восточной Повести” к сатирическому реалистическому роману из жизни горцев : (Творчество В. Т. Нарезного) // თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები . - 2000 . - ტ. 2 (11) . - გვ. 105 - 110.

Первый русский роман о Кавказе “Черный Год” и другие произведения о Грузии В. Нарезного (конец XVIII - начало XIX вв.).

1218. Асатиანი Л. Грузинські друзі та знайомі Лесі Українки // Хроніка - 2000 . - 2001 . - Вип. 43 . - с. 274 - 280.

უკრაინელი პოეტის ლესია უკრაინკას (ლარისა კოსანი) ცხოვრება, ლიტერატურული მოღვაწეობა საქართველოში და ურთიერთობა ქართველ მწერლებთან.

1219. Гамбарашвілі Н. Мої спогади про Лесю Українку // Хроніка - 2000 . - 2001 . - Вип. 43 . - с. 281 - 284.

ნესტორ ღამბარაშვილის მოგონებები და მიმოწერა უკრაინელ პოეტ ლესია უკრაინკასთან (ლარისა კოსანი).

1220. იმედაძე В. Шевченко і Церетелі // Хроніка - 2000 . - 2001 . - Вип. 43 . - с. 209 - 219.

საქართველო ტარას შევჩენკოს შემოქმედებაში (პოემა “Кавказ”). აკაკი წერეთლის შეხვედრები კობზართან.

1221. Каспрук А. Ілля Чавчавадзе і Україна // Хроніка – 2000 . – 2001 . – Вип. 43 . – с. 268 – 273.

ილია ჭავჭავაძის ნაწარმოებების უკრაინულ ენაზე თარგმნის ისტორიიდან.

1222. Пірадов Б. Життя і думи Миколи Гулака // Хроніка . – 2000 – 2001 . – Вип. 43 . – с. 219 – 250.

მიკოლა გულაკის მოღვაწეობა საქართველოში, რუსთველოლოგიური სტატიები ქართული პრესის ფურცლებზე (გაზეთები – „დროება“, “Кавказ”, „ივერია“).

1223. Поракишвілі Н. М. І. Гулак і грузинська культура // Хроніка – 2000 . – 2001 . – Вип. 43 . – с. 251 – 267.

„ვეფხისტყაოსნის“ მ. გულაკისეული თარგმანი უკრაინულ ენაზე და მისი ურთიერთობა ქართველ მოღვაწეებთან.

1224. Церетелі Акакій. Зустріч з Т. Г. Шевченком // Хроніка – 2000 . – 2001 . – Вип. 43 . – с. 206 – 209.

აკაკი წერეთლის შეხვედრა უკრაინელ პოეტ ტარას შევჩენკოსთან (1859 წ.) და ისტორიკოს მიხეილ ივანეს ძე კოსტომაროვთან. მოგონებები.

1225. Чіковані С. Як вічність, молодий // Хроніка – 2000 . – 2001 . – Вип. 43 . – с. 355 – 358.

აკაკი წერეთლის პოეზიის მაქსიმ რილსკისეული უკრაინული თარგმანების მოკლე მიმოხილვა.

## (XX)

1226. აღსაზიშვილი გ. სიტყვებში გახიზნული ფიქრი : ესეები . – თბ., 2004 . – 420 გვ.

ბოლო თხუთმეტი წლის განმავლობაში შექმნილი ესეების, პუბლიცისტური წერილების, მოგონებების, დიალოგებისა და ინტერვიუების კრებული.

1227. ახალაია ვ. 1. უიარაღოს თხზულებათა ენა და სტილი. 2. წერილები, ინტერვიუები ... – თბ., 2004 . – 247 გვ.

უიარაღოს (კონდრატე თათარაშვილი) თხზულებათა ფონეტიკური, მორფოლოგიური, სინტაქსური, სტილისტური თავისებურებები, სიტყვათწარმოება და ლექსიკა. წერილები აკაკი შანიძეზე, არნოლდ ჩიქობავაზე, ლევან ასათიანზე, შიო არაგვისპირელზე, ეკატერინე გაბაშვილზე.

1228. გადილია ი. ლადო ასათიანის პოეზია . – თბ., 2004 . – 174 გვ.

ლ. ასათიანის პოეზიის იდეური საფუძველი, მხატვრული აზროვნების თავისებურებები, ენა და სტილი.

1229. გენძეხაძე ც. ლიტერატურული მერიდიანები . – თბ., 2004 . – 360 გვ.

მე-20 ს-ის ქართული მწერლობა. სტატიები მ. ჯავახიშვილზე, ს. ჩიქოვანზე, რ. გვეტაძეზე, ი. ნონეშვილზე, ო. ჭილაძეზე, ა. სულაკაურზე, რ. ჭეიშვილზე, გ. ასათიანზე და სხვ.

1230. თითმერია ჯ. საუბრები . – თბ., 2004 . – 192 გვ.

ანა კალანდაძე, აკაკი შანიძე, შალვა ნუცუბიძე, სერგო კლიაშვილი, ირაკლი აბაშიძე, რევაზ ინანიშვილი, თამაზ ჭილაძე, ნოდარ გურაბანიძე, ვახტანგ ჯავახაძე, ვახტანგ დავითაია, მიხეილ ქვლივიძე, გურამ დონანაშვილი – სამყაროსთან, წარსულთან, აწმყოსთან და მომავალთან დამოკიდებულებაზე.

1231. თოდუა ვ. მიხეილ ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნები“ და სალიტერატურო კრიტიკა . – თბ., 2004 . – 71 გვ.

გ. ასათიანის, ს. ჭილაიას, გ. ბარნოვის, შ. ჩიჩუას, ტ. კვანჭილაშვილის, რ. მიშველაძისა და სხვ. მოსაზრებები მ. ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნების“ შესახებ.

1232. კომახიძე თ. იოსებ იმედაშვილი – აჭარის მოამაგე . – ბათუმი, 2004 . – 380 გვ.

აჭარა ჟურნალ „თეატრი და ცხოვრების“ ფურცლებზე. ბაილარ აბაშიძის, შალვა დადიანისა და ალექსანდრე აბაშვილის წერილები იოსებ იმედაშვილის გარდაცვალებასთან დაკავშირებით.

1233. კორნელი კეკელიძე 125 / შემდგ . : ე. ხინთიბიძე . – თბ., 2004 . – 314 გვ.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრის, შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურისა და კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელთა გამოკვლევების კრებული.

1234. მადლით შეზავებული სიტყვა ქართული : ეძღვნება მიხეილ ჯავახიშვილს / [რედ. : გ. ბენაშვილი და ნ. სულავა] . – თბ., 2004 . – 134 გვ.

გ. ბენაშვილი, ლ. წიქარიშვილი, მ. ჯალიაშვილი, მ. გიორგიშვილი, ე. კვიციანიშვილი, ც. გენძეხაძე, ე. ცხადაძე, ლ. თეთრუაშვილი და ჟ. ქვლივიძე მიხეილ ჯავახიშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ.

1235. მარკოზაშვილი შ. გატეხილი კალამი . – თბ., 2004 . – 68 გვ.

ნოველისტისა და საზოგადო მოღვაწის – შიო არაგვისპირელის (დედაბრიშვილი) ცხოვრება და შემოქმედება. ოჯახის წევრებისა და ახლობლების მოგონებები მწერალზე.

1236. მეოცე საუკუნის ქართული ლიტერატურული კრიტიკის ისტორიის ნარკვევები. ნაწ. 1. / ა. ნიკოლეიშვილი და სხვ. . – ქუთაისი, 2004 . – 312 გვ.

მე-20 ს-ის ქართული ლიტერატურული კრიტიკის განვითარების უმთავრესი ეტაპები. მიხეილ ჯავახიშვილის, გრიგოლ რობაქიძის, ნიკო ლორთქიფანიძის, ლეო ქიაჩელის, იოსებ გრიშაშვილის, კონსტანტინე გამსახურდიას, გალაკტიონ ტაბიძის, „ცისფერყანწულების“, პოლიკარპე კაკაბაძისა და გიორგი ლეონიძის ნაწარმოებები ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში.

1237. მესხია ც. გზა ჭეშმარიტი შემოქმედისა . – თბ., 2004 . – 171 გვ.

პოეტის, პუბლიცისტისა და მთარგმნელის შოთა აკობიას მრავალფეროვანი შემოქმედება.

1238. მიქელ პატარიძე : გახსენება : 1895 – 1956 / რედ. : ი. ორჯონიკიძე . – თბ., 2004 . – 69 გვ.

თამაზ ჩხენკელი მიქელ პატარიძის შესახებ. პოეტის მიმოწერა ახლობლებთან და მისი თარგმანები.

1239. მიხეილ ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნები“ სკოლაში . – თბ., 2000 . – 225 გვ.

მე-10 კრებულში სერიიდან „ქართველი მწერლები სკოლაში“ წარმოდგენილია მ. ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნების“ ტექსტი და მისი ანალიზი, მწერლის წერილები საკუთარი შემოქმედებითი ლაბორატორიისა და ქართული სალიტერატურო ენის შესახებ.

1240. ნიკო ლორთქიფანიძე : 1870–1944 . – თბ., 2000 . – 216 გვ.

მე-9 კრებულში სერიიდან „ქართველი მწერლები სკოლაში“ წარმოდგენილია სასკოლო პროგრამაში შესული ნ. ლორთქიფანიძის თხზულებები კომენტარებითა და ანალიზით.

1241. პაოლო იაშვილი : საიუბილეო-საარქივო გამოცემა 2 წიგნად . – თბ., 2004.

წიგ. 1. პოეზია. პროზა. კრიტიკული წერილები. პირადი მიმოწერა . – 424 გვ.

წიგ. 2. თარგმანები. მოგონებები პაოლო იაშვილზე . – 480 გვ.

1242. პეტრიაშვილი თ. მთაწმინდაზე ერთი პატარა ბაღია ... – თბ., 2004 . – 73 გვ.

მოგონებები რეზო თაბუკაშვილზე. ახალი ცნობები გალაკტიონ ტაბიძის ცხოვრებიდან. მამადავითის ეკლესიისაკენ მიმავალ აღმართზე მდებარე პატარა ბაღი და მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრები მთაწმინდელები.

1243. სანდრო ცირეკიძე : გახსენება : 1894 – 1923 / რედ. და შემდგ. ი. ორჯონიკიძე . – თბ., 2004 . – 71 გვ.

„ცისფერყანწელთა“ ორდენის წევრის, სანდრო ცირეკიძის ნააზრვეი, მინიატურები, მეგობრებთან მიმოწერა; სერგო კლდიაშვილის, ვალერიან გაფრინდაშვილისა და შალვა აფხაიძის მისდამი მიძღვნილი ეტიუდები.

1244. სიმონ ჩიქოვანი : გახსენება : 1903 – 1966 / [რედ. და შემდგ. ი. ორჯონიკიძე] . – 2004 . – 93 გვ.

პოეტის რამდენიმე რჩეული ლექსი, მისივე ჩანაწერები. მეუღლის – მარიკა ჩიქოვანის დღიურის შემოკლებული ვარიანტი. არჩილ სულაკაურისა და თამაზ ჩხენკელის მოგონებები.

1245. შარაძე რ. ხარიტონ შავიშვილი – შვეიცარიელი ქართველი მწერალი და მოაზროვნე : ცხოვრება, მოღვაწეობა, შემოქმედება . – თბ., 2004 . – 184 გვ.

ემიგრანტის ცხოვრების გზა, მისი ქართულენოვანი ლიტერატურულ-პუბლიცისტური მემკვიდრეობა. ხელნაწერი თხზულებები ქართულ და ფრანგულ ენებზე. მწერლის არქივის ისტორია და აღწერილობა. ურთიერთობა გრიგოლ რობაქიძესთან.

1246. ჩხეიძე რ. ბედი პავლე ინგოროყვასი : ბიოგრაფიული რომანი . – თბ., 2003 . – 575 გვ.

წიგნი შექმნილია მემუარული ჩანაწერების, ეპისტოლეებისა და სხვადასხვა დოკუმენტური ცნობების საფუძველზე.

1247. წიკლაური ნ. გივი მარგველაშვილის რომან „მუცალის“ ქართული თარგმანები . – თბ., 2004 . – 36 გვ.

წარმოშობით ქართველი, გერმანელი მწერლის გივი მარგველაშვილის ნაწარმოების მთარგმნელები – ნაირა გელაშვილი და მათა ბადრიძე.

1248. ხოფერია ნ. ლიტერატურული საუბრები . – თბ., 2004 . – 188 გვ.

გალაკტიონ ტაბიძის, გრიგოლ აბაშიძის, ვოვა მანაიძის, კოლაუნადირაძის, აკაკი გაწერელიას ლიტერატურული პორტრეტები. ქართული მოდერნიზმის საკითხები და სხვ.

1249. არგანაშვილი გ. ნიდერლანდები და „ვანო და ნიკო“ : (ფლანდრიულ-ქართული კულტურის დღეები) // ომეგა . – 2003 . - № 5 (43) . – გვ. 52 – 53. რეზ. ინგლ. ენაზე.

თბილისის ისტორიის მუზეუმ-ქარვასლაში გამართული გამოფენა, რომელიც მწერლისა და კინოდრამატურგ ერლომ ახვლედიანის წიგნის – „ვანო და ნიკოს“ – ნიდერლანდურ ენაზე თარგმნასთან დაკავშირებით მოეწყო.

1250. არჩვაძე ნ. გურამ დოჩანაშვილის ენა და სტილი // კრიტიკური იუმი . – 2004 . - № 10 . – გვ. 45 – 48.

გურამ დოჩანაშვილის დამოკიდებულება ენისადმი, მისი სტილის თავისებურებანი: ნეოლოგიზმები, პარადოქსული თხრობის ხერხი, რიტმული ტექსტი, მკითხველთან უშუალო ურთიერთობის დამყარება, ფერების სიმბოლიკა.

1251. არჩვაძე ნ. გურამ დოჩანაშვილის ოთხი მოთხრობა // მნათობი . - 2002 . - № 1 - 2 . - გვ. 98 - 102.

განხილულია: „კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა“, „იგი სიყვარულისთვის იყო განენილი, ანუ გირიშა და მთავარი“, „ერთი რამის სიყვარული, დაფარვა რომ სჭირდება, ანუ მესამე ძმა კეჟერაძე“, „ცალ-ცალკე და ერთად“.

1252. არჩვაძე ნ. გურამ დოჩანაშვილის პროზის მხატვრული ენის შესახებ // მნათობი . - 2002 . - № 9 - 10 . - გვ. 114 - 117.

1253. ასათიანი მ. „პარაშუტზე ჩამოკიდებულ ადამიანს ვგავარ, ცისა და მიწის შუა გახირულს“ // საქართველოს ქალი . - 2002 . - № 1 - 2 . - გვ. 14 - 15.

ინტერვიუ პოეტ ლადო ასათიანის ქალიშვილთან - მანანა ასათიანთან; მოგონებები მამაზე / ესაუბრა ლ. კაკაბაძე.

1254. ასათიანი ნ. გალაკტიონი პოეზიის არსისა და დანიშნულების შესახებ : ლიტერატურული წერილების მიხედვით // მნათობი . - 2002 . - № 1 - 2 . - გვ. 90 - 97.

1255. ბაბუხაძია მ. ზოგი რამ პეტრე ბაგრატიონ-გრუზინსკის პოეტური ენის შესახებ / მ. ბაბუხაძია, ს. ბიჭიკაშვილი // ენის სახლი . - 2003 . - № 3 (7) . - გვ. 35 - 37. რეზ. ინგლ. და რუს. ენებზე.

პოეტი, მრავალი სიმღერის ტექსტის ავტორი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე.

1256. ბარამიძე რ. გულისტყვილით გემშვიდობებით // საქართველოს ლიტერატურათმცოდნეობის აკადემიის შრომები . - 2004 . - ტ. 3 . - გვ. 205 - 207.

ლიტერატურათმცოდნე დავით ბრეგაძის გარდაცვალების გამო.

1257. ბარამიძე რ. საყვარელი კაცის მარადი ხსოვნა // საქართველოს ლიტერატურათმცოდნეობის აკადემიის შრომები . - 2004 . - ტ. 3 . - გვ. 201 - 205.

ქართული მწერლობის მკვლევარი ლევან მენაბდე. შემოქმედება.

1258. ბარბაქაძე თ. ქართული ვერლიბრის პირველი მკვლევარნი // მნათობი . – 2001 . - № 3 – 4 . – გვ. 106 – 111.

შალვა აფხაიძის, გრიგოლ ცეცხლაძისა და სანდრო ცირეკიძის შეხედულებები ვერლიბრის რაობასა და თავისებურებაზე.

1259. ბართაია თ. თამარ ბართაია ყოველ საღამოს შემოდის ჩვენს ოჯახებში // საქართველოს ქალი . – 2001 . - № 7 – 8 – 9 . – გვ. 6 – 7.

საუბარი „ძილის წინ“ და „დიდების ზღაპრის“ ავტორ თ. ბართაიასთან მის შემოქმედებით ცხოვრებასა და მარჯვნიშ-ვილის თეატრში მისი პიესის „შეხვედრის ადგილის“ დადგმასთან დაკავშირებით / ესაუბრა მ. ნაკაიძე.

1260. ბახტაძე გ. ილია ფერაძის „ელენე“ // სტუდენტთა და ასალგაზრდა მეცნიერთა შრომები (ბათუმის უნ-ტი) . – 2002 . – ტ. 4 . – გვ. 12 – 17. რეზ. რუს. ენაზე.

პედაგოგის, საზოგადო მოღვაწის, პუბლიცისტისა და მწერლის – ი. ფერაძის (1861 – 1928) ისტორიული მოთხრობის „ელენეს“ განხილვა, რომელიც ეხება „მუჰაჯირობის“ თემას. გამოქვეყნდა განუთ „ივერიაში“ 1900 წელს.

1261. ბეღიანიძე დ. ვალერიან გაფრინდაშვილი და ფოლკლორი // კრიტიკიუმი . – 2004 . - № 10 . – გვ. 135 – 137.

ფოლკლორისა და მითოლოგიის გამოყენების ელემენტები ვალერიან გაფრინდაშვილის პოეზიაში.

1262. ბელიაშვილი მ. მამის გახსენება // მნათობი . – 2001 . - № 9 – 10 . – გვ. 123 – 128.

მწერალ აკაკი ბელიაშვილის პიროვნულ ღირსებებსა და ოჯახზე.

1263. ბენაშვილი გ. ვეებერთელა პრობლემის ჩრდილში : ჩვენი ჟურნალის კორესპონდენტი ესაუბრება ლიტერატურათმცოდნე გურამ ბენაშვილს // მნათობი . – 2001 . - № 7 – 8 . – გვ. 54 – 58.

გ. ბენაშვილი თავის შემოქმედებაზე, მიმდინარე პროცესების ასახვაზე ქართულ მხატვრულ ლიტერატურაში, ლიტერატურულ კრიტიკაზე, ლიტერატურულ ღირებულებათა გადაფასების პროცესებსა და სხვ.

1264. ბეჟანიშვილი-ღვინერია ლ. ყველას მოგეფერებით : [ლექსები] . – თბ. , 2004 . – 56 გვ.

რეც. : თაყნიაშვილი გ. ბიბლიოთეკარი ეფერება ბავშვებს // საქართველოს ბიბლიოთეკა . – 2004 . - № 2 . – გვ. 68 – 69.

1265. ბერაძე გ. მამის ძიების მოტივი გამსახურდიასა და რობაქიძის რომანებში // კრიტიკრიუმი . – 2004 . - № 11 – 12 . – გვ. 97 – 99.

გრიგოლ რობაქიძის „გველის პერანგისა“ და კონსტანტინე გამსახურდიას „დიონისეს ღიმილის“ შეპირისპირებითი დახასიათება.

1266. ბესელია ა. ვახტანგ კოტეტიშვილი: XIX საუკუნის ქართული მწერლობა და 1921 წელი // მნათობი . – 2002 . - № 5 – 6 . – გვ. 110 – 113.

ვ. კოტეტიშვილის ნაშრომები – „ქართული ლიტერატურის ისტორია“ (გამოიცა 1925 – 27 წწ.) და დღემდე გამოუქვეყნებელი ნარკვევი – „სიმახინჯე, როგორც სახე XIX საუკუნის ქართველისა დღევანდლამდის“ (დათარიღებულია 1914 წ.). განხილვა.

1267. ბიბიღეიშვილი ი. მერაბ აბაშიძის პოეტური სამყარო // ლიტერატურული აჭარა . – 2001 . - № 12 . – გვ. 50 – 58.

მ. აბაშიძის შემოქმედების ერთი ნაწილის – ლექსების, ლირიკული პოემებისა და პოეტური დრამის მიმოხილვა.

1268. ბოლქვაძე შ. ჯ. ქარჩხაძე „კაპიტან მანაგაძის ბოლო ექსპერიმენტი“ // სტუდენტთა და ახალგაზრდა მეცნიერთა შრომები (ბათუმის უნ-ტი) . – 2002 . - ტ. 4 . – გვ. 18 – 23.

ადამიანის გაუცხოების პრობლემა ჯემალ ქარჩხაძის მოთხრობაში.

1269. ბოჯგუა გ. რამდენი რამ დარჩა გასაკეთებელი // საუნჯე . – 2002 . - № 3 – 4 . – გვ. 170 – 185.

ლიტერატორის, მთარგმნელისა და კრიტიკოსის ფილიპე ბერიძის გახსენება: ცხოვრება და შემოქმედებითი მოღვაწეობა – დაბადების 70 წლისთავის გამო.

1270. ბუაჩიძე ა. ფიქრი ერთი კრებულის გამო // მნათობი . – 2002 . - № 3 – 4 . – გვ. 147 – 148.

გივი სულაკაურის ლექსების კრებულის „ქუჩის ბიჭების გასაგონად“ (თბ., 2001). განხილვა.

1271. გამსახურდია კ. გამოძახილი // მნათობი . – 2002 . - № 5 – 6 . – გვ. 157 – 158.

პასუხი კრიტიკოსების არაერთგვაროვან შეფასებაზე 1934 წელს გამოქვეყნებულ ნარკვევზე „უკრაინის თემიდა“. კონსტანტინე გამსახურდიას ეს წერილი პირველად დაიბეჭდა 1934 წლის „სალიტერატურო გაზეთში“ (№ 15, გვ. 4).

1272. განვლილი გზის გადასახედზე : (პროფესორი გივი მიქაძე – 80) // საქართველოს ბიბლიოთეკა . – 2004 . - № 3 . – გვ. 85 – 87.

ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი. ცხოვრება, წიგნმცოდნეობითი, ბიბლიოგრაფიული და პედაგოგიური მოღვაწეობა.

1273. გენძეხაძე ც. სამი ნიშანსვეტი : (გალაკტიონი, გ. ლეონიძე, ს. ჩიქოვანი) // კრიტიერიუმი . – 2004 . - № 11 – 12 . – გვ. 74 – 77.

გალაკტიონის, გ. ლეონიძისა და ს. ჩიქოვანის შემოქმედება – XX ს-ის ქართული პოეზიის განვითარების მნიშვნელოვანი რგოლი.

1274. გიორგაძე ნ. მხატვრული მატრიანე // თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები . – 2000 . – ტ. 2 (11) . – გვ. 92 – 97.

რევაზ მიშველადის „ასი ახალი ნოველის“ ანალიზი.

1275. გიორგაძე ნ. პოეტური წახნაგები // თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები . – 2000 . – ტ. 2 (11) . – გვ. 84 – 91.

პატრიოტული ნაკადი მიხეილ ქვლივიძის შემოქმედებაში.

1276. გიორგიშვილი მ. სახარების იგავი და ანა კალანდაძის „ყავ მტილი ჩემი“ // კრიტიერიუმი . – 2004 . - № 11 – 12 . – გვ. 67 – 69.

ქრისტეს იგავების თავისებური ინტერპრეტაცია ა. კალანდაძის ლექსებში. სამყაროსა და ზენაარსის ერთ მთლიანობად განცდის გახმოვანება ლექსში „ყავ მტილი ჩემი“.

1277. გომართელი ა. ვინც დინოზავრთა ნაკვალევს ეძებს // მნათობი . – 2001 . - № 11 – 12 . – გვ. 84 – 87.

ინტერვიუ ლიტერატურათმცოდნე ამირან გომართელთან 60-იანი წლების ქართულ მწერლობაზე, 70-იან წლებში „ცისკრის“

ფურცლებზე გამართული ლიტერატორებისა და ენათმეცნიერების კამათზე ენის პრობლემების შესახებ, მაშინდელ და ახლანდელ პოეზიას შორის თვისობრივ სხვაობაზე და სხვ.

1278. გომართელი ა. ქართული სიმბოლისტური პროზა . – თბ. , 1997. 200 გვ.

რეც. : ბენაშვილი გ. // საქართველოს ლიტერატურათმცოდნეობის აკადემიის შრომები . – 2004 . – ტ. 3 . – გვ. 19 – 32.

1279. გომელაური-თურქია ე. დაუვიწყარი შეხვედრები არსენი ტარკოვსკისთან // საქართველოს ქალი . – 2001 . - № 1 – 2 . – გვ. 6 – 7.

რუსი პოეტის ურთიერთობა ქართველ პოეტებთან, პიონერთა სასახლის ლიტერატურული კაბინეტის დამაარსებელ ქეთევან ანანიაშვილის ოჯახთან / მხატვარ რენო თურქიას მეუღლის მოგონება.

1280. გულიაშვილი ი. გიორგი ჭანტურიას რომანი „მოსე“ : კრიტიკული ესკიზი // მნათობი . – 2001 . - № 9 – 10 . – გვ. 87 – 90.

1281. დავითაია ბ. „ისევ ზღვისფერი დამაქვს თვალები“ // საქართველოს ბიბლიოთეკა . – 2004 . - № 3 . – გვ. 88 – 89.

კონსტანტინე გამსახურდიას ლექსის – „ზღვისფერი გაქვს თვალები“... – საპასუხოდ 20-25 წლის წინ დაწერილი სტროფები. ლექსი დაუწერია თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტს ნატო ლეჩუაშვილს.

1282. დაფერფლილი ლეგენდა : (სიმონ ჩიქოვანის წინასწარჭკვრეტა) // ომეგა . – 2002 . - № 12 (38) . – გვ. 20 – 21. რეზ. ინგლ. ენაზე.

პოეტის ლექსების მუზა – მეუღლე მარიკა ელიავა და ლეგენდად ქცეული მათი სიყვარული.

1283. დოიაშვილი თ. „არტისტული ყვავილების“ პროლოგი // ომეგა . – 2003 . - № 11 (49) . – გვ. 98 – 105. რეზ. ინგლ. ენაზე.

გალაკტიონის წიგნის „არტისტული ყვავილების“ ანალიზი. პარადოქსები შარლ ბოდლერის „ბორტების ყვავილებთან“ და თეოფილ გოტიეს „მინანქრებთან და კამეებთან“.

1284. დოიაშვილი თ. გალაკტიონის პოეტური რეფორმა : (პროსპექტი) // საქართველოს ლიტერატურათმცოდნეობის აკადემიის შრომები . - 2004 . - ტ. 3 . - გვ. 47 - 70.

გალაკტიონ ტაბიძის ორგზის განხორციელებული ქართული ლექსის რეფორმა და ეროვნული პოეტური აზროვნების ახალი გეზი.

1285. დოლიძე ქ. ქალი, რომელსაც მწერალმა „მძიმე ჯვარი“ უძღვნა // საქართველოს ქალი . - 2001 . - № 12 . - გვ. 6 - 8.

რევაზ ჯაფარიძის გახსენება: საუბარი მწერლის მეუღლესთან ქეთევან დოლიძესთან // ესაუბრა ნ. მგელაძე.

1286. ერთი კოვზი კუპრი // ომეგა . - 2002 . - № 6 (32) . - გვ. 119 - 120.

რუსი პოეტის ოსიპ მანდელშტამის 1922 წელს გამოქვეყნებული წერილი - „ზოგი რამ ქართულ ხელოვნებაზე“. ტიცინ ტაბიძის გაღიზიანება მანდელშტამის მიერ გამოსატული აგდებული დამოკიდებულებით „ცისფერყანწელთა“ პოეზიისადმი. იმხანად თბილისში მყოფი ილია ერენბურგის მემუარებში მოთხრობილი ამბავი მანდელშტამთან შეხვედრასა და მათთვის ტ. ტაბიძისა და პ. იაშვილის მიერ გაწეულ მასპინძლობაზე.

1287. ესაძე რ. ლექსები . - თბ. , 2001 . - 80 გვ.

რეც. : ტაბუცაძე ს. ამბად ქცეული ვარაში // ომეგა . - 2003 . - № 4 (42) . - გვ. 97 - 99. რეზ. ინგლ. ენაზე.

1288. ვასილ წერეთელი : ლიტერატურული წერილები, მემუარები / კრებული შეადგინა დ. თევზაძემ . - თბ. , 1998 . - 240 გვ.

რეც. : ბუაჩიძე ა. მნიშვნელოვანი მოაზროვნე // მნათობი . - 2001 . - № 3 - 4 . - გვ. 134 - 135.

1289. ვაშაყმაძე შ. მოგონებათა „სკივრიდან“ // კრიტიკიუმი . - 2004 . - № 10 . - გვ. 144 - 146.

XX ს-ის დიდი მეცნიერის კორნელი კეკელიძის გახსენება.

1290. ზარიძე მ. „თუკი მთლიანად ამოთქვამს ლექსი“ // საქართველოს ქალი . - 2002 . - № 1 - 2 . - გვ. 14 - 15.

პოეტ მერი ბარნაბიშვილის გახსენება.

1291. ზარიძე მ. „ის მეტისმეტად ქალი იყო და... შეეხება სიყვარულში...“ // საქართველოს ქალი . – 2001 . - № 10 – 11 . – გვ. 6 – 7.

ოთხმოცდაათიანელთა თაობის ერთ-ერთი გამორჩეული პოეტის ელა გოჩიაშვილის შემოქმედებითი პორტრეტი.

1292. ზარიძე მ. „ცრემლი რა მწარეც არ იყოს, სულ უცრემლობას სჯობია“... // საქართველოს ქალი . – 2001 . - № 12 . – გვ. 10 – 11.

პოეტი ქალის მანანა ჩიტიშვილის ცხოვრება.

1293. ზოიძე შ. მუდმივი ერთგულება // მნათობი . – 2001 . - № 3 – 4 . – გვ. 97 – 102.

ზაალ ებანოიძის პოეზიის მიმოხილვა.

1294. ზოიძე შ. პოეტი-მეფე // მნათობი . – 2001 . - № 11 – 12 . – გვ. 81 – 83.

ალ. ბლოკის შემოქმედებითი გზა. პოეტის გარდაცვალების მეოთხე წლისთავზე დაწერილი გალაკტიონის ლექსი.

1295. თაყნიაშვილი გ. საბავშვო მწერალი და კრიტიკოსი : (ანა ღვინიაშვილის დაბადებიდან 100 წლისთავის გამო) // საქართველოს ბიბლიოთეკა . – 2004 . - № 4 . – გვ. 66 – 68.

ცხოვრება და შემოქმედება.

1296. თეთრუაშვილი ლ. ღირებულებათა გადაფასება მიხეილ ჯავახიშვილთან, ანუ კვაჭი ჩვენი თანამედროვეა : (კვაჭი კვაჭანტირაძე და თომას მანის „ყალთაბანდ ფელიქს კრულის აღსარებანი“) // საუნჯე . – 2002 . – № 3 – 4 . – გვ. 166 – 169.

ლიტერატურული პარალელები.

1297. თიბილაშვილი ლ. არაგვისპირელის ფოლკლორიზმი // კრიტიკრიუმი . – 2004 . - № 11 – 12 . – გვ. 78 – 82.

ფოლკლორული საწყისი შიო არაგვისპირელის „გაბზარულ გულში“, რომელიც XX საუკუნის პირველი მეოთხედის ქართულ პროზაში მითოლოგიზაციის პროცესის ერთ-ერთი საგულისხმო გამოვლინებაა.

1298. თურნავა რ. მიხეილ ჯავახიშვილი და ფრანგული სამყარო // კრიტიკიუმი . – 2004 . - № 11 – 12 . – გვ. 83 – 87.

მ. ჯავახიშვილისა და გი დე მოპასანის შემოქმედების მოკლე მიმოხილვა. ორივე ავტორისთვის დამახასიათებელი საერთო ნიშნები: რეალიზმის ერთგულება, პესიმისტური მსოფლგანცდა.

1299. იმედაშვილი კ. უჩვეულო კოლექცია // ომეგა . – 2003 . - № 5 (43) . – გვ. 39 – 43. რეზ. ინგლ. ენაზე.

იოსებ იმედაშვილის არქივში დაცულ ხელნაწერ წიგნში შესული მისი სახლის სტუმრების – კონსტანტინე გამსახურდიას, ალექსანდრე აბაშელის, ელისაბედ ირაკლის ასული ორბელიანის, აკაკი შანიძის, კალისტრატე ცინცაძის, ექვთიმე თაყაიშვილისა და სხვათა ხელით ჩაწერილი ტექსტები.

1300. იმედაშვილი ლ. ქართული ბესოსეღერი . – თბ. , 1999 . – 336 გვ.

რეც. : ღონდაძე თ. მეგობრობა სიზმრების დროსთან : ლაშა იმედაშვილის მოთხრობები // ომეგა . – 2002 . - № 3 (29) . – გვ. 114 – 119.

1301. იმნაიშვილი ა. შენ საქართველოს დედოფლობა დაგშენდებოდა? // კრიტიკიუმი . – 2004 . - № 11 – 12 . – გვ. 70 – 73.

ქალთა ტიპები თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში (ირაკლი ჯავახიძე – „ადამიანი ZERO“, „ნოკდაუნი“, „ალერგია“, „კახპა“, „შავი სიის კავალრები“; ლაშა ბუღაძე – „ადამი და...“; აკა მორჩილაძე – „ავისტოს პასეანსი“, „მოგზაურობა ყარაბაღში“, „შობაღამის აღქაჯები“; სოფიო კირვალიძე – „სიყვარულით ყველაზე საყვარელს“).

1302. კავთიაშვილი ვ. ჰაინეს რეცეფციები გალაკტიონის ლექსებში // კრიტიკიუმი . – 2004 . - № 11 – 12 . – გვ. 88 – 93.

ჰაინეს ლექსებით მიღებული შთაბეჭდილებების კვალი გალაკტიონის ყველაზე ადრეულ ლექსებში („რაა ეს გრძობა?“, „ჩამავალი მზე“, „მოვა, მაგრამ როდის?“).

1303. კაკაბაძე დ. თბილი შემოდგომის სამი დღე : (ჰაინერ ჰესეს გარდაცვალების გამო) // ომეგა . – 2003 . - № 12 (50) . – გვ. 32 – 36.

შვეიცარიაში მცხოვრები გერმანელი მწერლის ჰერმან ჰესეს ვაჟის საქართველოში სტუმრობასთან დაკავშირებული მოგონე-

ბა. მამამისის შემოქმედების ქართველ მკვლევარ რეზო (ბუბა) ყარალაშვილთან შეხვედრა. შთაბეჭდილებები.

1304. კენჭოშვილი ს. d'anuncio ქართულ მწერლობაში // კრიტიკურიუმი . - 2004 . - № 11 - 12 . - გვ. 120 - 122.

იტალიელი მწერლის გაბრიელე დ'ანუნციოსადმი ქართველი მწერლებისა (გრ. რობაქიძე, კ. გამსახურდია) და თეატრის ინტერესი.

1305. კვანტალიანი ს. „დიონისოს ღიმილი“ და „გველის პერანგო“ : მამისა და ძის ურთიერთობის ორი მოდელი // კრიტიკურიუმი . - 2004 . - № 10 . - გვ. 61 - 70.

უძღვები შვილის იგავის სქემა „დიონისოს ღიმილსა“ და „გველის პერანგში“. კ. გამსახურდიასა და გრ. რობაქიძის ნაწარმოებების შეპირისპირებითი დახასიათება.

1306. კვაჭანტირაძე მ. კულტურის სივრცე და პოეტური სიტყვა // კრიტიკურიუმი . - 2004 . - № 10 . - გვ. 49 - 58.

ბესიკ ხარანაულის ლექსის – „რა, ბესიკია ქვეყანაზე მარტო – ბოროტი?“ განხილვა. ავტორის პოეტური გამოცდილება და დამოკიდებულება დროსთან.

1307. კოჭლოშვილი ნ. სამშობლოს მზეზე შეყვარებული შიო არაგვისპირელი // თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები . - 2001 . - ტ. 3 (12) . - გვ. 70 - 74. რეზ. რუს. ენაზე.

პატრიოტულ თემაზე შექმნილ ნოველაში – „ჩემი სამშობლოს მზე“ – გაცხადებული მწერლის სიხარული 1918 წელს ქართველთა ცხოვრებაში მომხდარ ისტორიულ მოვლენაზე.

1308. კოჭლოშვილი ნ. შიო არაგვისპირელი და ხალხური სიტყვიერება // თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები . - 2001 . - ტ. 3 (11) . - გვ. 64 - 69. რეზ. რუს. ენაზე.

ლიტერატურული ზღაპრის ნიმუშები, გალიტერატურულ ქართული ხალხური თქმულებები და ზღაპრები, ქართული შელოცვის ნიმუშები ყვარლის ი. ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმში დაცულ შიო არაგვისპირელის უცნობ ავტოგრაფებში.

1309. ლომოური ი. ექსლიბრისი : [მოთხრობა] . - თბ. - 2003 . - 380 გვ.

რეც. : მილორავა ი. „ექსლიბრისი“ – საჩუქარი // ომეგა . - 2003 . - № 11 (49) . - გვ. 128 – 129. რეზ. ინგლ. ენაზე.

1310. ლომოური ი. მასველ მშვიდობითა // ომეგა . - 2002 . - № 2 (28) . - გვ. 35.

ინფორმაციული ხასიათის მასალა თბილისში თავისი წიგნის „მუცალის“ ქართული თარგმანის (მთარგმნელი მაია ბადრიძე) პრეზენტაციაზე ჩამოსული გერმანულენოვანი მწერლის, ენათმეცნიერისა და ფილოსოფოსის – გივი მარგველაშვილის შესახებ.

1311. ლონდარიძე ე. გალაკტიონი ქართულ მუსიკაში // მნათობი . - 2002 . - № 7 – 8 . - გვ. 148 – 154.

გალაკტიონის ლექსებზე შექმნილი ქართველ კომპოზიტორთა ნაწარმოებები.

1312. მაისურაძე მ. მიხეილ ქვლივიძის პოეზიის მხატვრული თავისებურებები // კრიტიკიუმი . - 2004 . - № 10 . - გვ. 59 – 60.

მიხეილ ქვლივიძის შემოქმედების პირობითად ორ პერიოდად დაყოფა: ადრეული ეტაპი გამოირჩევა ფერწერულობით, მხატვრის თვალთ დანახული სამყაროთი; 1960-იანი წლებიდან პოეტის შემოქმედებაში მკვიდრდება ირონიულ-პაროდიული სტილი.

1313. მამარდაშვილი ნ. უიარაღოს რომანი „მაძიებელნი“ // მნათობი . - 2001 . - № 11 – 12 . - გვ. 99 – 105.

მწერალ კონდრატე თათარაშვილის (1872 – 1929) რომანის იდეურ-მხატვრული ანალიზი.

1314. მახარაძე ლ. არ მინდა გეჩხუბო, მინდა მიყვარდე... / ლ. მახარაძე, ხ. ჩხეიძე // საქართველოს ქალი . - 2002 . - № 1 – 2 . - გვ. 8 – 10.

ინტერვიუ კრიტიკოს ნოდარ ჩხეიძის მეუღლე ლია მახარაძესა და მის ქალიშვილ ხათუნა ჩხეიძესთან კრიტიკოსის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე / ჩაიწერა ნ. ბუკიამ.

1315. მგელაძე ნ. სინანული დაუწერელი წიგნების გამო // საქართველოს ქალი . - 2002 . - № 9 – 10 . - გვ. 2 – 4.

ლიტერატორ ნოდარ ჩხეიძის გახსენება.

1316. მგელაძე ნ. ღმერთის რჩეული // საქართველოს ქალი . - 2001 . - № 12 . - გვ. 3.

მწერალი ჭაბუა ამირეჯიბი – დაბადებიდან 80 წლისთავის გამო.

1317. მინდიაშვილი ა. ტანჯვით – რწმენისაკენ! // მნათობი . - 2001 . - № 5 – 6 . - გვ. 95 – 101.

ქეთი ნიჟარაძის მოთხრობის – „ავტოპორტრეტი“ – მიმოხილვა.

1318. მორჩილაძე ა. გადაფრენა მადათოვზე და უკან . – თბ. , 1998 . – 192 გვ.

რეც. : ბუაჩიძე ა. მრავალფეროვანი წიგნი // მნათობი . - 2001 . - № 5 – 6 . - გვ. 154 – 155.

1319. მუავია ქ. გახსენება // ლიტერატურული აჭარა . - 2001 . - № 12 . - გვ. 95 – 99.

მწერალ შოთა როყვას მოგონება.

1320. მრეღაშვილი ლ. როგორ ჰყრიდა მთავრობა ფუღს უნიჭო შემოქმედებაში // საქართველოს ქალი . - 2001 . - № 7 – 8 – 9 . - გვ. 15.

მწერლის მოგონება 1950-იანი წლების ლიტერატურულ კონკურსზე, რომელიც საყმაწვილო ლიტერატურის განვითარებას ისახავდა მიზნად და მის შესვენებზე პოეტ მარიჯანთან.

1321. მჭედლური დ. სამი ძმისა და სამი წიგნის შესახებ // ომეგა . - 2003 . - № 8 (46) . - გვ. 124 – 125. რეზ. ინგლ. ენაზე.

მწერლების – გენო, რენე და ზაურ კალანდიების ერთობლიულების ანალიზი.

1322. ნემსაძე ლ. „სალაღობოს“ ერთი ტაეპის გამო // ენის სახელი . - 2002 . - № 2 . - გვ. 23 – 25.

გრაალის თემა ლადო ასათიანის ლექსში „სალაღობო“. სულიერი თანხვედრა გრიგოლ რობაქიძის მიერ გააზრებულ გრაალთან რომანში „გრაალის მცველი“.

1323. ნიკოლეიშვილი ა. ლევან გოთუას „გმირთა ვარამი“ // მნათობი . - 2001 . - № 3 – 4 . - გვ. 89 – 96.

რომანის შექმნასთან დაკავშირებული მოვლენები მწერლის მიერ საკონცენტრაციო ბანაკიდან გამოგზავნილი წერილების მიხედვით.

1324. ოდიშარია გ. შავი ზღვის ოკეანე . – თბ. , 2000 . – 440 გვ.

რეც. : კუპრეიშვილი ნ. მოგზაურობა „სოსუმ-თბილისში“ // ომეგა . – 2003 . - № 6 (44) . – გვ. 108 – 111. რეზ. ინგლ. ენაზე.

1325. ოდიშარია გ. შავი ზღვის ოკეანე . – თბ. , 2000 . – 440 გვ.

რეც. : ჯოხაძე მ. დელვა ქარიშხალში გადაიზრდება // მნათობი . – 2001 . - № 9 – 10 . – გვ. 153 – 154.

1326. რევიშვილი მ. პოეტის მონატრება : (გიორგი ძიგვაშვილი) // ომეგა . – 2002 . - № 7 (33) . – გვ. 84 – 86. დართული აქვს ფოტო და ლექსის ავტოგრაფი. რეზ. ინგლ. ენაზე.

რეპრესირებული პოეტი. შემოქმედება.

1327. რჩეულიშვილი ნ. ბუნების ხიბლი ოთარ ჭილაძის რომანში „ყოველმან ჩემმან მოვინელმან“ // თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები . – 2000 . – ტ. 2 (11) . – გვ. 43 – 46.

1328. რჩეულიშვილი ნ. „დროში განფენილი უსაზღვროება“ : (დედის ფენომენი ოთარ ჭილაძის რომანებში) // თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები . – 2001 . – ტ. 3 (11) . – გვ. 61 – 63. რეზ. ინგლ. ენაზე.

1329. სარჯველაძე ზ. გალაკტიონის ერთი ლექსის ზოგი ადგილის გაგებისათვის // ენათმეცნიერების საკითხები . – 2002 . - № 4 (16) . – გვ. 175 – 180. რეზ. ინგლ. ენაზე.

„ღამიკარგავი“ და „მიჰკარგ-მოჰკარგა“ ფორმები გალაკტიონ ტაბიძის ლექსში – „ქებათა ქება ნიკორწმინდას“.

1330. სარჯველაძე-ხუჭუა თ. ცხოვრებით ნირშეცვლილი ადამიანები რომანში „თვალი პატიოსანი“ // ლიტერატურული აჭარა . – 2001 . - № 11 . – გვ. 47 – 49.

გურამ ფანჯიკიძის რომანის მოქალაქეობრივი პათოსი.

1331. სვანიძე ნ. თეთრი ფერის სიმბოლო ტიცვიან ტაბიძის პოეზიაში // კრიტიკიუმი . – 2004 . – ტ. 11 – 12 . – გვ. 94 – 96.

ტიციანისეული თეთრი ფერის განსაზღვრა მისტიციზმის ფერად, რომელიც გარემომცველი მატერიალური ქაოსიდან გამოთავისუფლებას ახდენს სუბლიმირების გზით.

1332. სირაძე რ. გალაკტიონის „ღურჯა ცხენები“ და ვასილ კანდინსკის „ღურჯი მხედარი“ : (ინტელექტუალური წაკითხვისათვის) // ომეგა . - 2002 . - № 2 (28) . - გვ. 78 – 83. რეზ. ინგლ. ენაზე.

გალაკტიონის ლექსის მიმართება ვ. კანდინსკის ამავე თემასთან დაკავშირებულ მხატვრობასთან. ინტერტექსტუალური ანალიზის შედეგად ავტორი მიიჩნევს, რომ აბსტრაქტულმა ექსპრესიონიზმმა დიდი გავლენა იქონია პოეტის ლირიკაზე.

1333. სპარსიაშვილი ა. გალაკტიონის „ოსანნა“ // თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები . - 2001 . - ტ. 3 (12) . - გვ. 25 – 28. რეზ. გერმ. ენაზე.

ღვთისადმი შეღალადების სემანტიკით დატვირთული ლექსება „ოსანნა“ გალაკტიონის პოეზიაში.

1334. სტურუა ლ. შუქს ნუ ჩამიქრობთ . - თბ. , 1994 . - 128 გვ. რეც. : მიხელიძე ე. „შუქს ნუ ჩამიქრობთ“ // მნათობი . - 2001 . - № 7 – 8 . - გვ. 130.

1335. სუმბაძე მ. ხე, როგორც სიმბოლო ბიბლიაში და ვალერიან გაფრინდაშვილის შემოქმედებაში // თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები . - 2001 . - ტ. 3 (12) . - გვ. 52 – 60. რეზ. ინგლ. ენაზე.

1336. სუმბაძე მ. ბიბლიური მოტივები ტ. ტაბიძის მინიატურაში „შურისძიება“ // თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები . - 2001 . - ტ. 3 (12) . - გვ. 50 – 51. რეზ. ინგლ. ენაზე.

ტიციანის მიერ გამოყენებული დოკუმენტური მასალა ბიბლიური წიგნიდან „ივდიითი“.

1337. სუმბაძე მ. ღმერთთან მიახლოების სურვილი ვალერიან გაფრინდაშვილის ლექსში „ლოცვა“ // თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები . - 2001 . - ტ. 3 (12) . - გვ. 59 – 60. რეზ. ინგლ. ენაზე.

1338. ფაჩულია თ. გურამ ასათიანი XX საუკუნის ქართველი პოეტების შესახებ // მნათობი . - 2001 . - № 5 - 6 . - გვ. 102 - 110.

გალაკტიონის, პაოლო იაშვილის, ტიცვიან ტაბიძის, გიორგი ლეონიძის, სიმონ ჩიქოვანის, ლადო ასათიანის პოეზია.

1339. ფაჩულია თ. თანამდევნი სული // მნათობი . - 2002 . - № 9 - 10 . - გვ. 124 - 126.

გურამ ასათიანი, როგორც კრიტიკოსი და სიტყვის ოსტატი. მის მიერ შექმნილი ნიკო ლორთქიფანიძის პორტრეტის ანალიზი.

1340. ქადაგიძე ი. მიხეილ ჯავახიშვილის „გივი შადური“ // მნათობი . - 2002 . - № 5 - 6 . - გვ. 114 - 118.

პიროვნებისა და საზოგადოების ურთიერთმიმართების პრობლემა ნაწარმოების მიხედვით.

1341. ქუთათელაძე ნ. „და არა მხოლოდ მასხარათათვის“... // საქართველოს ქალი . - 2002 . - № 5 - 6 . - გვ. 8 - 9.

ინტერვიუ პოეტთან, ტელევიზიის პირველი არხის ლიტერატურულ ჟურნალ „სიტყვაკაზმულის“ ხელმძღვანელთან თავის შემოქმედებაზე / ჩაიწერა მ. ზარიძემ.

1342. ყურაშვილი თ. „დიდოსტატის მარჯვენის“ სიმბოლოთაგან... : არსაკიძის სიზმარი // ლიტერატურული აჭარა . - 2001 . - № 11 . - გვ. 54 - 57.

არსაკიძის სიზმარ-ზმანებასთან დაკავშირებული ადგილები კ. გამსახურდიას რომანში.

1343. შათირიშვილი ზ. „აპენდიქსის“ კულტურული ლოგიკა // ენის სახლი . - 2002 . - № 1 . - გვ. 14 - 20.

კავკასიური დისკურსის მეტაფორული სახეები: „დანართი“ და „აპენდიქსი“, „სამოთხე“ და „თვალწარმტაცი მხარე“. პოსტ-მოდერნისტული ქართული პროზის ძირითადი ტენდენციები. არქაული ფორმები თანამედროვე ქართულ თარგმანებში და მათი ზეგავლენა ლიტერატურულ პროცესებზე. აკა მორჩილაძის „მადათოვი“, „კალმასობა“; ზურაბ ქარუმიძის „ღვინომუქი ზღვა“.

1344. შათირიშვილი ზ. გალაკტიონი - ედგარ პო - თეოფილ გოტიე // ენის სახლი . - 2002 . - № 3 - 4 . - გვ. 20 - 23.

ედგარ პოსა და თეოფილ გოტიეს თემა გალაკტიონის შემოქმედებაში.

1345. შათირიშვილი ზ. ძველი სასახლის მოტივი გალაკტიონ ტაბიძის 1927 წლის კრებულში // ენის სახლი . - 2002 . - № 2 . - გვ. 25, 27.

სასახლე-ბადის პარადიგმული კვალი გალაკტიონის „არტის-ტულ ყვავილებში“.

1346. შამილიშვილი ი. ... შეიძლება მარტომ ვიომო // სტუდენტთა და ახალგაზრდა მეცნიერთა შრომები (ბათუმის უნ-ტი) . - 2002 . - ტ. 4 . - გვ. 3 - 7.

ეროვნული თვითმყოფადობა და სამშობლოს მთლიანობის პრობლემა რევაზ მიშველაძის ნოველების - „მე... ერთმა კაცმა“, „სიზმარა“ - ანალიზის მიხედვით.

1347. შენობა : ღმერთსმოკლებული სინამდვილე // ომეგა . - 2003 . - № 3 (41) . - გვ. 114 - 115. რეზ. ინგლ. ენაზე.

მწერალ ჯანრი კაშიას რომანის - „შენობა“ - განხილვა.

1348. ჩხიკვიშვილი ნ. ვიდრე გემი ზღვაში შეცურდებოდეს... („ომეგას“ კლუბის გახსნა) // ომეგა . - 2003 . - № 9 (47) . - გვ. 8 - 13. რეზ. ინგლ. ენაზე.

თანამედროვე ტიპის მწერალთა გაერთიანება. კლუბის დამფუძნებელი, ბიზნესმენი ზაზა ოქუაშვილი.

1349. ჩხიკვიშვილი ნ. წერაქვში... // ომეგა . - 2002 . - № 8 (34) . - გვ. 22 - 29.

მწერალ ნოდარ წულეისკირის მოღვაწეობა სოფ. წერაქვის საშუალო სკოლაში.

1350. ცქიტიშვილი გ. „... წრე გაწყდა... მარტონი დაჭიო...“ // მნათობი . - 2002 . - № 3 - 4 . - გვ. 101 - 107.

დრამატურგ ირაკლი სამსონაძის სამი პიესის - „ადღებობა გაუქმებულ სასაფლაოზე“ (1990 წ.), „იქ, სადაც ღვარად მოედინება...“ (1995 წ.), „ტელეშოუ მიწისძვრის სინდრომით დაავადებულ-თათვის“ (1996 წ.) - მიმოხილვა.

1351. ცხადაია ზ. ნიკო სამადაშვილის „გაუთენებელი გზა“ // კრიტიკერიუმი . – 2004 . - № 11 – 12 . – გვ. 100 – 101.

ქვეყნიერების უარყოფიდან დაძრული ფიქრების მედიტაციური ნაკადი და წარმავლობის განცდა ნ. სამადაშვილის ლირიკაში.

1352. წაქაძე რ. ადამიანებო, იყავით ადამიანები // საქართველოს ბიბლიოთეკა . – 2004 . - № 2 . – გვ. 66 – 68.

მწერალ იოსებ იარღანაშვილის შემოქმედება.

1353. წივწივაძე თ. ჯერ ოჯახს მოვეკიდები და მერე – ხარ-ურემს... // საქართველოს ქალი . – 2002 . - № 3 – 4 . – გვ. 3 – 4.

მწერლისა და კრიტიკოსის – თამაზ წივწივაძის დაბადებიდან 60 წლისთავის გამო – ინტერვიუ შემოქმედებით საკითხებზე/ესაუბრა მ. ზარიძე.

1354. წითაიშვილი ი. ტერენტი გრანელი : „მე ვგავარ უთუოდ ქრისტეს“ // კრიტიკერიუმი . – 2004 . - № 10 . – გვ. 71 – 73.

ქრისტიანული მსოფლმხედველობა ტერენტი გრანელის პოეზიაში.

1355. ჭიკაძე რ. ძველქართული ლექსიკა გიორგი ლეონიძის ისტორიულ ნაწარმოებებში // თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები . – 2000 . – ტ. 2 (11) . – გვ. 3 – 22.

პოემა „ამბავი თბილისისა“.

1356. ჭილაძე თ. არჩილ სულაკაურის გახსენება // მნათობი . – 2002 . - № 1 – 2 . – გვ. 148 – 149.

მწერლის დაბადების 75 წლისთავთან დაკავშირებით.

1357. ხელაია ნ. „აველუმი“ – ანუ ქართველთა მარადიული გოდების ექო // მნათობი . – 2001 . - № 5 – 6 . – გვ. 81 – 94.

ოთარ ჭილაძის რომანის განხილვა.

1358. ხინთიბიძე ა. „რიტმა ლამაზი ოქროს ფასია...“ // მნათობი . – 2002 . - № 11 – 12 . – გვ. 89 – 97.

ღაღღ ასათიანის პოეზიის რითმული კომპოზიციები.

1359. ხინთიბიძე ა. სიტყვათა სილაბური წონასწორობიდან სიყვარულის ჰარმონიამდე // მნათობი . – 2001 . - № 5 – 6 . – გვ. 123 – 126.

გალაკტიონ ტაბიძის უსათაურო ლექსის – „მივალ, გადაკოცნი“ – ანალიზი.

1360. ხინთიბიძე ტ. „ვეელას რაიმე აქვს სახსოვარი...“ . – ბათუმი, 1997 . – 139 გვ.

რეც. : ბარამიძე შ. შთამბეჭდავი წიგნი // ლიტერატურული აჭარა . – 2001 . - № 12 . – გვ. 92 – 94.

1361. ხუთი საუკეთესო ნოველა. „ბოზბაშისტა“ თანავარსკვლავედი : ნუგზარ შატაიძიდან ვოვა კიკილაშვილამდე // ომეგა . – 2003 . - № 12 (50) . – გვ. 62 – 63. რეზ. ინგლ. ენაზე.

ქურნალ „ომეგასა“ და გაზეთ „ჩვენს მწერლობის“ თაოსნობით შემდგარი ღუარსაბ თათქარიძის სახელობის ლიტერატურული კონკურსის შედეგები. კონკურსში გამარჯვებულები: ნუგზარ შატაიძე, თამარ ფხაკაძე, ირაკლი სამსონაძე, ვანო ჩხიკვაძე და კავკასიოლოგი ვოვა კიკილაშვილი.

1362. ჯავახაძე ვ. 2002 სტრიქონი . – თბ. , 2002 . – 96 გვ.

რეც. : მჭედღური დ. დაკარგული წერტილის ძებნა : (ვარიაციები ვახტანგ ჯავახაძის წიგნზე „2002 სტრიქონი“) // ომეგა . – 2003 . - № 10 (48) . – გვ. 122 – 124. რეზ. ინგლ. ენაზე.

1363. Гудушаури Н. К истории германско-грузинских литературных отношений // თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები . – 2001 . – ტ. 3 (12) . – გვ. 79 – 83. რეზ. ქართ. ენაზე.

Публикация письма немецкого писателя и переводчика Отто Глогау-Никольсбурга к писательнице Дарье Ведребисели.

1364. Гудушаури Н. Литературные связи Д. Ведребисели с Германией // თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები . – 2000 . – ტ. 2 (11) . – გვ. 102 – 104.

О творчестве писательницы Дарьи Ведребисели (1874 – 1925), публикующая свои произведения на русском языке.

1365. Назаров А. Тема родины в повести Л. Леонова “Evgenia Ivanovna” // თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები . – 2000 . – ტ. 2 (11) . – გვ. 98 – 101.

О поездках русского писателя Леонида Леонова в Грузию в 1928 и 1934 годах, когда у него возник замысел повести “Evgenia Ivanovna”, проблематика которой раскрывается на фоне Кахетии.

## ფოლკლორი

1366. ქურდოვანიძე თ. ფოლკლორი და ქართული მწერლობა . – თბ., 2004 . – 245 გვ.

ზეპირსიტყვიერების როლი და მნიშვნელობა ქართული ლიტერატურის ძველი, ახალი და უახლესი პერიოდის (შოთა რუსთაველი, დავით გურამიშვილი, ვაჟა-ფშაველა, თედო რაზიკაშვილი, შალვა დადიანი, გიორგი ლეონიძე) წარმომადგენელთა ნააზრევში.

1367. შიოშვილი თ. ქართული ფოლკლორის ზნეობრივი სამყარო წ. 2 . – ბათუმი, 2004 . – 366 გვ.

პატრიოტიზმის, სტუმარმასპინძლობის, ქართული სასულიერო პოეზიის ზნეობრივი მრწამსი ქართულ ფოლკლორში და თამარ მეფის ციკლი საისტორიო ზეპირსიტყვიერებაში.

1368. ჩოლოყაშვილი რ. უძველეს რწმენა-წარმოდგენათა კვალი ხალხურ ზღაპრულ ეპოსში . – თბ., 2004 . – 198 გვ.

უძველესი რწმენის კვალი ცხოველთა ეპოსში, ჯადოსნურ და ნოველისტურ ზღაპრებში. ზღაპრული ეპოსის მთავარი გმირის წარმომავლობა.

1369. ჯაგოდნიშვილი თ. ქართული ფოლკლორისტიკის ისტორია : წ. 1 (XIX საუკუნე) . – თბ., 2004 . – 808 გვ.

ფოლკლორისტული მეცნიერული აზრის ჩასახვა-განვითარების ისტორია; XIX საუკუნეში წარმოებულ კვლევა-ძიების ძირი-

თადი ტენდენციები, ცოცხალ ტრადიციულ ყოფაში ზეპირსიტყვიერი ტექსტების გამოვლენის, ჩაწერისა და ბეჭდვის ფაქტები. ქართველ ისტორიკოსთა, ენათმეცნიერთა, ეთნოგრაფთა, ლიტერატურათმცოდნეთა, საზოგადოებრივი აზრის ისტორიის მკვლევართა წვლილი ფოლკლორისტიკის განვითარებაში.

1370. ბედიანიძე დ. „ათას ერთი ღამე“ და ქართული ხალხური ზღაპრები // მნათობი . - 2002 . - № 11 - 12 . - გვ. 120 - 123.

ქართული და არაბული ზღაპრების სიუჟეტური პარადიგმები.

1371. ბედიანიძე დ. გამოცანები ხალხურ ზღაპრებში // მნათობი . - 2002 . - № 5 - 6 . - გვ. 136 - 144.

თქმულება-გამოცანების მნიშვნელობა და მხატვრული ფუნქცია ზღაპრებში.

1372. გოგიაშვილი ე. „ქრისტიანული“ პერსონაჟები ქართულ ხალხურ ზღაპრებში // ლოგოსი : ქრისტიანული კვლევის საერთაშორისო ცენტრი . - 2004 . - ტ. 2 . - გვ. 119 - 123. რეზ. ინგლ. ენაზე.

ქრისტიანული ეთიკა და მითოსური ძირები ქართულ ზღაპრებში. ქრისტიანობის გავლენით ჯადოსნურ ზღაპრებში დამკვიდრებული იესო ქრისტე, მამა-ღმერთი და ანგელოზები; მათი ადგილი სიუჟეტის განვითარებასა და ადამიანებთან ურთიერთობაში.

1373. დოლიძე თ. სამონადირეო-საფერხულო პოეზია // კრიტიკიუმი . - 2004 . - № 11 - 12 . - გვ. 157 - 160.

საფერხულოების მითოლოგიური პერსონაჟები და სიუჟეტები.

1374. დოლიძე თ. წმინდანები ლექს-სიმღერებსა და სადიდებლებში // კრიტიკიუმი . - 2004 . - № 10 . - გვ. 128 - 130.

არაქრისტიანული და ქრისტიანული ელემენტების შეზავების შედეგად სინკრეტული რწმენა-წარმოდგენების სისტემის ჩამოყალიბება. წმიდა გიორგი, თამარ მეფე და წმიდა ბარბარე ქართულ საფერხულო ლექს-სიმღერებში.

1375. ლალიაშვილი ნ. დავვლათი და დოვვლათი // კრიტიკიუმი . - 2004 . - № 10 . - გვ. 120 - 127.

საკრალურისა და პროფანულის დაპირისპირება აღმოსავლეთ მთიანეთის მითოლოგიურ გადმოცემათა უმრავლესობაში.

1376. ლევან რაზიკაშვილი // ომეგა . - 2003 . - № 5 (43) . - გვ. 121 - 122.

აკაკი შანიძის მიერ 1931 წ. გამოცემულ „ხევსურულ პოეზიაში“ შესული ვაჟა-ფშაველას შვილის მიერ ჩაწერილი ორი ლექსი.

1377. მაკარაძე ე. მუსიკისა და სიტყვის ურთიერთობა ფოლკლორში // კრიტიკრიუმი . - 2004 . - № 10 . - გვ. 138 - 140.

ფოლკლორული ტექსტის, ჟანრისა და მუსიკალური თავისებურებების განხილვა მუსიკისა და სიტყვის ურთიერთობის კონტექსტში (გურულ და ხევსურულ სიმღერებზე დაკვირვების შედეგად).

1378. მახარაშვილი გ. შესაქმის ლეგენდა აჭარულ ფოლკლორში // კრიტიკრიუმი . - 2004 . - № 11 - 12 . - გვ. 155 - 156.

აჭარაში ჩაწერილი ლეგენდები სამყაროს შექმნის შესახებ. პარალელი უშუალოდ ლეგენდებთან.

1379. მოსია ბ. ფერთამეტყველება ქართულ ფოლკლორში // კრიტიკრიუმი . - 2004 . - № 10 . - გვ. 131 - 134.

ფერის ფუნქციები და თეთრი, შავი, წითელი, მწვანე და სხვა ფერების მნიშვნელობა ქართულ ფოლკლორში.

1380. ოდიშარია ს. ლეგენდები რიწის ტბაზე // ომეგა . - 2003 . - № 3 (41) . - გვ. 116 - 117. რეზ. ინგლ. ენაზე.

1381. ონიანი ო. სვანური სამონადირო ძეგლების სპეციფიკა სახელის ტაბუ // კრიტიკრიუმი . - 2004 . - № 11 - 12 . - გვ. 151 - 154.

სვანური სამონადირო ციკლის მასალებში აღმოჩენილი ახალი გადმოცემები („ლითხვიარ“), რომლებზეც დაყრდნობით ახლებურად გაიაზრება დაღის პრობლემა და სამონადირო ტრადიციები.

1382. რუსიეშვილი მ. ანდაზის ერთი სახეობის შესახებ // საენათმეცნიერო ძიებანი . - 2003 . - ტ. 14 . - გვ. 29 - 31. რეზ. ინგლ. ენაზე.

მეტაფორულობისა და გამოკვეთილი სტრუქტურის მატარებელი ერთეულების კლასიფიკაციისა და სახელდების საკითხი ქართულში. ამ ტიპის ერთეულების მოთავსება ანდაზის პრაგმა-

სემანტიკურ მოდელში და მათი, როგორც „ანდაზა-ციტატების“ განხილვა.

1383. სიორიძე მ. პირველი მსოფლიო ომი ქართულ ფოლკლორში // ლიტერატურული აჭარა . - 2001 . - № 12 . - გვ. 66 - 71.

1384. სპარსიაშვილი ა. ენიგმატური ნიშანი // თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები . - 2000 . - ტ. 2 (11) . - გვ. 40 - 42.

„მსაჯულთა“ წიგნში მოთხრობილი სამსონის ზღაპრული თავგადასავლის ეპიზოდი, რომელშიც ამ გოლიათის ენიგმატური ნიშნის შესახებაა საუბარი. მოყვანილი ეპიზოდის ანალოგი ქართული ჯადოსნური ზღაპრის იმ სიუჟეტის მოტივთან, როცა გმირის დამარცხება ყველა სხვა საშუალებით შეუძლებელია, გარდა ენიგმატური ნიშნის ძიება-აღმოჩენისა.

1385. სპარსიაშვილი ზ. ომის კვალი ხმითნატირლებში // თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები . - 2001 . - ტ. 3 (12) . - გვ. 39 - 44. რეზ. ინგლ. ენაზე.

ხალხური სამგლოვიარო ღეჟისის სახეობა, რომელშიც პოეტური ხატოვნებითაა გადმოცემული კაი ყმის ბუნებისათვის ნიშანდობლივი წარსული და საბრძოლო იარაღის მიმართ მოქმედოთა დამოკიდებულება.

1386. შიოშვილი თ. სიკეთისა და ბოროტების პრობლემისათვის ქართულ ხალხურ პოეზიაში // მეცნიერება და ტექნოლოგიები . - 2001 . - № 7 - 9 . - გვ. 118 - 121. რეზ. ინგლ. და რუს. ენებზე.

ბოროტებასთან შეურიგებლობისა და სიკეთის მსახურების მარადადამიანური იდეის ასახვა ქართულ ფოლკლორში.

1387. შიოშვილი თ. სიკვდილ-სიცოცხლის პრობლემა აჭარის მითოლოგიურ გადმოცემებში // მნათობი . - 2002 . - № 1 - 2 . - გვ. 110 - 112.

უკვდავების მაძიებელ ლუყმან ექიმის ციკლის თქმულება-გადმოცემები.

1388. Гвінчідзе О. Дорошенко М. Перший видавець і дослідник українських народних дум М. А. Церетелєв // Хроніка- 2000 . - 2001 . - Вип. 43 . - с. 196 - 205.

უკრაინაში მცხოვრები მიხეილ წერეთლის (XIX ს.) ცხოვრება და შემოქმედება. მისი ღვაწლი უკრაინული ხალხური პოეზიის შეგროვებასა და პოპულარიზაციაში, ურთიერთობა რუს რევოლუციონერ-დეკაბრისტებთან.

## არქეოლოგია

1389. არქეოლოგიური კრებული : ეძღვნება ცნობილი ქართველი არქეოლოგის ოთარ ჯაფარიძის დაბადების 80 წლისთავს / [შემდგ. გ. ავალიშვილი] . – თბ., 2004 . – 132 გვ.

კრებულში წარმოდგენილია მეცნიერის დაბადების 80 წლისთავისადმი მიძღვნილი წერილები და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არქეოლოგიის კათედრის თანამშრომელთა ნაშრომები.

1390. ბიბილური თ. სამთავროს სამაროვნის ახ. წ. II – IV სს. არქეოლოგიური ძეგლები / თ. ბიბილური, ნ. დლონტი . – თბ., 2004 . – 67 გვ. ტექსტი ქართ. და ინგლ. ენებზე. ინგლისური ვარიანტის ავტორი თ. ქვლივიძე.

სამთავროს სამაროვნის არქეოლოგიური კვლევის ისტორია. სამარხთა აღნაგობა, დაკრძალვის წესები და ნივთიერი მასალა.

1391. მარგიშვილი ს. ალგეთის ხეობის ანტიკური ხანის არქეოლოგიური ძეგლები /ს. მარგიშვილი, გ. ნარიმანიშვილი . – თბ., 2004 . – 408 გვ.

ალგეთის ხეობის ანტიკური ხანის არქეოლოგიური ძეგლების – შავსაყდარასა და პაპიგორას სამაროვნების გათხრების მასალები.

1392. წითლანაძე ლ. ხევის არქეოლოგიური ძეგლები წ. 2. (მასალის პუბლიკაცია) . – თბ., 2004 . – 91 გვ.

სოფ. სტეფანწმინდაში (ყაზბეგში) აღ. ყაზბეგის სახლ-მუზეუმის ეზოში მიკვლეული არქეოლოგიური ნივთების მიმოხილვა.

1393. დიდი მცხეთის ტერიტორიაზე აღმოჩენილი არქეოლოგიური ოქროს ქიმიური შემადგენლობა / ნ. ფოფორაძე, თ. ბიბილური, ხ. გაჩეჩილაძე, გ. ინანიშვილი, ნ. ჟღენტი // მეცნიერება და ტე-

ქნოლოგიები . – 2002 . - № 10 – 12 . – გვ. 144 – 148. რეზ. ინგლ. და რუს. ენებზე.

მცხეთის მუზეუმ-ნაკრძალის ფონდებში დაცული სხვადასხვა ეპოქის ცალკეული ნიმუშების ქიმიურ-ტექნოლოგიური შესწავლის შედეგები.

1394. ვაშაყმაძე მ. აღმოჩენის ანატომია // ომეგა . – 2003 . - № 5 (43) . – გვ. 72 – 79. რეზ. ინგლ. ენაზე.

დმანისში აღმოჩენილი ადამიანის თავის ქალა, რომელიც მეცნიერთა აზრით პირველ ევროპელს ეკუთვნის. ამერიკის გეოგრაფიული საზოგადოების ჟურნალში – „National Geographic“ – გამოქვეყნებული წერილები ამ აღმოჩენის შესახებ და ქართველ მეცნიერთა მოსაზრებანი.

1395. კინწურაშვილი მ. ძვ. წ. III ათასწლეულის შუახანების გორასამარხი სოფელ მაღაროდან // მეცნიერება და ტექნოლოგიები . – 2001 . - № 4 – 6 . – გვ. 148 – 152. რეზ. რუს. და ინგლ. ენებზე.

სიღნაღის რაიონის სოფ. მაღაროს გორასამარხის არქეოლოგიური მასალები.

1396. კიღურაძე ნ. ლეგიონერთა სამარხები პიტიუნტის სამაროვანზე // კავკასიურ-ახლოდმოსავლური კრებული . – 2004 . – ტ. 11 . – გვ. 216 – 225. რეზ. ინგლ. ენაზე.

ბიჭვინთა-პიტიუნტის კასტელის სამაროვანზე გათხრილი ცხენიანი მხედრების საფლავები (II–IV სს.).

1397. კოპალიანი ჯ. დმანისური სტელა // ომეგა . – 2003 . - № 4 (42) . – გვ. 64 – 67. რეზ. ინგლ. ენაზე.

ინტერვიუ არქეოლოგ ჯუმბერ კოპალიანთან დმანისში აღმოჩენილ ქვის სტელაზე ღვთისმშობლის გამოსახულებით / ესაუბრა ელენე საღარაძე.

1398. საღარაძე ვ. ვაშნარი – „სპონიეთი – „გურიანი“ // გურია . – 2003 . – ტ. 3-ის დამატება . – 125 გვ. რეზ. რუს. და ინგლ. ენებზე.

მონოგრაფია ეძღვნება გერმანე გობეჯიშვილის მიერ 1949 წელს ოზურგეთის რაიონის სოფელ გურიანთაში ჩატარებული არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგების ანალიზს. მოცემულია გურიანთის ტოპონიმები, დახასიათებულია IV–VIII სს. ერთ-ერთი

მნიშვნელოვანი ძეგლი – მონასტერი-ციხე-ქალაქი ვაშნარი – „გურიანი“ – სპონიეთი“.

1399. ხალვაში მ. კერამიკული ტარა გონიო-ავსაროსიდან // გონიო-ავსაროსი . – 2002 . – ტ. 2 . – 90 გვ. რეზ. რუს. ენაზე.

ნაშრომი ეძღვნება გვიანანტიკური და ადრეშუასაუკუნეების ხანის აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის უმნიშვნელოვანესი საქალაქო ცენტრის – გონიო-ავსაროსის არქეოლოგიური კვლევებიდან შედეგად მოპოვებული სატრანზიტო ჭურჭლის – ამფორების შესწავლას.

1400. Дашевская О. Монеты Диоскуриады на городище Беляюс (Крым) / О. Дашевская, Г. Лордкипанидзе // კავკასიურ-ახლოდღმოსავლური კრებული . – 2004 . – ტ. 11 . – გვ. 173 – 180. რეზ. ინგლ. ენაზე.

Места находок и датировка монет Диоскуриады (совр. Сухуми).

1401. Кигурадзе Н. Археология на страницах журнала “Кавказская старина” // კულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხები . – 2004 . - № 20 . – გვ. 68 – 72.

С ноября 1872 года по 1873 год в Тбилиси, по дозволению цензуры, выходил ежемесячный исторический журнал под редакцией А. Д. Ерцова, где представлена информация об археологических разысканиях и о случайных археологических находках на Кавказе.

### **გეოგრაფია. მოგზაურები. რუკები**

1402. გიგაური გ. ხევის ბუნებრივი პირობების მრავალფეროვნების ზოგადი დახასიათება . – თბ., 2004 . – 112 გვ.

ხევის ფიზიკურ-გეოგრაფიული პირობები, რელიეფი, ჰავა, ნიადაგები, მცენარეული საფარი, ცხოველთა სამყარო.

1403. წიტიანიშვილი დ. იმერეთის სამეფოს პოლიტიკური გეოგრაფიიდან . – თბ., 2004 . – 44 გვ.

იმერეთის სამეფოს პოლიტიკური საზღვრები XVI ს-იდან XIX ს-ის 10-იან წლებამდე.

1404. Гачев Г. Национальные образы мира : Кавказ. Интеллектуальные путешествия из России в Грузию, Азербайджан и Армению . – М., 2001 . – 412 с.

Книга в жанре дневника путешествий и раздумий. Национальные особенности в мышлении, культуре и миропонимании – ландшафт, язык, быт, танец, застолья, песня и др. народов Грузии, Азербайджана и Армении.

1405. ვიკინგები საქართველოში : (ექსპედიცია „ვიტფარნესთან“ დაკავშირებით) // საქართველოს ბიბლიოთეკა . – 2004 . - № 3 . – გვ. 89 – 91.

შვედური ექსპედიციის „ვიტფარნესის“ მოგზაურობა საქართველოს ტერიტორიაზე, რომელიც მიზნად ისახავდა იმ მარშრუტის გავლას, რომელიც 1040-იან წლებში ვარიაგთა ანუ სკანდინავიელებმა 3-ათასიანმა რაზმმა გაიარა მდინარე რიონამდე.

## ისტორია

1406. აბუსელიძე გ. ტბელ აბუსერისძის ეპოქის სამხრეთ-დასავლეთ საქართველო : (ეკონომიკური მდგომარეობა) . – თბ., 2004 . – 128 გვ.

XII–XIII საუკუნეების მიჯნის სამხრეთ-დასავლეთ საქართველო ეკონომიკური თვალსაზრისით.

1407. ალექსანდრე (ღალი) ჯავახიშვილი – მეცნიერი და მოქალაქე / შემდგ. თ. ტონია . – თბ., 2004 . – 116 გვ.

მეცნიერებისა და მწერლების მოვონებები ივანე ჯავახიშვილის შვილის, ისტორიკოს ალექსანდრე (ღალი) ჯავახიშვილის – არაორდინალური პიროვნების, მეცნიერისა და მოქალაქის შესახებ.

1408. აფხაზ თავად-აზნაურთა საგვარეულო გერბები . – თბ., 2004 . – 127 გვ. პარალელური ტექსტები ქართ., აფხაზურ და რუს. ენებზე.

1409. ახუაშვილი ი. ქართული გვარ-სახელები. ტ. 5 . – თბ., 2004 . – 1148 გვ.

პირველ ნაწილში განხილულია გვარის ჩამოყალიბება-განვითარების საკითხები, მეორეში – ასო ბანზე გაწეობილ ცალკეულ გვართა ისტორია.

1410. ბარჯაძე გ. ითხვისი : (ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნარკვევი) . – თბ., 2004 . – 48 გვ.

საარქივო მასალების, არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული გამოკვლევების, მოსახლეობაში შემონახული თქმულებებისა და პრესაში გამოქვეყნებული მასალების კვლევის საფუძველზე ნაშრომში წარმოდგენილია იმერეთის ერთ-ერთი სოფლის, ითხვისის ისტორია.

1411. ბატიაშვილი ზ. კაპადოკია . – თბ., 2004 . – 79 გვ.

თურქეთის (ანატოლიის) ერთ-ერთი კუთხის, კაპადოკიის ისტორია და კულტურა, იქაური წმინდანების ცხოვრება, ქართველი ქალის – თამარის (სავარაუდოდ, თამარ მეფის შთამომავალი უნდა იყოს) მიერ XIII ს-ში აგებული წმ. გიორგის ეკლესია, კაპადოკიის ქართული სოფლები, მიწისქვეშა ქალაქები, საქართველო-კაპადოკიის ურთიერთობა და სხვ.

1412. ბაქრაძე რ. ცხინვალო, ჩემო ფიქრო და დარდო . – თბ., 2004 . – წ. 1 . – 347 გვ; წ. 2 . – 367 გვ.

შიდა ქართლის ერთ-ერთი ქალაქის – ცხინვალის წარსული, ყოფა, ტრადიციები, ცნობილი ადამიანები. ისტორიული ნარკვევი სოფელ დგვრისზე და დგვრისელებზე, 1989-90 წლების მოვლენები, მიხეილ ცოტნიაშვილი – ცხინვალის მემბტიანე, ცხინვალელი ებრაელები და სხვ.

1413. გოგოლაძე მ. ქართლის სოციალური და პოლიტიკური მდგომარეობა „ მოქცევა ქართლისა ს“ მიხედვით : (ძვ. წ. IV ს. – ახ. წ. VII ს. I ნახევარი) . – თბ., 2004 . – 249 გვ.

1414. გონიკაშვილი მ. ბაგრატიონთა გადასახლება და მოღვაწეობა რუსეთში . – თბ., 2002 . – 494 გვ.

ირან-თურქეთის შემოტევების, ლეკიანობისა და ოსთა თავდასხმების შედეგად შექმნილი რთული მდგომარეობა, საქართველოს რუსეთის იმპერიის საზღვრებში მოქცევა, ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმება, სამეფო-სამთავროთა სახლების წევრთა რუსეთში გადასახლება და იმპერიის სხვადასხვა ქალაქებში მათი მოღვაწეობა.

1415. გურაბანიძე მ. ქართული საისტორიო წყაროების კომპიუტერული დამუშავება : (ლეონტი მროველის თხზულებათა მიხედვით) . – თბ., 2004 . – 131 გვ.

ისტორიული ინფორმატიკის საგანი და განვითარების ეტაპები საქართველოში. ისტორიულ მონაცემთა ბაზები და მათი სახეობები.

1416. დუნდუა თ. სიმონ მეფე და ღვთისმშობელ-პამაკარისტოსის ტაძარი კონსტანტინეპოლში / თ. დუნდუა, ნ. სილაგაძე . – თბ., 2004 . – 12 გვ. ტექსტი ქართ. და ინგლ. ენებზე.

სიმონ მეფის დამარცხება 1600 წელს ოსმალეთში. მართლმადიდებელ მეფეზე გამარჯვების აღსანიშნავად სულთნის მიერ კონსტანტინეპოლის პატრიარქისათვის პამაკარისტოსის ტაძრის (პატრიარქის რეზიდენცია) წართმევა და მეჩეთად გადაქცევა.

1417. ენდელაძე თ. ტრაგიკული 1924 . – თბ., 2004 . – 80 გვ.

საბჭოთა ძალოვანი სტრუქტურების ანტიეროვნული საქმიანობა 1924 წლის აჯანყების ჩასახშობად, აჯანყებულთა მიმართ ანგარიშსწორების მაგალითები, დახვრეტილთა ჩამონათვალი.

1418. ზუხბაია ვ. თავილონი = Тагилони : წიფურია, წამხარი : ისტორია . – თბ., 2004 . – 287 გვ.

კოლხეთის ერთ-ერთი სოფლის ისტორიული წარსული, ბუნება, არქეოლოგიური ძეგლები, მოსახლეობა, გავრცელებული გვარები, აფხაზეთის კონფლიქტის მსხვერპლნი, ხალხური შემოქმედების ოსტატები, ინტელიგენცია, კოლორიტები, მშრომელი ადამიანები.

1419. თბილისი – საქართველოს დედაქალაქი / ავტორ-შემდგენელი ლ. შაღვაშივილი . – თბ., 2004 . – 32 გვ. ტექსტი ქართ. და ინგლ. ენებზე.

თბილისის ღირშესანიშნობათა ამსახველი ფოტოალბომი.

1420. კაციტაძე ჯ. ხოტევი და ხოტეველები . – თბ., 2004 . – 296 გვ.

რაჭის სოფელ ხოტევის ისტორია, მასალები ხოტევის საშუალო სკოლისა და ცნობილი ადამიანების შესახებ, სოფლის ტოპონიმები, ხოტევეური დიალექტები, ქართველი პოეტებისა და სახალხო მთქმელების ლექსები რაჭისა და ხოტევის შესახებ.

1421. კახიძე ნ. ხელოსნობა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში : (ისტორიულ-ეთნოლოგიური გამოკვლევა) . – ბათუმი, 2004 . – 184 გვ.

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ხელოსნობის სოციალურ-ეკონომიკური და კულტურულ-ისტორიული მნიშვნელობა. ხელოსნობის ფორმები, ნაკეთობათა გასაღების ბაზრები, ხელოსნობასთან დაკავშირებული გვარსახელები, ადგილთა სახელები, გადმოცემები და წეს-ჩვეულებები.

1422. კვესელავა გ. საქართველოს უახლესი ისტორიის ქრონიკები (1970–1990) : საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა . – თბ., 2004 . – 365 გვ.

ეროვნული თვითშეგნებისა და ცნობიერების გაფართოება, დისიდენტური და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გააქტიურება, კომუნისტური მმართველობის დასასრული, ხელისუფლების სათავეში ეროვნული ძალების მოსვლა, დემოკრატიული ღირებულებების აღიარება და ქვეყნის დამოუკიდებლობის გამოცხადება.

1423. კუტალია გ. ნარკვევები და მოგონებები . – თბ., 2004 . – 75 გვ.

შუა საუკუნეების ევროპის ქვეყნებისა და საქართველოს პოლიტიკური ურთიერთობები. მე-19 ს-ის საქართველოში ლუთერანული ეკლესიებისა და სკოლების საქმიანობა. მოგონებები შოთა მესხიასა და სერგო ჯორბენაძეზე.

1424. ლორთქიფანიძე ქ. აჰმედ აჯარი და ხიმშიაშვილების გვარის ისტორია / ქ. ლორთქიფანიძე, გ. ლორთქიფანიძე . – თბ., 2004 . – 85 გვ.

თურქეთში მცხოვრებ ხიმშიაშვილების გვარის ისტორია.

1425. მექვაბიშვილი ა. ცხოვრების მხარდამხარ . – თბ., 2004 . – 181 გვ.

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორ ამირან მექვაბიშვილის მოგონებები მისი სოფლის, რაიონის ცნობილ ადამიანებზე.

1426. ნადირაძე ქ. თედო ჟორდანია – საქართველოს ისტორიის მკვლევარი : (ისტორიოგრაფიული ნარკვევები) . – თბ., 2004 . – 271 გვ.

მეცნიერის ცხოვრება, მოღვაწეობა, საზოგადოებრივ-პოლიტიკური შეხედულებები, ისტორიული კონცეფცია, დამსახურება ქართული საისტორიო მეცნიერების განვითარებაში.

1427. ნათმელაძე მ. საქართველოს უახლესი ისტორია (1921 – 2000 წწ.) / მ. ნათმელაძე, ა. დაუშვილი . – თბ., 2004 . – 507 გვ.

საქართველოს ისტორიული განვითარების პროცესი. საბჭოთა პერიოდის საქართველოს ისტორიის თავისებურებები, ეპოქალური მოვლენები, სოციალური და კულტურული მიღწევები.

1428. ნინიძე დ. ბაგრატიონთა სამეფო სახლის განშტოებათა ისტორია : (XIII – XVIII საუკუნეები) – თბ., 2004 . – 398 გვ.

XIII–XVIII სს-ის საქართველოს ისტორიის მნიშვნელოვანი მომენტები: მრავალმეფიანობის ხანა, „პროვინციის მეფეები“, საქართველოს სამეფოს დაშლა და ბაგრატიონთა სახლის დამოუკიდებელი სამეფო შტოების წარმოქმნა.

1429. ონიკაშვილი ვ. ფერეიდანი . – თბ., 2004 . – 76 გვ.

ოთხი საუკუნის მანძილზე ირანში, ისპაჰანის პროვინციაში მცხოვრები მცირერიცხოვანი ქართული ეთნოსის ისტორია.

1430. პოლონელების 200 წელი კავკასიაში : ქართულ-პოლონური ურთიერთკავშირები / [რედ . : მ. ფილინა] . – თბ., 2004 . – 243 გვ.

საერთაშორისო კონფერენციის – „პოლონელების 200 წელი კავკასიაში. ქართულ-პოლონური ურთიერთკავშირები: ისტორია და პერსპექტივები“ – მასალები პოლონეთისა და საქართველოს ისტორიის, კულტურისა და მეცნიერების სხვადასხვა დარგის თანხვედრის თაობაზე.

1431. სანიკიძე ლ. საქართველო XI–XV საუკუნეებში . – თბ., 2004 . – 120 გვ.

1432. სურმანიძე რ. ნაცნობი და უცნობი თედო სახოკია . – ბათუმი, 2004 . – 131 გვ.

